

652/2
1985

ISSN 0134 3459

საქართველოს
განათლების
მინისტრის
გამოცემის

ქრონიკა

1985



5

ქოროსი



გ ა მ ო ც ე მ ი ს

27-ე

წელი

ლიბერატორულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს მშვიდობა კავშირისა და აზარის განყოფილების ორგანო

რა მშვენიერი ზღა გვაქვს, აჭარა,
რა მოძაელი, ძვირფასი ბედით...
ქალაქი — ჩვენი ქვეყნის ფანჯარა
აღმოსავლეთით და დასავლეთით.

გ. ტაბიძე

5

1985

საქართველო
ოქტომბერი



გ ა მ ო ც ე მ ი

შ ი ნ ა ა რ ს ი

სკკპ XXVII ყრილობის
შესასვედრად

ჯემალ სოფერია. კაცი და საქმე.
ნარკვევა (დასასრული.)

კოეზია, კროზა

მიხეილ ქელიძე. ლექსები	6
ლალო მარღანიძე. სახლი სოფლის ბოლოში. მოთხრობა	11
ჯემალ ჯაყელი. ლექსები.	17
შოთა ასანიშვილი. მსგავსება. მო- თხრობა	19
დავით ტაბიძე. ლექსები	23
რევაზ ოსიფაიშვილი. ჩემი დუმილი შენი განაჩენია. რომანის ფრაგ- მენტები (ვაგრძელება)	25
რუბენ ჩეთითი. ლექსები	34
ნუკუზარ ერგემლიძე. ლექსები	36
ამბერკი პაიჭაძე. ბახმარო. რომანის ერთი თავი	38

ახალი თარგმანები

ნიკოლა ვაძაროვი. ლექსები.
თარგმნა ვასტანგ ახვლედიანმა 43

გაერილ მარტინენკო. ფოლადის
დივიზიის მეთაური 46

ჯაჯილი

ლევან ანანიძისა და თემურ შიმში-
ლაშვილის ლექსები 54

კვალნი ნათელი

რამაზ სურმანიძე. ღვაწლი აბდულ
მიქელადისა (გაგრძელება)

წარიღები

ილია რურუა. აღმზრდელი და თან-
მდგომი 64

ვლადიმერ სიჭინავა. ბათუმის ის-
ტორიიდან 68

ლუბა ბიბილეიშვილი. პიროვნების
აღზრდა-განვითარების ბურ-
ჟუაზიული თეორიები და მათი
კრიტიკა 72

იური ბიბილეიშვილი. მოსწავლის
სულიერი სიმდიდრე 76

თეიმურაზ მორგოშია. ახალგაზრდა
მეცნიერი 79

იოსონ ცერცვაძე. სამშობლოს დაძა-
ხილზე

მედუზა

ალექსანდრე ანანიძე. საქმენი სა-
გმირონი

სელოვნება

გუგუზ მევრელიძე. რუსული საბ-
ჭოთა დრამატურგია ბათუმის თე-
ატრის სცენაზე 83

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ზურაბ სურმანიძე. ევროპული
რომანის სათავეებთან 87

იური სიხარულიძე. „მეცნიერებამ“
გამოსცა 92

გასულ ორ თვეში 94

მთავარი რედაქტორი
ალექსანდრე სამსონია

სარედაქციო კოლეგია:

აზიზ ახვლედიანი,
გიორგი ბაჩიჩილაძე,
ზურაბ გორგილაძე,
მამია ვარზანიძე

(პასუხისმგებელი მდივანი)
ზოთა ჯოიძე,
დავით თედორაძე,
გიორგი სალუშვაძე,
ჯემალ ქათამაძე,
ალექსანდრე ჩხაიძე,
ფრიდონ ხალვაში,
დავით ხახუტაიშვილი.
ჯემალ ჯაყელი.

რედაქციის მისამართი: ბათუ-
მი, ენგელსის ქ. № 21. ტელ.
3-33-71.



ვალდებულება წარმოებას 12.8.85, ხელმოწე-
რილია დასაბეჭდად 1.9.85, საბეჭდი
თაბახი 6, საგამომცემლო 4,8, შეკვეთის
№ 2706, ემ 00606. ქალაქის ზომა
20x30^{1/16}, ტირაჟი 5.000

საქართველოს სსრ გამომცემლობათა,
პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის სა-
ქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აკარის
ასსრ პოლიგრაფიული საწარმოო გაერ-
თიანება, ბათუმი ლექსემბურგის, 20.

Государственный комитет Грузин-
ской ССР по делам издательств,
полиграфии и книжной торговли.
Полиграфическое производственное
объединение Аджарской АССР,
Батуми, ул. Р. Люксембург, 20.

გეგმალი ხოფარია

კაცი და სამე

ნაგავი

როგორც უკვე ვთქვით, პირველ ხანებში უჭირდა ახალბედს. მაგრამ მერე უკვე ოსტატ მასწავლებელთა და სხვების დახმარებით, საკუთარი მონდომებითა და რწმენის წყალობით, თანდათანობით დაეუფლა საქმეს და შეითვისა ზეინკლის პროფესია. 1955 წლამდე იმუშავა თენგიზ დოლიძემ მეშვიდე საამქროში ზეინკლად. მალე ისე გაიწაფა, მესუთე თანრიგის ზეინკალი გახდა და მის ხამუშევარს ფასი დაედო, ყურადღება მიიქცია და აღიარება მოიპოვა. მართალია, უკვე დამოუკიდებლად შეეძლო სხვადასხვა რთული სამუშაოს შესრულება, იგი მაინც ეკითხებოდა რჩევას უფროსებს, ყოფილ მასწავლებლებსა და ოსტატებს და ისე აკეთებდა ამა თუ იმ სამუშაოს.

— ამით მე თავს კი არ ვიზღვევებდი შეცდომებისაგან და არც საკუთარ შესაძლებლობებში მეპარებოდა ოდნავი იჭვი, მაგრამ. რატომღაც, საკუთარ თავზე უფრო მაინც ჩემი მასწავლებლებისა მჯეროდა. დიდი იყო ჩემს თვალში მათი ავტორიტეტი.

აღბოთ, ძნელად წარმოსადგენი კია, რომ წლობით მუშაობდე ამა თუ იმ საწარმოში და არ იცნობდე მის წარსულს, მისი დაარსების ისტორიას. მითუმეტეს ისეთი სახელობის და მდიდარი ტრადიციების კოლექტივის, როგორიც ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანაა. თენგიზმა კარგად იცის თავისი საწარმოს წარსული... ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის დაბადების დღედ მიჩნეულია 1929 წლის 25 მაისი. სწორედ ამ დღეს გამოუშვა ახალბედა ქარხანამ თავისი პირველი პროდუქცია. ქარხანა პირველი ზუთწლედის, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პირმშო და სიამაყე, სრულიად ახალი, განსხვავებული რამ იყო ჩვენი ქალაქისათვის, მთელი ჩვენი რესპუბლიკისათვის. მისი აშენება, კი, თავისთავად, დიდზე-დიდი გამოცდა იყო ახალი ტიპის მუშათა კლასისათვის, იმ მუშათა კლასისათვის, რომელიც პირველ, მაგრამ გაბედულ ნაბიჯს დგამდა შრომითი დაოსტატების გზაზე... აბა, ახლანდელ შესაძლებლობათა პერაოდში ვისღა გაუეკირდება ასეთი ქარხნის აშენება? მაშინ კი... როცა მაშინდელ დროსა და შესაძლებლობებს წარმოადგენს კაცი, მართლაც რომ გაუეკირდება! დაიწყეს კი არაღრისაგან... მეტად შრომატევადი სამუშაოები იყო ჩასატარებელი — ტექნიკა კი... აბა მაშინდელი ტექნიკა რა მოსახსენებელია — თონი, ბარი, ნიჩაბი, წერაქვი, ურიკა და ურო! აი, მთელი ტექნიკა — ყველაზე მარტივი, მაგრამ, ამავე დროს ასე ცნობილი და ახლობელი ყოველი გლეხისათვის! დიახ, გლეხისათვის, რადგანაც სწორედ თენგიზისთანა სოფლიდან ჩამოსული ბიჭები აშენებდნენ ქარხანას. ისინი უყრიდნენ საფუძველს ახალი ცხოვრების ახალ ინდუსტრიას... და მერე, კარგახნის შემდეგ, როცა თენგიზმა შეაღო ქარხნის კიშკარი, სწორედ ისინი, გუშინდელი გლეხის ბიჭები, ქარხნის გუშინდელი საძირკვლის ჩამყარულნი და მშენებელნი, უკვე კადრის, გამოცდილი მუშები იყვნენ.

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

თენგიზი რომ სამუშაოდ მივიდა, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას კიდევ ერთი მკაცრი გამოცდა ჰქონდა ჩაბარებული. დიდი სამამულო ომის დროს ბევრმა მუშამ იარაღი აისხა, ფრონტს მიაშურა და სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩაღდა. ახ. ერთ-ერთი იმათგანი — გივი ჯიქიძე... როცა დაიწყო ომი, იგი ჩვიდმეტი წლისა თუ იყო, მონალისედ წავიდა ფრონტზე. ომგადახდილი, ისევ თავის ქარხანას დაუბრუნდა... კარგა ხანს იშრომა, პენსიაზე გავიდა როგორც დამსახურებული ოპერატორი, მრავალი მენავთობის აღმზრდელი, შრომის წითელი დროშის ორდენის კავალერი, ყველასაგან დაფასებული და პატივცემული. ასეთები, ამ კაცის მაგვარნი, ბევრნი იყვნენ და არიან ქარხანაში.

ისინი, რომლებმაც ომში წასული თანამოსამეხნი შესცვალეს, ორმაგი ენერგიითა და მონდომებით მოეკიდნენ საქმეს. ქვეყანა განსაცდელში იყო, სამშობლო ითხოვდა, პარტიას სჭირდებოდა... აქაც, ქარხანაშიც, ფრონტი იყო, შრომის ფრონტი. შეიძლება ითქვას, საცეცხლე პოზიციებზე უფრო მნიშვნელოვანი, ცხარე და დაძაბული. ისინი შრომით სასწაულებს ახდენდნენ, არ ზოგავდნენ ძალასა და ენერგიას. ერთ მძლავრ რაზმად, მონოლითურ კოლექტივად შეკრული ბათუმელი მენავთობელები დღედაღამ შრომობდნენ, ცდილობდნენ თავიანთი წვლილი შეეტანათ საერთო და ყველაზე უმნიშვნელოვანეს საქმეში — მტრის განადგურებაში.

„ყველა და ყველაფერი ფრონტისათვის, ფრონტის სამსახურში, მტერზე გამარჯვებისათვის!“ — აი, ეს იყო მათი დევიზი თუ შრომითი მოწოდება. ომის წლებში ბათუმელმა მენავთობეებმა მიიღეს სპეციალური დავალება — საოცრად მოკლე დროში უნდა აეთვისებინათ ნაღმის ჭურჭების წარმოება... მერე კიდევ ერთი შეკვეთა მიუღიეს — ნაღმტყორცის ნაწილის დამზადება. მენავთობეებმა წარმატებით გაანადგურეს ფრონტის ეს ორივე შეკვეთა, რომელიც სახელმწიფო გეგმის წარმატების შესრულებისათვის გმირული შრომის პარალელურად ხორციელდებოდა.

სწორედ ამ დიდი და მნიშვნელოვანი დამსახურებისა და წარმატებისათვის, დიდ სამამულო ომში გერმანულ ფაშიზმზე გამარჯვების ორმოცი წლისთავის დღესასწაულის წინა დღეებში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ბათუმის სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა დაჯილდოვდა დიდი სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით.

იმ ხანებში ვარლამ ჟღენტან, სადაც თენგიზი ცხოვრობდა, ხშირად იყრიდნენ თავს ქარხანაში აღიარებული მენავთობეები, ევტერანი კომუნისტები — კარლო დარჩია, ვალიკო პატარაია, აკაკი ხარებავა და სხვები.

— აი, იმათი საუბრებისათვის ყურისგდება მიყვარდა, — იგონებს თენგიზი. — იმათთვის ზელი რომ არ შემეშალა. გავანაირდებოდი ჩემთვის და ისე ვუსმენდი. თუმცა, ისეთი გატაცებით საუბრობდნენ, მაინც არავის ამჩნევდნენ. მათი ასეთი ხშირი შეკრებიდან და საუბრიდან ბევრი რამ გავიგე, ბევრ რამეს ჩაეწვდი, ბევრიც შევითვისე და შევისისხლბორცე. ისე მსჯელობდნენ, ხშირად ისე ცხარედ კამათობდნენ, ვხვდებოდი, საერთო საქმე ნამდვილად აღელვებდათ და ახლოს მიჰქონდათ გულთან. მათი საუბრები კი მუდამ მხოლოდ ქარხნის გარშემო, კოლექტივის გარშემო ტრიალებდა ყოველთვის. ისინი ისე ხშირად ახსენებდნენ სიტყვებს: „ჩვენი ქარხანა“, „ჩვენი საამქრო“, „ჩვენი უბანი“ და „ჩვენი კოლექტივი“, რომ მაშინ, სიმაღლე გიოხრათ, მიკვირდა კიდევ, რადგანაც პირველად ვერ ჩაეწვდი ჩემთვის ჯერ კიდევ დაფარულ და გაუგებარ აზრს, მათთვის ასე გასაგები და ახლობელი რომ იყო. ახლა კი... ახლა კარგად ვიცი, რაც მაშინ, მათი მაშინდელი საუბრებიდან ვერ გამეგო. დიახ, ასეა ეს: ჩვენია ქარხანა — იმისია, ვინც შრომობს, ვისაც თავისი წვლილი შეაქვს საერთო საქმეში, ჩვენია ქარხანა, საამქრო



თუ ის უბანი, სადაც ჩვენ ვშრომობთ, პროდუქციას ექმნით. მისი მართვა ჩვენ სამშობლოში, პარტიამ მოგვანდო:

თენგიზი წამით ღუმს, ფიქრობს თუ იხსენებს რაიმეს, მერე კი ილიმება და განაგრძობს: — მაშინდელი ვეტერანებისაგან ბევრი რამის სწავლა, თავისება და გადმოღება შეიძლებოდა, მათი შრომა-გარჯა, მონდომება და ერთუზიანობა მართლაც მისაბძაი და გადმოსაღები იყო. ისინი დაეინებოთ და განუწყვეტლევ ეძიებდნენ გზებსა და საშუალებებს, რათა უკეთ ემართათ, უკეთ შესძლებოდათ შრომა, ყოველდღიურად უფრო მეტის მიღწევა... შევეცქეროდი, ვუგადავდი ყურს და ვრწმუნდებოდი მათი საქმისა და სატყვის ერთიანობაში, სიმართლეში, მათი არჩეული გზის სისწორეში. ახლა ისიც ვიცი, რომ ის ახალგაზრდები, რომლებიც წარმატებით შრომობენ სხვადასხვა მშენებლობებზე, სწორედ იმათი, მათი მსგავსი ვეტერანების აღზრდილები და იმათი საქმის კარგი გამგრძელებელ-დამაგვირგვინებელი არიან.

სწორედ მათი, ქარხნის სახელოვან ვეტერანთა მიბაძვით შევიდა თენგიზ დოლიძე კომუნისტური პარტიის რიგებში.

ის დღე ნამდვილად დაუვიწყარი და ღირსშესანიშნავია მის ცხოვრებაში. ეს იყო 1961 წელს. პარტიის რიგებში მისაღებად მას რეკომენდაცია ისეთმა ცნობილმა ადამიანებმა მისცეს, როგორიც ვალიკო პატარაია და კარლო დარჩია იყვნენ.

— მათი ასეთი ნდობა დიდი სახელი და პატივი იყო ჩემთვის, — ამბობს თენგიზი. — მე თავიდანვე კარგად ვიცოდი, თუ რასაც მოითხოვდნენ ისინი ჩემგან. მოითხოვდნენ მხოლოდ ერთ რამეს — ესოდენ დიდი ნდობა შრომაში მოპოვებული წარმატებებითა და კარგი სახელით დამემსახურებინა. საკუთარი თავის ქება, საკუთარ თავზე ლაპარაკი ძალიან ძნელია და უხერხული, მაგრამ, ალბათ, ტრახახსა და ბაქიაომაში არ ჩამომართმევთ, თუ ვიტყვი, რომ ისინი, ჩემი რეკომენდატორი მისწავლებლები, არ შემეცდარან ჩემში და ჩემი შრომის, ჩემი საქციელის უკმაყოფილონი არ დარჩენილან.

რამდენი წელია თენგიზი ქარხანაში მუშაობს? 1951 წლიდან დღემდე. — ახლა კიდევ 1985 წელია. ესე იგი, მთელი 34 წელიწადი! ეს ხომ მთელი ცხოვრებაა, ერთ ადგილზე, ერთ საწარმოში გატარებული მთელი ცხოვრება. არადა მაინც რა დრო გასულა, რამდენ წელს ჩაუვლია ნაქაღულივით... 34 წელიწადი! ეს ძალზე დიდი დროა, მაგრამ, მეორეს მხრივ, მეორე გავებით, ძალზე მცირე... როცა ოცნების თვალს გადაავლებ წარსულს, ალბათ, რაღაცნაირი აუხსნელ-გამოუცნობი სინანული შეგიპყრობს ადამიანს შენდაუნებურად. მაინც რაა ეს? — სინანული უკმარისობისა, იმ უკმარისობისა, როცა გგონია, თითქოსდა შეგეძლო უფრო უკეთ, უფრო საფუძვლიანად, ასე ეთქვათ, მოპირნედ და ეკონომიურად გამოგვეყენებინა დრო, უფრო მეტი და მნიშვნელოვანი რამ გავგეკეთებინა ქარხნისათვის, კოლექტივისათვის, იმ საქმისათვის, რომელსაც აგერ ამდენი ხანია ასე კეთილსინდისიერად ემსახურები. იქნება თენგიზსაც აწუხებს ეს უკმარისობის გრძნობა?

— მაწუხებს! — ნელა მიქნევს თავს.

— ფიქრობ, რომ შეგეძლო ამაზე მეტად გემუშავა, უფრო მეტი გავგეკეთებინა და უფრო მნიშვნელოვანი წარმატებებისათვის მივეღწია?

— ამაზე ასე ერთბაშად, დაუფიქრებლად პასუხის გაცემა ძნელია. ეს ერთგვარი ვარაუდია, მაგრამ, ალბათ, შემძლო კიდევ, უფრო მეტი მომენდომებინა, მეტი მოთხოვნილებები წამეყენებინა საკუთარი თავისათვის... ადამიანის სურვილებსა და ოცნებებს ზღვარი არ გააჩნია, მხოლოდ მის შესაძლებლობებს გააჩნია სამწუხაროდ, ზღვარი. თუმცა, ახლა ამაზე ფიქრი, ბჭობა და წუხილი ნაგვიანევია, რადგანაც, ბევრიც რომ ეცადო, წარსულსა და ჩავლილ ვერასილებით ვერ დაიბრუნებ, ვერ გამოიხმობ უკან. და რადგანაც ეს ასეა, მეტი რაღა დამრჩენია, ვეცდები ის დანაკლისი მომავალში ორმაგად ავანაზაურო.

ამას რომ ამბობს, ისეთი გამომეტყველება აქვს, ვერაფრით ვერ გაიგვებს ხუმრობს თუ სერიოზულად ლაპარაკობს. მაგრამ, ალბათ, სერიოზულად. და ასეა, ვინაც მისი ხასიათი იცის, შეასრულებს კიდევ, რასაც იტყვის და ჩაიფიქრებს. მაშ ასე, ხუთი წელი იმუშავა ზეინკლად მეშვიდე საამქროში

— მერე რა იყო?! — ეკითხები.

— მერე ოპერატორად დავაწყე მუშაობა.

— მაინც რამ გადააწყვეტინა პროფესიის შეცვლა?

— ეს პროფესიის შეცვლა როდია...

— აბა? სად ზეინკალი და სად ოპერატორი?

ალბათ, ჩემი სახის გამომეტყველებას ამჩნევს და ცდილობს უფრო დაწვრილებით ამჩინას ყველაფერი, საქმის არსში გამარკვლოს. — საქმე ისაა, რომ ჩვენთან, ქარხანაში, ყოველმა ოპერატორმა კარგად უნდა იცოდეს ზეინკლობა. ნავთობგადასამუშავებელ ქარხანაში არასდროს არ დანაშაუვენ ოპერატორად ისეთ კაცს, რომელსაც სულ ცოტა მესამე თანრიგის ზეინკლის პროფესია არა აქვს.

— ნუთუ ეს ასე აუცილებელია? — მკვირს მე.

— კი, ჩვენთან ეს აუცილებელია!

მაინც ვინ ურჩია თენგიზს გამხდარიყო ოპერატორი? ისევ და ისევ მისმა მფარველმა ვეტერანებმა და, უპირველეს ყოვლისა, მისმა ბიძამ ვარლამ უღენტმა.

ერთი რამ მაინც გაუგებარია: ერთ პროფესიას ზომ უკვე კარგად ფლობდა, ეს ოპერატორობა კი... თუმცაღა რაც მეტი იყო, უფრო კარგია, უფრო საჭირო და გამოსადები.

თითქოსდა ჩემს განაფიქრს მიხედო, მეუბნება:

— ოპერატორად გახდომა მხოლოდ იმისათვის მოვიწოდებ, რომ ეს უფრო რთული საქმეა, უფრო რთული პროფესია!

— მხოლოდ ამიტომ, რომ უფრო ძნელია?

— ღია, ამიტომ!

იცოდე მარტო შენ, ეს როდია მთავარი და საკმარისი, შენი მუშაობის, საქმიანობის ერთადერთი მიზანი. მთავარია, იცოდე შენ და ამავე დროს შენი ცოდნა-გამოცდილება უყოყმანოდ, უანგაროდ გაუზიარო სხვებსაც. ეს უბრალო ანბანური ჭეშმარიტება კარგად იცის თენგიზმაც, თავად ბევრს სწავლობდა, ითვისებდა და სხვებსაც ასწავლიდა, უნერგავდა, უსისხლობრტყებდა შრომის სიყვარულს.

ბევრი მოსწავლე აღუზრდა თენგიზს, ბერისათვის ჩაუნერგავს შრომის სიყვარული. აი, ერთ-ერთი მათგანი, ანზორ ჭინჭარაძე, — მაზნაქაურელი მფრინავის შვილი, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ენერგიული, მუყაითი ქაბუკი ნავთობგადასამუშავებელ ქარხანაში მივიდა სამუშაოდ. საჭირო იყო ახალი კადრი სასაქონლო განყოფილებაში. სწორედ აქ მიიღეს ანზორი. პირველ ხანებში, ისე როგორც ყველას და როგორც ეს საერთოდ ზდება, უჭირდა, მაგრამ, საზედნეიროდ, მის გვერდით აღმზრდელ მასწავლებლად ისეთი გამოცდილი და გულისხმიერი ადამიანი ედგა, როგორც თენგიზ დოლიძე. სწორედ მისი დახმარებით, მზრუნველობითა და შემწევნობით ანზორმა მალე დაძლია დაბრკოლებები და ზედმოწეწილი დაეუფლა პროფესიას. ამჟამად ანზორი ქარხნის უფროსი ოპერატორია. ახლა ქარხნის სხვადასხვა უბნებზე წარმატებით შრომობენ თენგიზის აღზრდილები, მისი ყოფილი მოსწავლეები: ოპერატორი მიხეილ კვაკაძე, ბრიგადირი იური ბერიძე და ბევრი სხვა გამოცდილი მენავთობე.

თენგიზმა კარგად იცოდა, რომ დროს არაფრით არ უნდა ჩამორჩენოდა, არ უნდა გამორჩენოდა მეცნიერებისა და ტექნიკის სიახლენი, ამიტომაც, როცა კი შეეძლო, როგორც კი სამისო დროს გამოჩნახვდა, იმდღედა ცოდნას, ცდილობდა თავისუფალი

დრო გონივრულად და რაციონალურად გამოეყენებინა. სულ წიგნებს ჩაჰკირკიტებდა, გამოწერილი ჰქონდა ტექნიკური ლიტერატურა, რეგულარულად კითხულობდა ჟურნალებს, გაზეთებს.

კითხვა, საერთოდ, ძალიან უყვარს, მაგრამ, სამწუხაროდ, მხატვრული ლიტერატურის შესაკითხად დრო იშვიათად რჩება. კლასიკოსები გადაკითხული კი აქვს...

მაინც რა შეადგენს თენგიზ დოლიძის, როგორც უფროსი ოპერატორის მოვალეობას ნავთობგადასამუშავებელ ქარხანაში და როგორია ეს მოვალეობა — ადვილი თუ ძნელი?

აქ, ქარხანაში, მის ყოველ უბანზე ძნელია მუშაობა, შრომატევადია და პასუხსაცემი. ყოველი მუშის თუ ოსტატისაგან დიდ დაკვირვებას, გამოცდილებას მოითხოვს. მაგრამ ის სამუშაო, რომელსაც თენგიზ დოლიძე ასრულებს, განსაკუთრებით ძნელია და პასუხსაცემი. ძნელია იმიტომ, რომ აქ არ შეიძლება შეცდე. დიახ, არაფრით არ შეიძლება! ოპერატორის შეცდომა წარმოუდგენელია კია. შეცდეს ოპერატორი — ეს ნიშნავს, რომ დაღუპოს ქარხნის სახელი, პრესტიჟი, წყალში გადაყაროს ათასობით სახალხო მანეთი! ეს კი არავის არ ევალიდა... სასაქონლო განყოფილების ოპერატორი! სხვანაირად ამ სამუშაოს ნედლეულისა და მზა პროდუქციის საამქრო ჰქვია. ნედლეული... მზა პროდუქცია... რამდენი მენავთობის შრომა-გარჯა იგულისხმება ამ ორ სიტყვაში, რა შრომატევადი და დამქანცველი საქმეა ამ ორ სიტყვას შორის და შენ, ოპერატორს, უფლება არა გაქვს, დაღუპო ხარისხი და ათეულობით ადამიანის ნაშრომ-ნალექაწი.

და მაინც, მკითხველისათვის უფრო გასაგები რომ იყოს, მოდი თ დავად თენგიზის საშუალებით გავშიფროთ მისი საქმე, მისი პროფესიის სირთულე.

— ოპერატორმა უნდა ჩამოიაროს გემები, ვაგონციტერნები (ნედლეული ზომის მონადირეობა და რკინიგზით), უნდა მიიღოს ნედლეული, აიღოს სინჯი, უნდა შეამოწმოს მისხალ-მისხალ, ასევე უნდა შემოწმდეს მზა პროდუქციის ხარისხი, რაოდენობა, უნდა ამოიწეროს პასპორტი და მიეცეს ეიზა. მისხალშია, რომ მოტყუდეს, ქარხანაში მაშინვე გაჩნდება დანაჯარგები. ეს დანაჯარგები კი იმდენად დიდი იქნება, რომ ციფრობრივად მისი დასახელება შეგაშინებთ კიდევ.

სად არ მიღის ჩვენი ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის ნაწარმი, რომელ ქვეყანაში არ იგზავნება, და, ჯერჯერობით არ ყოფილა შემთხვევა, რომ ქარხანას წუნდებული ნაწარმისათვის რეკლამაცია მიეღოს. ცხადია, ამაში ქარხნის მთელ კოლექტივთან ერთად თენგიზის დიდი დამსახურებაცაა.

— მოსაწყენი ხომ არაა ოპერატორის პროფესია?

— ერთი შეხედვით კი. — მეთანხმება იგი, — საერთოდ, ჩემი აზრით, ყველა პროფესია კარგია, თუ გულთ გსურს, თუკი საქმე გიზიდავს და გიყვარს. ოპერატორის გონივრულ მუშაობაზე ბევრი რამაა დამოკიდებული, პირველ რიგში მთელი კოლექტივის მუშაობა და მოკიდებულია და თუკი ამ თვალსაწიერადან შეხედავს საქმეს, როცა ამ შეგნებით დადგები ყოველდღიურ შრომის ვახტზე, მაშინ, დამერწმუნეთ, სრულუბოთაა არაა მოსაწყენი. აბა, მარტო ზელფანისათვის ხომ არ მუშაობს კაცი? მარტო ამისათვის რომ ვმუშაობდეთ, ჩემი პროფესია, ალბათ, ისეთ მოსაწყენ საქმედ მომეჩვენებოდა, ვერ გავუძლებდი. პირველსავე დღეს დავკრავდი ფეხს და წავიდოდი იქ, საიდანაც ამ 34 წლის წინათ მოვედი.

— გქონდა თუ არა რაციონალიზატორული წინადადება და დაინერგა თუ არა წარმოებაში? — ეკითხები თენგიზს.

— დიახ, მქონდა! — მპასუხობს იგი. — ნედლეულის ყოველი სინჯის აღებისას ქარხანაში ტყუილუბრალოდ იღვრებოდა ნედლეულის გარკვეული რაოდენობა. ზომ გაგიგონათ, ზღვა კოვზით დაილიათ? ჰოდა, თანდათანობით ეს დანაჯარგები ტონებს

აღწევადა, ამით კი, ცხადია, ქარხანა, კოლექტივი ზარალდებოდა. ჩემი წინადადებით, ადგილას, სადაც სინჯს ვიღებდით, დაიდგა რეზერვუარები, რომელშიაც ნედლეულს გროვდებოდა, შემდეგ კი ამ ნედლეულს რეალიზაციაში ვუშვებდით. ასე რომ, ამის შემდეგ სინჯს ლამის სრულიად უდანაპარგოდ ვიღებთ.

თენგიზი მეტად ინიციატიუიანი კაცია. აი, თუნდაც ერთი მაგალითი: მისი თაოსნობით ქარხანაში მეტად მისაბამ მოძრაობას ჩაეყარა საფუძველი. ამ მოძრაობის დევიზია: „ყოველ ოპერატორს — საშუალო ტექნიკური განათლება“ ცოდნის, კვალიფიკაციის ამაღლება, ტექნიკური განათლების მიღება ოპერატორისათვის რომ აუცილებელია, ეს თავად ცხოვრებამ დაგვანახა და საჭიროებამ მოითხოვა. აქ ორი აზრი არც შეიძლება იყოს. რაც უფრო უკეთ ხარ დაუფლებული საქმეს, რაც უფრო მეტი იცი, უფრო მეტს მიალწევ და გააკეთებ. ეს კი ცოდნის გარეშე არ ხდება.

თენგიზის მაგალითზე, ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის ბევრმა მუშამ დაამთავრა ბაკოს ნავთობისა და იაროსლავლის ტექნოლოგიური ტექნიკუმი.

ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს თენგიზი ყოველდღიურ შრომაში. სწორედ ამიტომ, შრომაში მოპოვებული მნიშვნელოვანი წარმატებისათვის მიენიჭა მას საქართველოს სსრ ტექნიკის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება.

ეს იყო ამ ათიოდე წლის წინათ, შარშან კი მას საქართველოს სსრ სახელმწიფო სრემია მიანიჭეს.

ნავთობგადასამუშავებელ ქარხანაში, აბა, მოწინავეებს რა გამოლევს. პოდა, ასევე ქარხნის, ასეთ მოწინავე კოლექტივში რომ ყველასაგან გამოგარჩევენ და პრემიაზე წარგადგენენ, ცხადია დაიმსახურე ეს და კიდევაც წარმოადგენ, ალბათ, რაიმეს.

თენგიზმა კი ნამდვილად დაიმსახურა ეს პრემია — დაიმსახურა ალალი შრომით, კეთილსინდისიერებითა და კაცურკაცობით.

როგორ იმოქმედა სახელმწიფო პრემიის მინიჭებამ? რა თქმა უნდა, ძალიან გაახარა. იცის, რომ დავალებულია ყველას წინაშე, რომ ამიერიდან მოღწეული არ კმარა. წინ ახალი ზღუდეებია გადასალახავი, ახალი სიმაღლეებია ასაღები. იცის, ამიერიდან გაცილებით უკეთ უნდა იმუშაოს. მეტია საჭირო, უფრო შრომატევადი, შინაარსიანი.

— მშრომელი კაცი ყოველთვის იმაზე უნდა იყოს მოწადინებული, რომ მხარში ამოუდგეს კოლექტივს. დღეს გააკეთოს იმაზე მეტი, რაც გუშინ გააკეთა და რაც შეიძლება მეტი წვლილი შეიტანოს საერთო საქმეში, — ამბობს თენგიზი. — ახლა ზევს ლაპარაკონენ სახელმწიფო და შრომით დისციპლინაზე. რას გულისხმობს ეს დისციპლინა? პირველ რიგში ეს გულისხმობს კოლექტივის თითოეული წევრის პირად ბასუხისმგებლობას. სწორედ ამის შესახებ ასე ნათლად და გარკვევით ითქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმზე... ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციის აქტივის წინაშე გამოსვლისას ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა მკაფიოდ და ნათლად ჩამოაყალიბა ყველა ის საკანონო ამოცანა, რომელთა რეალიზაცია უზრუნველყოფს ჩვენი საზოგადოების შემდგომ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

— ახლახან გამოქვეყნებულ დადგენილებაზე რას იტყვით?

— დადგენილება ლითობისა და ალკოპოლიზმის შესახებ, არა? სწორედ რომ დროული და მეტად საჭირო დადგენილებაა. იგი ჩვენი კოლექტივის თითოეულ წევრს ავალებს სიფხიზლე ცხოვრების ნამდვილ ნორმად აქციოს. ჩვენს ქარხანაში, ისე როგორც სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, ეს აუცილებელი პირობაა — წარმატებების მოპოვების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა.

ყოველდღიურ შრომით ვახტზე რომ დგას, თენგიზს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ახალი წარმატებებით შეხედეს ლენინური პარტიის XXVII ყრილობას.

ახალი ლექსები

დაბადების 60 წელი შეუსრულდა თვალსაჩინო ქართველ პოეტს მისილ კვლივიკეს.

„ჭოროხის“ რედაქციისა და მკითხველთა სახელით ვულოცავთ პოეტს ღირსსაჩინოვარ თარიღს და ვბეჭდავთ მის ახალ ლექსებს.

ზ ჳ ა ს

სულ გაკვირდები
და სულ იმის გაგებას ვცდილობ.
რას ნიშნავს შენი გარინდება, ღელვა, ზმორება?
რომელ მხატვარმა დაგახატა სურათის ტილოს,
უკვდავი სულის
და სამყაროს უსაზღვროება?
მე ვიცი, ზღვაო,
რასაც იძენ, იმწამსვე ჰკარგავ,
სხვისთვის ღია გაქვს ჩარაზული ჩემთვის კარები,
აღბათ, სხვებივით რომ გიცნობდე — ახლო და
კარგად,
ახე ძლიერად
ვერასდროს ვერ შეგივარებდი!..

წყნარი საღამო

მოეხსნა იქით ჩაქრა დაისის შუქი,
გამუქდა მიწა და სწორედ იმ
დროს
წიაფ-წიაფით,
ჰაერში ბუქნით
გადაუქროლა ტოროლამ
მინდორს.
ქარში გაწვევტილ სამივით ნელა

დაირხა ჩიტის ზმა გულსაკლავი
და მერე უფლის უჩინარ ხელმა
მას მიაჭედა ერთი ვარსკვლავი
და იმ ვარსკვლავზე,
სულის საამოდ,
სანამ თვით უფალს დაეინახავდი,
მე ჩამოვკიდე „წყნარი საღამო“ —
ეს გულუბრყვილო ჩემი ნახატი.

ღმერთი და რჯული,
პოეტებში
არ ჰგავდა არცერთს. —
თავის თავს მხოლოდ,
თავის ნათქვამს
და თავის ნაწერს,
თავის საქციელს,
თავის ღიმილს
და მიხრა-მოხრას,
ხელის ჩაქნევას უიმედოდ
და ამოიხერხას
და იმას, რამაც
მოუსწრაფა სიცოცხლე ბოლოს...
თავის თავს ჰგავდა,
სხვას არავის,
თავის თავს მხოლოდ!
როცა გისმენდათ,
ფრინველივით თავს გვერდზე
ხრიდა
და თქვენს წინ მჯდარი,
გიყურებდათ ზევდან თითქოს,
გულმოწყალე და თავმდაბალი,

რატომღაც თვლიდა,
რომ ქვეყნად
ყველას და ყველაფრის
მოვალე იყო.
რა აწუხებდა?
ეგრე რატომ შფოთავდა მუდამ?
ანდა, რად იყო თავის თავზე
ყოველთვის მწყვდარი?
იქნებ, —სხვებივით —
მასაც ღიბხანს სიცოცხლე
სურდა,
მაგრამ იქარა მოეხადა
სიკვდილის ვალი?!
იქნებ, მობეზრდა ამქვეყნიურ
როლის თამაში?
გაცლა არჩია... და თავისი
სიმღერის გარდა,
არ ღაგვოტოვა არაფერი...
მაგრამ ამაშიც,
ღმერთი და რჯული, —
ის ამაშიც
თავის თავს ჰგავდა!

პვირპვინები

ადამიანს
მარტო ერთი გვირგვინი
შეიძლება ეხუროს თავზე:
ან ოქროსი,
ან ეკლისა,
ან ღაფნისა...
სამივე გვირგვინის
ერთდროულად ტარება
შეუძლებელია.





სახლი სოფლის გოდოში

მოხუცი თეიმურაზის სახლი სოფლის ბოლოში. მწვანე გორაკზე იდგა. გორაკის ძირში პატარა მოუსვენარი ღელე მოჩხალავდა. სხვა, უფრო საშურ საზრუნავში ყელამდე ჩაფლულმა გლეხებმა ვერა და ვერ გამოუნახეს სახელი. ბოლოს ხელი ჩაიკნეს — რა საჭიროა, სხვა ღელე ახლომასლო არც არისო. სახელს კი იმიტომ არქმევდნ ღელეებს, რომ ერთი მეორესაგან გაარჩიონ. როცა ამბობდნენ — „ღელის პირას“ ან „ღელის გაღმა“ — ყველამ იცოდა, რომელ ღელეზეა ლაპარაკი და ეს სახსებით საკმარისი იყო

სწორედ ასე, როცა მოხუცზე ათას რამეს ჰყვებოდნენ, ყველამ იცოდა, რომ თეიმურაზზეა ლაპარაკი, თუმცა სოფელში სხვა ბერეკაციებიც იყვნენ, მაგრამ თეიმურაზი ყველაზე ხნიერია იყო და ისინიც, სამოცდაათი წელი რომ შეუსრულდათ, ფეხზე წამოდგებოდნენ ხოლმე, როცა თეიმურაზი სახლში შედიოდა.

რას არ ჰყვებოდნენ მოხუცზე ლოშისში, ღელის პირას.

ზოგი რამ ჩვენც გვიამბებს. ამ დროს მოხუცი თავისივე ხელით გაკეთებულ გრძელ შინდისტირან ჩიბუხს აბოლბდა. შიგადაშიგ შენიშვნას ურთავდა ნაამბობს, ხან ეთანხმებოდა მოსაუბრეს, ხან — არა, კაი გვარიანი ანჩხლი იყო ბერეკაცი.

საუბარი იმით დავიწყეთ, რომ სოფლსაბჭოს თავმჯდომარეს, ბაგრატ დევძეს, ვკითხეთ: — ვის მოუვიდა თავში სახლის აშენება სოფლის ბოლოში გორაკზე და ასე რად განერიდა ყველა მეზობელს? სახლი ახალი აშენებული იყო — კრამიტი მზის სხივებზე ელავდა და აგურის კედლებიც შუქს ასხივებდა, დიდ ორსართულიან სახლს აივანი ამშვენებდა, გორაკის ფერდობებზე ახალგაშენებულ ბაღს რომ დაღაჟებოდა.

— ხომ საოცარია! — თქვა ბაგრატმა, — ამაზეა ნათქვამი, ჩემი სახლი სოფლის ბოლოშია, არავისთან არაფერი მესაქმებო!

— მართალია, ასე ამბობდით! — წაიბურტყუნა თეიმურაზმა.

ბაგრატს გაეღიმა და განაგრძო:

— ეს სახლი თეიმურაზმა თავისთვის აიშენა. ალბათ, რომ მოხუცდა, დასვენება და განმარტოებით ცხოვრება ირჩია... დაიჩემა და ვერ გადავათქმევინეთ — ასეც მიფუდექით, ისეც. სოფლის ცენტრში კარგი საკარმიდამოც შევურჩიეთ, — აიშენე აქ სახლი, შენც გაიხარებ და სოფელსაც გაახარებ! — არა და არა — არ დაიშალა. არ მინდოდა სოფლის ცენტრში ცხოვრება. სოფლის განაპირას მირჩევნია, მარტო მინდოდა ყოფნა, ყველას მინდა გავშორდე. მერე ვვეუბნება: — ასე მირჩევნია, სოფლისათვის კი სულერთი არაა?

— სტუმრებს მაინც უთხარი მართალი, — შეაწყვეტინა თავმჯდომარეს. — სულ ტყუილია, არ მითქვამს მე ეგ. ავდეკი და ავიშენე სახლი, სადაც მომეპოიანა... აქ სახლის აშენება დიდი ხანია გულში მქონდა ამოკრილი ჭერ კიდევ მაშინ, როცა მამაშენი დაბადებულიც არ იყო... ჩვენ აქ ბავშვობისას გაუვალ ბუჩქნარებში მემამულეს ვემაღლებოდით. მემამულე ქალაქში გვიბირებდა გაგზავნას თავის საჩინბოში, მოსანსახურედ. ამიტომაც ვემაღლებოდით. ბაღახებში ვიწეით და ვოცნებობდით — რა კარგია, არავის რომ არ გეშინია, იცხოვრე არხენად. მხოლოდ აქ, ბუჩქებში ჩამალულნი ვგრძნობდით თავს ბედნიერად. და დამებადა ასეთი ბავშვური აზრი: როცა გავიზრდები, ავიშენებ სახლს ამ გორაკზე და ვიცხოვრებ ბედნიერად — ელარ მომწვდება მემამულე.

თეიმურაზმა ჩიბუხი გააბოლა. კმაყოფილებით შეათვალიერა ახალი სახლი და დაუმატა:

— მემამულემ, რაღა თქმა უნდა, დიდი ხანია ჭირი მოგვქამა, მეც კარგად ვცხოვრობდი მამისეულ სახლში, მაგრამ მაინც ავიშენე სახლი გორაკზე. როგორ არ გესმით — ოცნება ავისრულე!

მე თავი დაუვქნიე. ბაგრატმა გაიცინა და თქვა:

— კარგი, მოხუცი, მაგრამ სტუმრებს რატომ არ ეტყვი, როგორ აჭობე ქუთაში მთელ სოფელს.

— შენ თვითონ უამბე.

— ჩვენს მოხუცს, — თქვა ბაგრატმა, — ჰყავს ვაჟი...

— სამე ვაჟი, — შეაწყვეტინა თეიმურაზმა.

— ...ჰყავს სამი ვაჟი. ერთი მათგანი ქალაქში არქიტექტორად მუშაობს.

— ავთანდილი ჰქვია. — ჩაურთო მოხუცმა.

— და აი ავთანდილ ნემსაძე (მოხუცმა კმაყოფილების ნიშნად თავი დაუქნია) მამის მოსანახულებლად სოფელს ეწვია. ერთი ორი კვირა დარჩა. მოხუცთან ერთად სოფელს ათვალიერებს, რაღაცას იწერს და იხატავს დიდ რვეულში. ერთხელ სოფლის უოლოს, ამ გორაკზე და ღელის გაღმაც დაინახეს, მოხუცი წარამარა იშვერდა ხელს ხან იქით, ხან აქეთ. მისი ვაჟი კი იწერდა და იხატავდა. ჩვენ მაგათთვის არ გვეცალა — მოსავალი დასამინავებელი იყო, ბედლები სოფლის ბარაკას ვერ იტევდნენ...

— საქმეც ეგ არის — არასოდეს არ გცალიათ! — თქვა მოხუცმა, — ხან მოსავალს იღებდით, ხან თესავდით. ეს გაზაფხულიო, ეს შემოდგომაო. ასე იყო წლიდან წლამდე. არ იქნა და ვერ მოიცალეთ.

— დამაცა, დამაცა, ბერიკაციო, — შეაჩერა ბაგრატმა, — რაკი დამაწყებინე, ბარემ დამამთავრებინე ამბავი. ბოლოს გაბრუნდა ავთანდილი ქალაქში. ცოტა ხანში ისევ ჩამოვიდა, მოვიდა სოფლსაშტოში და გვეუბნება: — მე და მამაჩემმა შევადგინეთ ჩვენი სოფლის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმა, პროექტიც ჩამოვითანე. შეკრიბეთ ხალხი და განვიხილოთ. — კედელზე გააკრა თავისი ნახაზები და ნახატები. ხალხმა თავი მოიყარა და დაინახა ის, რაზედაც თითოეული ჩვენგანი თავისებურად ოცნებობდა... ოღროჩოღრო შარის ნაცვლად ხელისგულივით სწორი ქუჩები გაჭიმულიყო, ერთი მეორეზე ლამაზი სახლები გემოვნებით იყო განლაგებული, სოფლის ცენტრში — შადრევნიანი შოედანი. არც აგროლაბორატორია და კლუბი, არც სასტუმრო დავიწყებია თქვენისთანა საპატოო სტუმრებისათვის. მთელ კედელზე იყო გაშლილი მეცხოველეობის ფერმის, მექანიკური სახელოსნოს, აგურის ქარხნის, საწყობისა და ბედლების გეგმები. — აი ასე უნდა გამოიყურებოდეს ჩვენი სოფელი ხუთიოდე წლის შემდეგ, ან უფრო ადრეც, თუ მოინდომებთ, — თქვა მოხუცმა და დასძინა: — მე კი, როგორც ხედავთ, გეგმის მიხედვით უკვე ავაშენე პირველი სახლი.

ახალაა ჩახვდით, რომ როცა სოფელი გაიზრდება, თეიმურაზის სახლი სოფლის

ბოლოში კი არა, თითქმის ცენტრში აღმოჩნდება. წინადადებულმა ბერიკაცმა თავისთვის ჩინებული ადგილი აირჩია!

მოხუცმა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ხელი ჩაიჭინა და ჩიბუხის გაწყობას შეუდგა.

სოფლისაბჭოს თავმჯდომარე განაგრძობდა:

— ჩვენს კოლმეურნეებს თავდაპირველად ჰკუთნიდა დაუფლავი ეს გეგმა, აღტაცებულებიც კი იყვნენ (მთელი ეს განაზრახი თავისთავად ძალიანაც მოსწონდათ), მაგრამ მერე, როცა ეშუში შევიდნენ, დაბრძენებული არქიტექტორებივით დაიწყეს განსჯა. უველათერი სწორია თუ არა პროექტშიო, ხომ არ გამოჩნდა რაიმე და ხომ არ შეიძლება კიდევ რისიმე მოფიქრება. ზოგმა თქვა, კარგი იქნება საზოგადოებრივი გარაჟის აშენება მსუბუქი ავტომობილებისათვის, რომ კოლმეურნეებს ნაკლები საზრუნავი ჰქონდეთო, ზოგმა: აუცილებელია წიგნის მაღაზია, თორემ სანამ ქალაქში ჩავიდოდეთ, ყველა ახალი წიგნი გაიყიდებაო. დიდხანს მსჯელობდნენ ყველანი — დიდებიც და პატარებიც. ჩვენი ბრიგადირები სერგო ნადირაძე და სანდრო მარუაშვილი ერთმანეთს ელაგებოდნენ, რა ხეების დარგვა სჯობია ქუჩის გასწვრივ. ერთმა თქვა, ცაცხვისაო, ფუტკრებსაც რომ წაადგეს, მეორემ — დაფნა სჯობია, მარად მწვანეა და ქუჩას ზამთარ-ზაფხულს დაამშვენებსო.

რაზე არ ილაპარაკეს!

ავთანდილი ყურადღებით ისმენდა კოლმეურნეთა ნათქვამს. ესო, თქვა მარტო ამ პროექტისათვის კი არა, სხვა მრავალი პროექტისთვისაც გამოდგებაო.

შეთანხმდნენ, სოფლის კეთილმოწყობის საკითხი სოფლისაბჭოს სესიაზე და კოლმეურნეობის საერთო კრებაზეც განიხილათ. პატარა საქმე ხომ არ არის, მისი ნაუცბათეველ გადაწყვეტა რა თქმა უნდა, არ შეიძლება.

— რა მოსაწყენად ყვები! — თქვა მოღუშულმა მოხუცმა, — თუ ყველა იმ კრებისა და თათბირის ჩამოთვლას აპირებ, რომლებზეც ამის თაობაზე იმსჯელეს, აჯობებს, წავიდე და ვინმე გამოვგზავნო, რომ შენი ლაპარაკით თავმოებზრებული სტუმარი იხსნას. დატანჯე კაცი! თქვი უბრალოდ: კოლმეურნეები შეთანხმდნენ, მხარი მხარს მისცეს, შეუდგნენ საქმეს და სამიოდ წელიწადში, რაც ქაღალდზეა დახატული, გაშენდა აქ, აშ მიწაზე... სულ ეს არის, რად უნდა ამას ამდენი ლაპარაკი!

ძოხუცმა ბავშვური სიწრფელით გაიცინა და ბაგრატს მხარზე ხელი მოუთათუნა.

— აბა წავედი. არ დაიგვიანოთ, ვახშამზე დაველოდებით.

— კარგი, წამოვალთ, როგორც კი სტუმარს ჩემი საუბარი მომეზრდება. — თქვა ბაგრატმა.

— თუ ასეა, სანამ მე მივიჩანალები, თქვენ მიმასწრებთ სახლში. — თქვა მოხუცმა და ჩქარა გაეცალა იქაურობას.

ბაგრატი დიდხანს კეთილი ღიმილით მიაცილებდა მოხუცს.

— სად ნახავ ამისთანა ბერიკაცს! — გადმოგვილაპარაკა, როცა თიბურაში გორაკს მიეფარა. — თავს არ შეგაწყენდით, მაგრამ მე რომ არ მეთქვა, შექველია, სხვები გიამბობდნენ. რაკი ჩვენს სოფელში ჩამობრძანდით, ბოლომდე უნდა მოისმინოთ მოხუცისა და მისი სახლის ამბავი... როცა კოლმეურნეთა კრებაზე საბოლოოდ გადაწყდა სოფლის კეთილმოწყობა, წამოიჭრა საკითხი — რით დაგვეწყუო. უპირველესად საჭირო იყო დაგეგმარება და გზების მოწესრიგება. ჩვენს კოლმეურნეობას რამდენიმე წლის განმავლობაში მილიონობით შემოსავალი დაუგროვდა. ასე რომ, შეგვეძლო მშენებლობის ფართო ფრონტით გაშლა. ვიმსჯელეთ — რა ავკეთებინა პირველ რიგში, წისქვილი, გარაჟი თუ აბანო... მაშინ წამოდგა ექვსი შვილის დედა ეთერ გოცირიძე და თქვა:

— უპირველესად უნდა აშენდეს საბავშვო ბაგა და ბაღი. ბავშვებიც გაიხარებენ და

დედებიც. სოფელში ასამდე ბავშვიანი ქალია. დედებს მეტი მოცლა გვექნება. ახი ქალია
კი სოფელში დიდი ძალია! ჩვენ ყველამ უნდა ვიმუშაოთ!

— მართალს ამბობს ეთერი! — აყვირდნენ ქალები, ბავის აშენება მართლაც საშუ-
არი საქმეა, ჩვენც უნდა გვექონდეს მუშაობის დრო... ბევრი ბავშვი გეჟავს და კიდეც რა-
მდენი გვეუბლება! — ისმოდა ყოველი მხრიდან.

როგორც იქნა დავაწყნარე, — აგრე იყოს!

გადაწყვიტეთ, ჭირ ბაგა აგვეშენებინა. ავწონ-დავწონეთ — სამ თვეზე ადრე ვერ
ავაშენებდით. ისევ ახმაურდნენ ქალები. სამ თვეს ვერ დავიცდით — დრო ძვირად გვი-
ღირსო. რაღაც უნდა მოგვესაზრებინა!.. რა უნდა მოისაზრო, ბაგას ფარდულში ხომ ვერ
გახსნი!

მაშინ წამოდგა ჩვენი მოხუცი და თქვა:

— არავითარი ბავის აშენება არ არის საჭირო! აგურები სხვა რამისთვის შემოინახეთ.

სოფელში ყველა პატივისცემით ეპყრობა მოხუცს, მაგრამ უკმაყოფილო ხალხის
ღრიალცელმა მისი სიტყვები დაფარა. მოხუცმა გაიღიწა, ყველას თვალი მოავლო და
თქვა.

— გვაქვს ჩვენ ბაგა და ძალიან კარგი ბაგაც! უკეთესს ვერც ინატრებ: ჩემი ახალი
სახლი, გორაკზე რომ დგას, მიჩუქნია ჩვენი პატარებისათვის. მგონია არ დამიწუნებენ!

ამის თქმა იყო და ყველამ ხმა გაკმინდა. უყურებენ და ვერ მიმხვდარან, ხუმრობს
თუ მართალს ამბობს. ხომ ყველამ იცოდა, როგორ ოცნებობდა იგი ამ სახლის აშენებაზე,
იმაზე, თუ როგორ იცხოვრებდა შიგ შვილებითა და შვილიშვილებით.

პირველმა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ პარმენ ვერულაშვილმა დაარღვია სი-
ჩუმე. იცოდა მოხუცის ხასიათი და უნდოდა ისე ეთქვა, რომ ყველასათვის გასაგები ყო-
ფილიყო და არც მოხუცს წყენოდა.

— ჩვენ ისე ვაპირებთ სოფლის კეთილმოწყობას, რომ ყველამ კარგად, უკეთესად
იცხოვროს. მაგრამ ვერ შევუბრუნებდით იმას, რომ თუნდაც ერთი კაცი ახალ სოფელში
უარესად ცხოვრობდეს, ვიდრე ძველში. თეიმურაზმა სახლი აიშენა თავისთვის და უნდა
იცხოვროს ისე, როგორც ოცნებობდა.

— მე ჩემდათვად სწორედ ისე ვიცხოვრებ, როგორც ვფიქრობდი ცხოვრებას! —
— შეაწყვეტინა მოხუცმა. — ავიშენებ მეორეს. მორჩა და გათავდა, მაგრამ არ მეჩქარე-
ბა. ბაგა კი ჩვენ სვალვე გვპირდება.

ხედავს მოხუცი, რომ არ უჭერებენ, ფეხი მწინაცვლა და განაგრძო:

— ხომ არ გვონიათ. სიკვდილს ვაპირებ. კარგა ხანს ვიცოცხლებ კიდეც და არც
ახალგაზრდებს დაეუღებ ტოლს მუშაობაში, მაგრამ, მართალი რომ გითხრათ, შეცვლი —
სახლი გორაკზე არ უნდა ამეშენებინა (ეშმაკურად გაუბრწყინდა თვალი ბერიაცს). მი-
ჭირს აღმართში სიარული — მუხლი მეკვეთება და გულიც მჩხვლეტს, სახლი სადმე და-
ბლოში უნდა ავიშენო... ასე რომ, დიდად დაგიმადლით თუ ნებას მომცემთ, სხვა სახლში
გადავიდე საცხოვრებლად.

— კი მაგრამ, ახალი სახლის აშენებაზე სად იცხოვრებ? — შეეკითხა მერგოლური
ნიკო სვანიძე.

— კეთილ ხალხს ქვეყანაზე რა გამოლევს. ვინმე შემიკედლებს მარტოხელა მო-
ხუცს. — აუკანკალდა ხმა თეიმურაზს.

ამის გაგონებზე ყველა აყვირდა:

— ჩვენთან, ჩვენთან იცხოვრე, თეიმურაზ... — არა ჩვენთან!... ჩვენთან ჯობია!
კარგად შევეწყობით ერთმანეთს, — მით უფრო, რომ არ ვარ პირველი. — დაუმატა
მოხუცმა.

დიდი ქილია ბერიაცია! ბევრი ვიცინეთ, რადგან ღელესგაღმელებმა კი იცინა
რა ახირებულიცაა.

— იცხოვროს თეიმურაზმა რიგრიგობით ყოველ ჩვენთანთან, როგორც ძვირფას-
მა სტუმარმა, — თქვა სერგომ.

— მაგას მერე ვნახავთ, — თქვა მოხუცმა კმაყოფილმა, რომ, ბოლოს და ბოლოს,
ყველაფერი გადაწყდა.

მაგრამ ისევ წამოდგა კოლმეურნეობის თავმჯდომარე და თქვა:

— კარგი, თუ თეიმურაზს უჭირს გორაკზე ასვლა, მივიღებთ მის სახლს და სა-
ფასურსაც მივცემთ.

შეამჩნიეს, რომ მოხუცი მოიღუშა და ყველანი გაინაზნენ, რათა კარგად გაეგონათ, რას
იტყოდა.

— ციცი გვარზე ხტისო. მთლად მამაშენის ალი-კვალი ხარ — ჭიუტი და ამაყი
ბერიაცია იყო... ეტყობა, თავმჯდომარის თავმოყვარეობა არ განებებს ასეთი ძვირფასი
საჩუქრის მიღებას. ასეა, ხომ? ვანა არ ვიცი, რომ ჩვენი კოლმეურნეობა მდიდარია და
ჩემი დახმარება არ სჭირდება! მაგრამ... (მოხუცი ძლიერ ღელავდა და სიტყვებს ვერ
პოულობდა). იცი თუ არა, რა არის ჩემთვის ეს სახლი? მარტო კედლები და სახუ-
რავია ვანა? ჩემი ხანგრძლივი და მძიმე ცხოვრების ნაწილია, ყველასგან მივიწყებული
მწვერული ბიჭის ოცნება! ეს იყო ბრძოლა ნამდვილი ადამიანური ცხოვრებისათვის, ეს
მოძაღვის რწმენა იყო... (მოხუცი წელში გაიმართა და ჯეღს დაემსგავსა), ეს საბჭოთა
გლეხის მაღალი ღირსებაა. თქვენ ახალგაზრდები ძნელად თუ გაიგებთ ამას, მე კი თქვე-
ნზე უფრო მიძნელდება ყოველივე ამის ახსნა... სახლი ჩემი შვილიშვილებისა და შვილ-
თაშვილებისათვის ავაშენე. კარგად იცნობთ ჩემს ვაჟიშვილებს. დავითი ჭარში მსაუ-
რობს, ავთანდილი არქიტექტორად მუშაობს, რევაზი უნივერსიტეტში სწავლობს. ისინი
ჩემი შვილები არიან, იმ გლეხკაცის შვილები, ბატონი სახლში ფეხს რომ არ შეადგე-
ვინებდა. სასახლო ბიჭები მუავს, ისინი დიდ და კარგ სახლებს აიშენებენ. იმაზე უკე-
თესს, მე რომ ავუშენე. ბევრი დიდი და კარგი სახლი უნდა გვკონდეს... — მოხუცმა ხე-
ლი მეკრღვე მიიღო, — მაღლობელი ვარ, რომ ხელი შემეწყვეთ და შვილები ხალხში
გამოწყვანინეთ, სამაგიეროდ ეს სახლი მიჩუქნია თქვენთვის.

მოხუცმა მდაბლად დაუტრა თავი მთელ კრებას.

ხელში უნდა აგვეყვანა მოხუცი და ათჯერ მაინც შეგვესროლა პაერში, მაგრამ აღარ
შევაწუხეთ. რაღაცას ვცვიროდით და დიდხანს ვუკრავდით ტაშს.

ყოტათი რომ დავეშოშინდით, მოხუცმა უკვე სხვა ტონით გვითხრა (არ შეეძლო
არ ეთქვა, ასეთი ხასიათისა იყო):

— იმასაც გეტყვით, თქვენ ყოყლოჩინებო, რომ თქვენ კი არა, ჩვენს მაღხაზებს
ფრუქნი ჩემს ახალ სახლს, რადგან ისინი ამ სიწის მომავალი ბატონ-პატრონები არიან...
ნუ გგონიათ, ძვირფასო ღედებო და მამებო, რომ თქვენი ბავშვები მარტო თქვენ გე-
კუთვნით. ისინი ჩვენი შვილებიცა არიან. ჩემი შვილიშვილებისათვის სომა უნდა ვიზრუ-
ნო. ამიტომაც ავაშენე ასეთი სახლი...

...მეორე ღელსვე მოხუცი შეუდგა სანდრო მარუაშვილთან გადაბარებას (ბრი-
გადირმა დაუჩემა, რადგან თეიმურაზი მის ბრიგადაში მუშაობდა). მოხუცმა მხოლოდ
ქვეშაგები, ტანსაცმელი და სანადირო თოფი გაიყოლია (ბავშვებს მარცხი არ მოუვი-
დეთო), დანარჩენი ავლა-დიდება პატარებს დაუტოვა.

მაგის გამგეობა ეთერს მივანდეთ — ეს კეთილი აზრი ხომ მას დაებადა, ღედობის
გამოცდილებაც სხვაზე მეტი ჰქონდა. ყველას გაესარდა, რომ დაითანხმეს, თუმცა გუ-
ლით უნდოდა სხვებთან ერთად ემუშავნა სოფლის კეთილმოწყობისათვის. რამდენიმე
მოსწავლე გოგონამ გამოთქვა სურვილი, ჩვენც დაგესმარებოთ.

ეთერი ქალაქში ჩავიდა, ჩამოიტანა ავეჯი, სათამაშოები, ჭურჭელი, ყველაფერი, რაც ბავისათვის იყო საჭირო.

შევუდექით ახალი სახლის გაწეობას, ისე, ბაგას რომ შეეფერებოდა.

და ამ ისევ აგვიხიროდა მოსუცი. დადიოდა ოთახიდან ოთახში და შეუვალი ტონით იძლეოდა განკარგულებას: ლოგინები აქ დადგით, სურათები იქ დაკიდეთ, ეთერმა და-პირა კასრში ჩარგული პალმის გადადგმა, მაგრამ მოსუცმა წარბები შეიკრა, შეხედა და უთხრა:

— ამ სახლის აშენებანდე მოვუხაზე მაგას ადგილი და აქვე უნდა იდგეს.

ეს იყო და ეთერს მოსუცისათვის ურჩობა არ გაუბედინა.

დღეში რამდენჯერმე ადიოდა გორაკზე, რათა გაეგო, რა ხდებოდა, დახმარება სომ არ სჭირდებოდათ. ბევრი სე დარგო სახლის გარშემო. ასწორებდა გორაკისაკენ მიმავალ ბილიკს. არასოდეს არ ჰქონია აშდენი საზრუნავი.

ერთხელ გორაკზე შეგხვდი და ვეუბნები:

— ამ სახლში რომ ცხოვრობდი, დღეში ერთხელ ამოდიოდი, ისიც სამუშაოს მერე, აკი კრებაზეც თქვი, მიჭირს აღმართის ავლა, მუხლი მეკვეთებო, გული მსწდებო. ახლა კი დღეში ბარე ათჯერ ამოდიხარ და არაფერსაც არ უჩივი. რა გამოდის? სომ არ ნოგვაცაუე?

— გვიან მიხვდი! — ჩაიბუტბუტა და ნაბიჯს აუჩქარა — არ უნდოდა გვერდით გავეყოლოდი.

...მალე მზად იყო ბაგა. საზეიმოდ გახსნის დღეც დათქვეს. ეს თითქმის უმზუნველო ამბავი მთელი სოფლის ზეიშად გადაიქცა.

კვირადღე იყო და თუმცა შემოდგომა იდგა, მზე ისე თბილად იღვრებოდა, გვეგნებოდა, გაწაფხულიყო. სტუმრებმა თავი მოიყარეს ბაღში, სადაც დიდი ყვავილნარი იყო გაშენებული. თეიმურაზს წინააღმდეგ აქ ყვავილებისათვის ახლად დარგული ტიტები და ვარდები შეემატებინა.

მოსუცი თეთრ ჩოხაში გამოწყობილიყო. ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ რომ ეცნა — ქოჩილში.

ყველაზე საპატიო ადგილზე დასვეს, მაგრამ არ ისურვა (სად გაგონილა. მასწავლებელი ლეკუთარ სახლში სტუმრად იჯდეს!) და წავიდა ოთახების დასათვალიერებლად. კმაყოფილი დარჩა. მაშინ ეთერმა მთავარ შემოსასვლელში წაიყვანა.

— კინალამ დაგავიწყდა — აი, ესეც ნახეთ...

მალა, კარის თავზე, დიდრონი ასოებით ეწერა:

„თეიმურაზის საბავშვო ბაგა“.

მოსუცმა თვალი მოჭუტა, თითქმის კარგად ვერ ხედავსო და შეცბუნებულმა თქვა:

— ამას კი ვერასოდეს ვიფიქრებდი.

ყველანი მხიარულობდნენ, ბავშვები მღეროდნენ და ცეკვავდნენ. ვეღარც მოსუცმა შეიკავა თავი და ბავშვებთან ერთად იცეკვა.

ეთერმა ტკბილეული დააცხო, სტუმრებმა ხილი მოიტანეს. ასე რომ, უხაჭმოდ არავინ იჯდა.

თეიმურაზის საბავშვო ბაგა... ეგებ ცოტა უცნაურადაც უღერდეს, მაგრამ მთელ სოფელს კი ეამაყება...

...ხმაყრილა ბავშვების ჟრიაშული ისმოდა გორაკიდან

— ხედავ? ჩვენი ბავშვები ბრუნდებიან სეირნობიდან. — თქვა ბაგრატმა. თავისი ფართოფარფლებიანი ქუდი მოიხადა და ბავშვებს დაუქნა.

მზით განათებული, ყვავილების დიდი თაიგულით დატვირთული ბავშვები ბილიკზე ამოდიოდნენ, მოსუცსაც დაეკრიფა ყვავილები და ბავშვებს უკან მოჰყვებოდა.

ლია გულში

ლია გულში ეშმაკი ვერ იბუდებს,
მაშ, გახსენით გულები ღვთაებრივი ნათელით.
გული თუ გაიმრუდე, სული თუ გაიმრუდე,
სიტყვა თუ გაიმრუდე, აღარა ხარ ქართველი.
ლია გულში ეშმაკი წამითაც ვერ თავსდება,
ლია გულში ოცნება ფრენით აიშვოსნება.
რითაც კაცი ფასდება, რითაც კაცი ფასდება,
რითაც კაცი ფასდება, არის პატიოსნება!
ლია გულში არ რჩება მძულვარების ნასახი,
მაშ, გიყვარდეთ, გჯეროდეთ, მაშ, გახსენით გულები,
მძულვარების ბილიკი ეკლით არის ნაძრახი,
სიყვარულის ბილიკი გვხვდება თაიგულებით.
ლია გულში ღია ცა ლაქვარდს გადაიპყრებს
და გულიდან თვლებში მონარნარებს ნათეფი.
გული თუ ჩაიხურე, პირი თუ გაიმრუდე,
აღარა ხარ კაცი და აღარა ხარ ქართველი.

შარა ანდუდი

დედა-მამა,
ცოლ-ქმარი,
და-მმა თუ
ქალ-ვაჟი, —
სათვალავს ოდითგან რომ ვიწყებთ ქალით,
არა და არ არის, არ არის ამაში
მოდა ან გაღაზდა მოღური ვალის.
არ არის შემთხვევით ან ხატრით მცირედით
კვამლიან სინათლედ ბრიალი კვარის.
ქალია ოდითგან სითბო და იმედი
და იგი მომავლის ღიდება არის.
ჯანის ძველ ლიბოზე წარწერა მაგიერობს, —
„დედატო“ ქალია, სახელი მდადას.

ს.ქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
გერმანიის
საზღვრო
სამსახური

ქართული კლემა და სინაზე მაგიობს
და შარავანდედიც ამიტომ დადის.
მორკინალ რაინდებს, მოჯანყე მწვერვალებს,
გულით რომ აღუღეს მტრობა თუ ავ-კარგი,
გაჰყრიდა ქროლვათა მანდილი ელვარე
ქალისგან ქალური სინაზით ნაქარგი.
დედა-მამა,
ცოლ-ქმარი,
და-შმა თუ
ქალ-ვაჟი, —
სათვალავს რომ ვიწყებთ სახელით ქალის,
რაინდულ თავაზის სულია ამაში,
ამაში ქართული დიდება არის!

ა რ წ ი ვ ი...

არწივო, მხარკვერიანო,
პატიოსნების ნათელო,
მტრის გულზე ფეხდანადგამო
ხმაღჯავრიანო ქართველო,
ამრავლე ჯიში, ჯილაგი,
სვე გაიტანე მხარულით,
ჯარობას ზარი დასძახე,
„ჯვარობას“ კიდევ „ჯვარული“.
არ დაივიწყო, საფლავი
ხმაჩაწყვეტილი ხევია.
ყველაზე დიდი დამპყრობი
ნასოფლარ-ნასახლეცა,

ყველაზე დიდი მოძულე,
რასაც კი მტრობა რქმევია,
მიტოვებული გზები და
გკლად გასული ზერებია.
თუკი მტერივით მოგვარდა
ნასოფლარები, ნაშენი,
თუ ყაჩაღივით მოგეჭრა
ნასახლეები ნაშენი,
ნასოფლარს კოხტა სოფელი,
ნასახლევს სახლი აშენე
და შენი გადამშენები
ისევ შენ გადააშენე!



მსგავსება

ადრინად მიაკითხეს...

— თუ ძმა ხარ, წამო ერთი, როგორც სპეციალისტმა ნახე. — სქელს საღმის თქმაც კი დაავიწყდა.

— რა ენაზო? — გამხდარი, მხერგამოღამებული ვერ მიმხვდარიყო, რასა სთხოვდნენ.

— ზოგი ამბობს ჰვავსო, ზოგი — არაო... ხო გცალია? — პირგაუპარ-სავი, წვერში თეთრმოძლაერებული გამოხედვაშეწუხებული უხსნიდა.

— მოვიცლი. — ახალგაზრდა მხატვარი გუმანით მიხვდა, მეუღლე-მკვდარი ცოლის პორტრეტზე ესაუბრებოდა.

ვესტიბიულიდან გამოვიდნენ, რამდენიმე საათი ჩაათავეს. იქვე ნაცრისფერი „ვოლგა“ ეღოღათ. ავტომანქანაში სამი ისხდნენ: სქელის ცოლისდა, ქალიშვილი და შოფრად წამოყვანილი მეზობელი.

გამხდარმა სალაში თქვა, შოფრის გვერდით დაჯდა. ახალა შენიშ-ნა, „ვოლგის“ სალონი ჭირისუფლების სამოსით შავად ზიმზიმებდა. რა-ტომღაც თავის თეთრ პერანგზე უხერხულად დაიხედა. მერე გაახსენდა — ბერძნები თეთრ ფერსაც სამეგლოვიაროს ეძახიანო, ამითლა ინუგეშა თავი. დილიდანვე ცხელოდა.

„ვოლგამ“ ნუცუბიძის ქუჩიდან მარჯვნივ შეუხვია. შეიადმართა. მო-სახვევთან დაუშთავრებული შენობის ჩრდილში შეჩერდა. შოფერმა და სქელმა კარებები გააღეს. სალონში გრილი ნიაფი შემოვარდა.

— ახლავე ამოვა, — თქვა სქელმა. შოფერმა მაჯის საათზე დაიხედა.

— რა ვაგი, ადრე რომ გამოძერწა, არა ჰგავდა. — დაიწუწუნა მიცვა-ლებულის დამ.

— ახალი გამოუქანდაკებია უფრო დადინჯებით, დაკვირვებით... — სქელი უხსნიდა.

— მიმსგავსება სხვადასხვანაირია, — დაიწყო ახალგაზრდა მხატვა-რმა. — კარეგანი და შინაგანი. კარეგანი — გაცილებით ადვილია, თუმცა იმასაც გარკვეული ნიჭი სჭირდება...



— შინაგანი, ადამიანის ბუნებას ნიშნავს, არა? — იკითხა სქელის ქალიშვილმა.

მხატვარი მარცხნივ შემობრუნდა, საზურგის თავი იდლიის ქვეშ ამოიწარა. ქალიშვილს დააკვირდა: გრძელი ფერპერტალი სახე, წალისფერი თმები, ლამაზად შემსკდარი ტუჩები, კაცი თუ მოინდომებდა, ნაცრისფერ თვალეში მიმწვანეს შეამჩნევდა. „რა იქნებოდა, ღმერთს თვალეებისთვის ოდნავ მეტი ფერი გაემეტებინა!“ — ინატრა მხატვარმა.

— ადამიანის სულიერ ნაწილს ნიშნავს. — ხმამაღლა ეს წამოსცდა.

— მერე, მაგ მოქანდაკეს დალი თვალთაც არ უნახავს, იმისი ბუნება საიდან ეცოდინება? — ჰკვირობდა გარდაცვლილის და.

— მონაყოლით, გადაცემით შეიძლება მიახვედრო მოქანდაკეს ამა თუ იმ ადამიანის ემოციური სახე. — მხატვარი თავის გამართლებას ცდილობდა.

— ჩვენ შინაგანს, გარეგანი გვირჩევნია! — არ ცხრებოდა მიცვალებულის და.

— დადექი და მნახველს აუხსენი, არა ჰგავს, მაგრამ დალიაო! — კვერს უკრავდა სქელი.

მხატვარი მიეყენდა. „ამაოდ ვცდილობ ამათ შეგონება-შემზადებას, იქნებ, რა უნიჭობა სჭირს იმ ჩემი ცოდვით საესეს!“

დიდხანს აღარ უცდიათ.

„ვოლგის“ უკან ნარინჯისფერი „ჟიგული“ შეჩერდა. სალონიდან ორმოცდაათს გადაცილებული მელოტი კაცი გადმოვიდა შეწუხებული სახით. „ვოლგისკენ“ გაეშურა.

სქელი მიეგება, ხელი ჩამოართვა. მელოტმა ჯიბეები მოიჩხრიკა, წითლად წამოენთო. ისევ „ჟიგულისკენ“ გაბრუნდა. ავტომანქანა სწრაფად შემოაბრუნა, თავდაღმართზე დაენთო.

სქელი ოდნავ სევდაგარევი იდმებოდა.

— სახელოსნოს გასაღები სიჩქარისაგან შინ დარჩენია.

ქალებმა ამოიოხრეს.

„ცუდ დღეშია, აშკარად ეტყობა, ნერვიულობს“. — გაიფიქრა ახალგაზრდა მხატვარმა.

სიცხე მატულობდა...

მხატვარი ავტოდან გადმოვიდა. კბოლის ნაპირთან მიდგა. ქალაქს გადახედა. მოასფალტებული ქუჩებისაგან ავარდნილი სიცხე ქალაქის თავზე თხელი ნისლივით თიმთიმებდა. ერთხანს თვალმოწკურული იმზირებოდა, მერე შემობრუნდა, ფერდაზე შეფენილ სახლების ტყეს შეავლო თვალი, კინალამ ხმამაღლა წამოსცდა: „მთას ბეტონის ზოლი დააშენეს, ოცდაათიოდე მეტრით აამაღლეს და „შატილი“ დაარქვეს! ამას შატილში ყველაზე ბერავი გლეხიც კი არ ჩაიდენდა!“

მხატვარს სქელი მიუახლოვდა, მკლავზე ხელი მოჰკიდა:

— გაგაცდინე, არა?! აქვე, პავლოვზე ცხოვრობს, მალე მობრუნდება.

მხატვარმა ღიმილით გადახედა.

ნარინჯისფერი „ჟიგული“ მართლაც მალე მობრუნდა.

მელოტი მოქანდაკე ხელების ქნევით იხდიდა დიშს, თან კიბეს მი-
უყვებოდა. ორსართულიანი, ტყუპისცალელებით შედგენილი ბლომად
იყო შეფენილი დამრეც ფერდაზე. ცალ-ცალკე თუ წყვილად, შელესილები
თუ შეუღესაგები, დაწყებულები თუ დასამთავრებლები...

ჯერ მომცრო ოთახში შევიდნენ. „ალბათ, ამ ოთახს ჰოლს დაარქ-
მევს.“ — გაიფიქრა ახალგაზრდა მხატვარმა. მერე ფართო სახელოსნოში
მოხვდნენ. მაღალი ჭერი, ზედა განათება, იატაკი დაგებული, კედლები
ჯერაც შეუღესაგვი. ხელმარცხნივ ღია კარიდან მოზრდილი ოთახი მოჩა-
ნდა.

„სამუშაოდ პატარა ჰოლი მაინც რომ მომცა...“ — ინატრა ახალგაზ-
რდა მხატვარმა.

მოქანდაკე გრძელ მაგიდას მიუახლოვდა, მოდელს სველი ტილო გა-
დაადგრო, ოდნავ მარცხნივ შემოატრიალა თიხით ნაძერწი ქალის პორტ-
რეტი.

ერთხანს სიჩუმე იდგა სულისშემძვრელი.

ახალგაზრდა მხატვარმა ორიოდ ნაბიჯით უკან დაიხია. ჩაყუნტდა.

ფერგაცრეცილი სახე ხან მარჯვნივ გადადრიცა, ხან — მარცხნივ.

მოქანდაკის გარდა, ყველანი მხატვარს მისჩერებოდნენ.

— დალია! — გამოაცხადა ფეხზე წამომდგარმა მხატვარმა.

შვებით ამოისუნთქეს, ახალა შეხედეს მოდელს.

— მართლა ჰგავს. — თქვა ქალიშვილმა.

— რა შედარებაა. — დაუმოწმა დეიდა.

სქელს თვალებში სამშვიდე ჩაუდგა, ხმა მაინც არ ამოუღია.

მოდელის გვერდით, მაგიდაზე, ფოტოები ეყარა, დალის პორტრეტე-
ბი: ანფასში, პროფილში, ახალგაზრდობისას, ბოლოდროინდელი. მომც-
როები, გადიდებულები, შავ ჩარჩოში ჩასმულიც კი.

მოქანდაკე ახალგაზრდა მხატვარს მიუახლოვდა. ხელი მაჯაზე შეა-
კლო, ოდნავ მოუჭირა. ნერვიულობისაგან ხელის თითები შესამჩნევად
უთრათოდა.

მხატვარი მოდელს მიუახლოვდა. ერთ ფოტოს დასწვდა. კარგახანს
დასცქეროდა ნაღვლიანად. ბოლოს მოქანდაკეს მიუბრუნდა:

— შეიძლება? — ნაძერწზე ანიშნა.

— კი ბატონო!

— შუბლის ზედა ნაწილი ოდნავ შესარბილებელია, ნიკაპი ზევით წამოსაწევი, ღრმული ამოსასვსები... ღალი ასეთი მახსოვს.

— ახლავე! — მოქანდაკე დაფაცურდა. — რას ნიშნავს, რომ ნანახი გყავთ. — სტეკას მისწვდა, შუბლი ოდნავ ჩამოათალა, მერე ნიკაპს მიუბრუნდა...

— ძველი ნამუშევარი გვაჩვენე. — სთხოვა ახალგაზრდა მხატვარმა. მოქანდაკე მეზობელ ოთახში გავიდა. თიხის მოდელთან ერთად თაბაშირში ჩამოსხმული სახეც გამოიტანა.

შეხედა თუ არა ახალგაზრდა მხატვარმა:

— ჰოო... — გააგრძელა.

მოქანდაკე კმაყოფილი ილიმებოდა.

— რა შედარებაა, — იმეორებდა განსვენებულის და.

— მეორე გულისყურითაა ნამუშევარი და იმიტომაც დაემსგავსა. — თქვა სქელმა.

ახალგაზრდა მხატვარმა სახელოსნოში სიხარულის სხავე ჩააგდო. მკრთალი, მაგრამ მაინც სხივი ეთქმოდა.

მოქანდაკეს დაემშვიდობნენ. თაბაშირის სახე მოქანდაკემ გაზეთში გაახვია, სქელს გაუწოდა:

— სახსოვრად გქონდეს.

სქელმა ჩამოართვა:

— დიდი მადლობა, შინ გვექნება... ახალს როდის ჩამოასხამ?

— ერთ კვირაში მზად შექნება.

— მერე?

— მერე, როგორც შევთანხმდით.

— ამ თვის ბოლოს ჩამოვალ და წავიდეთ.

გამომშვიდობებისას მოქანდაკემ ახალგაზრდა მხატვარს ორივე ხელი ჩამოართვა, რაც შეეძლო თბილი ღიმილი დაადევნა.

კიბეზე რომ ჩამოდიოდნენ, ქალებმა გუდას მოხსნეს პირი და ის იყო, ათასი გამკილავი უნდა წამოსცდენოდათ მოქანდაკის მისამართით, სქელმა დროით გააჩუმა:

— ჩემზე ასე რო აღარ იწვალეთ, სიცოცხლეშივე ავალებინებ ნიღაბს.

— რაო? — გაიკვირვა ახალგაზრდა მხატვარმა.

— ნიღაბს ავალებინებ.

— ჰოოო...

შოუერის ცალ ხელში გაზეთში გახვეული თაბაშირის პორტრეტი ეკავა, მეორეში — შავნარჩოში ჩასხმული, გადიდებული ფოტო.

— თვის ბოლოს მე და მოქანდაკე ლენინგრადში გავფრინდებით, იქ ერთ კომპოზატორს ვიყიდი და...

— ვის იყიდა? — ახალგაზრდა მხატვარს გაოცებისაგან სუნთქვა შეეკრა.

— საკომისიო მაღაზიაში რომელიმე გარდაცვლილი კომპოზიტორის მარმარილოს თავს ვიყიდი...

— ეგ აზრი მოქანდაკემ მოგაწოდა? — ჰკითხა მხატვარმა.

— ჰო, იმან.

— ვითომ და რატომ?

— უფრო ადვილად გადაკეთებაო.

— ოჲ, მე მაგისი... — მხატვარმა დროზე შეიკავა თავი.

ქალები პირუხუმრა მიდიოდნენ წინ.

— რა გული მოგივიდა? — გაიკვირვა სქელმა.

— ისე. ალბათ, ბლომად ფულს გამოგართმევს, არა?

— ჰო...

სიცხე პატულობდა.

„ვოლგა“ ბაზალტით მოპირკეთებულ კიბესთან შეჩერდა. ახალგაზრდა მხატვარი ავტოდან გადმოვიდა.

— ამ შაბათ-კვირას სოფელში ჩამოხვალ? — ჰკითხა სქელმა.

— ჩამოვალ.

— გელოდებით. რო იცოდე რა გულდამშვიდებული მივდივარ, შენ რო არა...

— კარგი ერთი. — ახალგაზრდა მხატვარს რაღაცაზე გული მოსდიოდა.

ნაცრისფერი „ვოლგა“ მძიმედ დაიდრა.

ღამით ტაპიკი



ღაიმარტოვეს ღამე ღრუბლებმა
და გზა თოკივით გაკიდეს ხევზე,
მე კი არაფრით მქონდა უფლება
მეფიქრა, მაგრამ ვფიქრობდი შენზე.
შენ კი თმებს ისევ გიწვალებს ქარი
და მიხვალ გზაზე ჩუმი და ფრთხილი,
კელის ოჯახში ერთგული ქმარი
და ბაღთან ბავშვის ტიტინი ტკბილი...



ბავშვობის მერე გადაკარგული
კარებს მოადგა თოვლი იანვრის,
იქნება, ალბათ, თოვა გაბმული
და ყველა ღობე-კუნჭულს ძიადრის.
და შემორჩენილ ხურმის ტოტებზე
ყვითელნიკარტა შაშვები სხედან,
ფანჯრიდან უცქერ, საქონლისაკენ
როგორ მიათრევს კარდალას დედა.
და ისევ გიტანს ბავშვური განცდა,
აქ ისევ კერა, მქრალი ლადარი...
და მოდის თოვლი, რომელიც ახლა
ვისთვის ტანჯვას, ვისთვის ზღაპარი.



შემოდგომაა, ფოთოლთა ცვენა
და მეტაფორა „ყვითელი თოვლი“...
ღრიალებს ქარი ქვენა თუ ზენა
და გზაზე ისმის ჯუჯღუნი მძღოლის.
და გაზინთული ბიჭებიც მწკრივად,
იქვე მანქანაც ხარივით ხენეშის,
მესამე დღეა არ წყდება წვიმა
და გახელებით ჩამოდის თქეში.
მიჰყვები აღმართს და გრძელ შუკასთან
უცქერ, მეზობლის მურიაც გარბის,
ახლა კარგია სახლში, ბუხართან
ჯდომა და მშვიდად თამაში ნარდის...



და როცა წვიმა იფეთქებს მწარედ
და დააფეთებს ფოთლებს შოლტვიით,
როს მობუზული ბავშვივით გარეთ
ქუჩაში დგახარ სველი ბოძივით.
ვედარ ეცლები დაღვარულ ალაგს,
ძლივს გადარბიან წყვილები გზაზე
და საშოვარზე გამოსულ ქალაქს
გააქვს გუგუნი ბორბლების ხმაზე.

ხედი ჟურნალი ზენი ბანაჩენია

კასიანესკენ მივიხედე. რა პოზაში არ მინახავს კასიანე. კასიანე მინახავს გოცებუ-
ლი, ვასარებული, დამწუხრებული. რუბენის „გარდამოსხნაში“, იესოს რომ აკრავენ
ჯვარზე. ისე შიშველი, ვილაცის მიერ ნაცემი და გასისხლული, ოღონდ ჯვარზე გაკრუ-
ლი კი არა, მიწაზე, სწის ყურზე უპატრონოდ მიგდებული, მაგრამ ასე გაშეშებული, ასე
გაშოთაყვანებული. კისერდაგრძელებული და თვალბგადმოქაჩული — არასოდეს.

— რა გვირს, კასიანე უბედურო? — ვეცი წვერში.

კასიანემ, დასაკლავ ძროხასავით უმწეოდ გადაატრიალა თვლები და ხელის სუსტი
მოძრაობით მასხიშა, ვიხრიობი, გულზე ხელი დამიბრაგუნეო.

— იაფოფხს ჭამდა მაგი ღმერთგამწყურალი წელან და ის ახრჩობს. — დამიძახა ავ-
თანდილ პაიკაძის ცოლმა, ქეთომ.

— ჩაუყე პირში ხელი, მაგ გაჭირვებულს! — შეეცოდა ეპრაქსი დოლიძეს.

— არ ჩაუყო, კვესია, — გამაფრთხილა ბენია ცინცაძემ, — თორემ მშვიდრია მაგი
და ღარჩება ჩემსავით ცალხელა.

— არ დაწვინო, ბიჭო! ფეხზე წამოაყენე და ყურები დაუქაჩე, სასულეში ექნება
გადამცდარი ლუკმა. — ყვიროდა სარა.

კასიანეს ყველაფერი ესმოდა და უარის ნიშნად თავს აქეთ-იქით აქნევდა, იმათ არ
დაუჯერო, შენ მე გულზე დამარტყი ხელი, რომ გეუბნებიო, ისევ მანიშნებდა ხელით.

კასიანეს სიმწერის ოფლი ასხამდა. სულს ვერ ითქვამდა. თანდათან ლურჯდებოდა.

— ჩადი, თვარა მოგეწიე! — ასჭერ მაინც გავიშეოვრე მე და გულზე ისეთი ბრაგა-
ბრტუკი ავუტეხე, კასიანემ, გონდაკარგული რომ მეგონა, გაკვირვებისაგან, უცებ, გა-
დარუულივით შემოშხედა, რა დაგიშვე, რატომ მკლავო.

— არიქა, ხალხო, წყალი! — დაიძახა ვილაცამ, რაკი შეატყუო, გულზე ხელის ბრა-
გუნე აღარ შველოდა კასიანეს.

— არაა წყალი! — დაიძახა რომელიღაც ქალმა. — უდაბნოა ახლა აქ მაგისტვის!
ბოლოს, როგორც იქნა, ამოითქვა სული კასიანემ. მე გულზე ბრაგუნს მოვრჩი და
დაღლილ-დაქანცული, იქვე, გვერდით მივეგდე, გულის ფიქალშენგრეული კასიანე დიდ-
ხანს იჭირებდა მკერდზე ხელს. მერე ქალებს გადახედა და თქვა:

— ჩაუშვდა ენა, გადაეკეტა სახა და არ ეღირსა სულის მოთქმა ჩემსავით, ვინც ახ-

ლა აგი ჩვენი, წყალუხვი მდინარეებით სავსე, მარადმწვანე ქვეყანა უდაბნოდ გამო-
ცხადა ჩემი გულისთვის! ღმერთო, მაღალო, არ აღირსო იმას მის სიცოცხლეში: შეიძლება
— ჭადი, წყუროდეს — წყალი და კაცი უნდოდეს — კაცი! ჭადის ნაცვლად მიეცა
— იაფოფი, წყლის ნაცვლად — ნავთი და კაცის ნაცვლად — შავი, გამურული ჭირ-
კი. ამინ! — დაასრულა წყევლა კასიანემ. მეგრე მე მომიბრუნდა. — ნოღი, კვესია, ბიძია,
გავაგრძელოთ სადილი. კიდევ მაქვს ჭადი, ნუ გეშინია. ეკალაც მაქვს მაგათ ჭინაზე,
აგერ, აბა რაი, ახლა! იაფოფი ისე ვჭამე, რომ იცოდეს შენ, ვფიქრე, პირს გამოვიკე-
თებ-შეთქი, მარა არ გამიმართლა... კინაღამ დამახრჩო იმ უპატრონომ. ჰე, მოიწი, ნუ
გრცხვნი, ხომ არ გგონია, ინგლისელები და თურქები ჩვენზე უკეთესად ჭამენ, ანდა
საწყალ გერმანელ გლეხებს შემწვარ-მოსრაკულები გადასდით თავზე? ჩვენ ჩვენი ნებით
ვაძლევთ სახელმწიფოს ჩვენს ლუკმას, იმათ კი, პირიდან ტაცებენ, ბიჭო, ძალით. აბა,
რა გგონია შენ? ჰე, მოდი, ჭამე, ნუ უყურებ იმ ქალებს. მართლა რომ დასასრობად
მქონოდა საქმე, შენ გგონია არ შეწყვეტდნენ სიცილს და ყველა მე არ დამესოდა?
მარა იცოდნენ მაგ შეჩვენებულებმა, კასიანე თავართქილაძე ასე იოლად რომ არ და-
ნებდება სიკვდილს. ჩემი ბიჭები, ბიჭო, ტყვიას ვერ მოუკლავს ფრონტზე და მე აქ
იაფოფი მომკლავს?

— აბა, აღეკით აწი ზედ, გეყოფათ გორაობა! — დაიძახა ამ დროს ონოფრემ და
წამოღდა. ბენია ცინცაძემ პაპიროსის ნაშწი გადაადო და ისიც წამოღდა. ნიკოლოზი
უკვე მიჩოჩავდა თავისი ნაპირისაკენ. მაქიმედაძე წამოსწია წელი. ოთარია ძნელაძე,
პეტრუა მინდაძე, ვარე, ტუტუნიკა და წაკატა ისევ მიწაზე იყვნენ.

— ვის ვუბნებთ მე?! — გადახედა ონოფრემ ბიჭებს.

უტეც ოთარია ძნელაძე წამოგდა და პირდამწვარ კატასავით ატატუნდა:

— ონოფრე, ებრაელები შაბათს ისვენებენ, თათრები — ოთხშაბათს, ქართველები
— კვირას. დღეს კვირაა და შენ, გავაგებინე ერთი, რომელ რჯულს ეკუთვნის?

— შენთვის ოთხშაბათს ქრისტიანი ვარ, ოთარია, ბიძია, შაბათს — თათარი და კვი-
რას — ებრაელი.

ჩვენ გვიან მივხვდით, რა უპასუხა ონოფრემ და გვიან გავვეცინა. მაგრამ ოთარია
ძნელაძემ ვერც ახლა რომ ვერ გაიგო ნათქვამის აზრი, პირდაღებული ხან ჩვენ გვიუ-
რებდა, ხან ონოფრეს.

— დღეს მშვენიერი სადილი გვქონდა, — დაიწყო ტუტუნიკამ, — სადილის შემდეგ
კი, როგორც წესი, საპიროა მკვდარი საათი.

— შენ რად გინდა ტუტუნიკა შავი მკვდარი საათი, ისედაც მკვდარი არ ხარ? —
უპასუხა ონოფრემ, — დაილოცა ჩვენი მთავრობა, თვარა შენისთანა შავებს ამერიკაში
ძალად არ აგდებენ.

ახლა ტუტუნიკამ დააღო პირი. გამარჯვებული ონოფრე ღიმილს ვერ იკავებდა.

— ვაცალოთ ცოტა, — უთხრა ბენია ცინცაძემ ონოფრეს, — ბაღნებია მაგენი,
ქვეყანა მართლა ხომ არ იქცევა? იყვნენ ერთი ათ წუთს კიდევ.

— იყვნენ, ბატონო. — დაეთანხმა ონოფრე.

საუბარი განახლდა. მე ბიჭებს შევუერთდი და კასიანე ისევ მარტო დარჩა.

— ელოია რას იწერება, სარა? — ისე თქვა ტუტუნიკა ბერძენიშვილმა, თითქოს
ცას ეკითხებოდა.

სარამ ტუტუნიკას უნდოდ გადმოხედა და არაფერი უპასუხა.

— ელოიას რა უჭირს, თუ ძმა ხარ, — უპასუხა ოთარია ძნელაძემ სარას მაგივრად,
— კაცს, ნემსიდან მახათი გამოჰყავდა და ომში გაუჭირდება?

— თავი არ დამაწყველინოს ვინმემ, — წაკრა ყური სარამ ლაპარაკს, — თორემ თუ
დავწყვედი, კაი არ მოუვა, ისე იხარა სარამ.

— არა, მართლა არ იწერება არაფერს? — ახლა გოგუცამ ჰკითხა. ეს შეკითხვა სერიოზული იყო.

— ვინ მიიღო, ქალო, წერილი? — მოადგა თვალზე ცრემლი სარას, — არ ვიტყბ, თორემ მკვდარია ნამდვილად ჩემი ელო... ნეტა მაინც რამდენი ვეხვეწე, წაიღე აპარატი. შენი საქმე თოფი არაა, ელოია უბედურო-მეთქი, დაგიჭერა?

— კი მარა, რატომ არაა, მაგალითად, ელოს საქმე თოფი? — გაირქო ბალახის დე-რო პეტუშა მინდაძემ კბილებში, — აბა, მარტო ჩვენი საქმეა?

— ჩვენი რჩული სულ სხვას ამბობს, პეტუშას ვენაცვალე.

— მაინც რას ამბობს ამისთანას, თქვენი რჩული, სარას ვენაცვალე?

— არა კაც ჰკლაო, ამას ამბობს.

— მაგი ქრისტემ თქვა.

— ქრისტე ებრაელი იყო, დაგენაცვლე.

— კაი, ბატონო, ვთქვათ, ქრისტე ებრაელი იყო, რაშიც მთლად დარწმუნებული არ ვარ, მაგრამ იმას რას უშვრები, გერმანელებს რომ ებრაელები არ უყვართ და, ვინ იცის. შენს ელოიას, ეგებ, ქრისტესავით აწამებენ, ა?

სარას ენა ჩაუვარდა.

— წაეღო იმ დალოცვილს აპარატი, — შეიცოდა ვარემ, — იქნებოდა ახლა ღმერთით, ბაბუას აქვს ცხონება.

მე ჩემთვის ვიჭექი. საუბარში არ ვერეოდი. ჩემი აზრი ქრისტეზე კომპეტენტური არასოდეს არ ყოფილა და, გულახდილად რომ ვთქვა, არც მაინტერესებს, ქრისტე ებრაელი იყო თუ მილანოელი დიდუპაჩარი. რა შეიცვლება იმით, მე რომ ვთქვა: ქრისტე ჩვეულებრივი ნოკვდავი ადამიანი იყო და მან, ამ ოციოდე საუკუნის წინათ, იმდენივე იცოდა, რამდენიც დღევანდელმა ფრიად განსწავლულმა ადამიანმა-მეთქი?

ფიქრობ, არაფერი!

მაგრამ შემდეგ რომ დავამატო, იგი ზეციდან ჩამოფრანდა და გაფრინდა ჩვეულებრივი კოსმოსური რაკეტით-მეთქი, ბევრი (რა თქმა უნდა, ვისაც ღმერთი კიდეც სწამს) სასაცილოდ ამიღებს.

— მარკა მოდის! — წამჩურჩულა კასიანემ. იგი ჩუმად მოჩოჩებულყოფი და ჩემს გვერდით იწვა.

ტანში დამზრინა. კასიანემ ჩემს მახლობლად ყოფნა რატომღაც არ ჩათვალა საქი-როდ და სადღაც გაზოხბა დააპირა. ფეხში ხელი ვსტაცე.

— გამიშვი!

— ნუ წახვალ, კასიანე, დარჩი, ნუ დამტოვებ.

— ცხენი კი არ მომიპარავს, მზეში რომ ვიჭდე შენსავით.

მხოლოდ ახლა მივხვდი, მზეში რომ ვიჭექი.

— მოუკვდა პატრონი ასეთ მკვდარ საათს! — ბუზღუნებდა ოთარია ძნელად.

მზეც რომ ონოფრე გაგვიხდა, ხომ არ დავაძინებს! ხან აქედან მოგიტრიალებს, ხან იქიდან. თუ არ გაეცადე, დაგზრტუვს. ამისთანაში მუშაობა გაგონილა?

კასიანემ ხვლიკით მოღრიცა ტანი.

— ხედავ?

— ვხედავ.

— რაზე გაგიტყუარდა, თუ იცი?

— არ ვიცი.

— ვერ იცლი შენ მაგისტრის, კვესია. სადღაც გამიგონია, ქალი ყუაჩოსავითააო, მარ-თლაც, ქოთანში დარგულ ყვავილივითაა ქალი. ოდნავ თუ შეანელებ ყურადღება, მოი-წყენს. ისე, ბევრს უჭირავს მაგ გოგოზე თვალი და თუ არ იძალე, დამრჩები ხაზამზრა-

ლამე მე პირდაპირ მიუვარს თქმა, ბიძია, და, შესახელობა, მაინცდამაინც, სხვებიც — დაშორედ არ გიწყობს ხელს. აბა, მე რომ მაგ გოგოს ადგილზე ვიყო, თუ გინდა მართალი. ზედაც არ შემოგებდვდი, ბიძია. რა გაუკეთე, კაი გაუკეთე რამე თუ? რაც არ უნდა იყოს, მამაა მისი, რა უქენი მერე მამამისს? რაც ფული გააჩნდა — წართვი, კაპიცი არ დაუტოვე, ჩაღის ღერზე დასვი. აგი არ აკმარე და საქვეყნოდ გამოაქენე. ასეა და დეზერტირობას წამებ. ისე, ჩვენში ღარჩეს და, რომ ვუუყურებ, არც ისე ვასაგიფეველი ვინმეა მაგი შენი მარიკა, აბა, ერთი შეხედე, რითაა მიწნილველი? ადრე დაქალებულია, პირშესწრებული კადივითაა, ვარიას რომ კული ამოუვა ნადრევად, ისეა. სახე არც ისე გადამრიე აქვს: სწორი, დაღეული ცხვირი, მიდღეში რაღაცაზე გასაწყენებული და გაბუტული ტუჩები, ქლიავისებულ თვალები. ცხვირი, მე თუ მკითხავ, ცხვირი უნდა იყოს, ტუჩები — ტუჩები და თვალები — თვალები. კბილები აქვს კარგო, იტყვი. პროთეზი გეგონება, ისე აქვს ჩაირწყინებული. ყელიო, იტყვი. რაა, ბიჭო, მაკი, მავია ყელი? რა ამბავია ამსიგრძე ყელი, ნახატში მინახავს მაგისთანა რაღაცა. ყელი ყელი უნდა იყოს და ქალი ყანა არაა, რომ იცოდე შენ.

— ფეხები? — ვკითხე მე.

— ფეხები?

— ჰო. ნახე, რა ფეხები აქვს: სწორი, გრძელი, თეთრი.

— რა ჩემი ფეხებია, ბიჭო, ფეხები?

კასიანეს პირზე ხელი ავაფარე.

— არც იმ დღეს გამკარებია სიახლოვეს მარიკა: ჩემს პუერას ვერ უძლებდა, სადღაც დასაკარგავში იუყრებოდა. დანა პირს არ უღებდა. საგონებელში ჩავვარდი. ნამდვილად ჩადგა ჩვენს შორის მაქიმედა-მეთქი, ვფიქრობდი. კასიანესი არ იყო, არც იყო ეს გასაკვირი. ბოლოს და ბოლოს, ის ხომ მამა იყო მისი?

სალამოს ისევ ამეტმასნა ტუტუნია ბერძენიშვილი.

— ნაწყენი ხარ?

— ვისზე?

— მარიკაზე.

არა-მეთქი ვუთხარი და ზურგი შევაქციე. სუფხის პირას ვიჯექით. ჯერ ისევ სველი გეჟონდა თმები, კასიანე ისევ წყალში იყო. ოთარია ძნელადეს, ვარეს, წაქათას და პეტუნა მინდამეს სილაში ეძინათ.

— მარიკას უნდოდა შენი ნახვა.

— თუ უნდოდა, ვენახე.

ტუტუნია გაჩუმდა. რაღაცის თქმა უნდოდა და ეძნელებოდა.

დიდხანს იწრიალა. ხან ქვა ისროლა წყალში, ხან ნაპირზე გამორიყული ჯოხი აიღო და მიწა ჩიჩქა, ხან სტვენდა, ხან ღიღინებდა. საბოლოოდ არაფერი გამოსდიოდა. მერე აღგა. გამოშეყვო, მითხრა და ყანისაკენ წავიდა. ტუტუნიას შარვალი გაუწურავ ტრუსიკზე ჩაცვა და უკან სისველე მრგვალად აჩნდა; უცებ დაიხარა, ვიდაცის, ქვის ქვეშ ამოდებული შარვალი აიღო, განასკვა, მერე მდინარესთან მიიბრინა, განასკვული წყალში დაასველა და ისევ ქვის ქვეშ ამოღო. ყანაში შევედით. მე ხმას არ ვიღებდი. ტუტუნია უბეში ხელი ჩაიყო, ცხრად დაეცედილი ქაღალდი ამოიღო და მომცა, თვითონ დაწვა, იდაყვებზე დაეყრდნო, ქაღალდი გავხსენი. წერილი იყო.

— ვისია?

— წაიკითხე.

„გამარჯობა, გოგუცა! — დავიწყე წერილის კითხვა, — როგორ ხარ? გიჭირთ. ალბათ. ყველას უჭირს ახლა. საშინელი რამე უნდა მოგწერო. არ ვიცი, გაატარებს თუ



არა ცენზურა ამ წერილს. ყაზანში ვწევარ, ჰოსპიტალში. კრილობა მსუბუქია. არ შეგე-
შინდეს... ჰო, მართლა, თუ ძალიან გიპირთ, ფული ისესხეთ, რამდენიც გინდათ. რომ ჩვე-
მოვალ, ერთითად გადავუხდი... იმას ვამბობდი, დაკრილი ვარ-მეთქი. ჰოდა, დაკრილი
ვარ. არ ვიცი, მტერმა დამკრა, არ ვიცი იმ გაფუჭებულმა ვარგისელამ... ერთად ვიყავით.
ფრონტზეც ერთად გავედით. ჩემს მტერმა არავინ იცოდა მისი ავკაცობის ამბავი ასე მე-
გობა, ყოველ წუთს ჩემი თავიდან მოშორება უნდოდა. ფრონტზე რომ გავედით, მისმა
ბოროტად ანთებულმა თვალებმა თავიც დამავიწყა და მტერიც. აღარ ვიცოდი, ვის მოგვი-
დებოდა — მტერს თუ ვარგისელა წამსდარს... ერთბაშად ენით აუწერელ ბრძოლაში
ჩავებით. ცოლვას ვერ ვიტყვი, ვარგისელეს ტყვია მომხვდა-მეთქი. არ ვიცი, მართალი
გითხრა, მაგრამ რომ დავიჭერი, ეს ცხადია. ერთხანს უგონოდ ვეგდე. თვალს ვერ ვახე-
ლდი, შუბლიდან სისხლი მომასხამდა, მაგრამ ვგრძნობდი, თავს ვარგისო მადგა და ჩამ-
ძახოდა: „ცოცხალი ხარ, ბიჭო!“ არ ვიცი, ეს სიტყვები სისხარულის იყო, თუ სინანუ-
ლის. ჩვენს გარშემო ტყვიის წვიმა ცხრილავდა ყველაფერს. რა ენა აწერს იმ ხმებს,
იმ კენესას, იმ გინებას, იმ გიჟურ ბღავილს. ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო, „ბიჭო, ნაქიმედა,
ცოცხალი ხარ, ბიჭო?“ ისევ დამიძახა, მომვარდა, შემანჯღრია. სმა არ გავეცი. ვიფიქრე,
ჩანდაბას მაგისი თავი, ჩამთვალოს მკედრად. იქნებ თავი დამანებოს-მეთქი. უცებ,
ვარგისომ ხელი გამიშვა, აღრიალდა და პირდაპირ მტრისკენ გაიქცა: „მესროლით, მო-
მკალით, თუ შეგიძლიათ, თქვენი დედა ვატირე მეო“... თვალი გავახილე: ვარგისო ზე-
ლებაწეული გარბოდა მტრისკენ...

კითხვა შევწყვიტე. წერილი ისევ გრძელდებოდა. მაგრამ ჩემთვის აღარავითარი
მნიშვნელობა აღარ ჰქონდა იმას, თუ რას იტყოდა ამის შემდეგ მაქიმედა.
მხოლოდ ეს იყო, წერილის ბოლოში თარიღს დავხედე. თუმცა თარიღის ნაწევაც არ
იყო საჭირო. წერილი საკმაოდ გაუვითლებული ჩანდა. ეტყობოდა დიდხანს ეტარებინა
ჩუმად მარცხს.

ტუტუნია ადგა, ჯიბეებში ხელები ჩაიწყო და გვერდში ამოიღდა. ცივად გადუ-
წოდე წერილი. სანამ გამომართმევდა, შემომხედა, სანგრძლივად დამაცქვრდა. აღედ-
გებინაგან სუნთქვა ეკვროდა. სახეზე მკედრის ფერი ედო. უხმოდ ჩამოშარტვა წერილი.
უბეში ისე შეინახა, მჭერა არ მოუცილებია.

მე ისევ ჯიუტად ვლუმდი.

მეც სისხლისფრად შეეფერადებინა ცის დასალიერი. კარგა ხანია მიეტოვებინა
ჰოროხის თავზე წამოუღებელი აჭარის პირმოკუშული მთები და თავის ცხელ შან-
თებს ახლა ზღვაში აწრთობდა. საოცარი მდინარეა სუფსა. დილით სხვა ჰანგზე მღერის,
შუადღისას — სხვა ჰანგზე და საღამოს კიდევ — სხვა ჰანგზე. ავღრიან დღეში პირდა-
მწვარი დათვივით ბურღლუნ-ბურღლუნით გარბის, ლანჭობის დროს მთვრალი კაცი-
ვით აქვს თვალები ამღვრეული და ვისაც არ უნდა შეხვდეს, ჩაუბს უტებს. ამ ჩხუბში
ან მარცხდება, ან იმარჯვებს და, სულ ერთია, გაიმარჯვებს თუ დამარცხდება, მაინც თა-
ვაწყვეტით მიექანება ახალი ჩხუბის წამოსაწყებად. სიცხიან დღეში სიცხიანი კაცივით
დებება, ილევა და ბედს კი არ მისტირის, მღერის. რამდენი ქვაც აგდია სუფსაში, იმდენ
ჩაუჭე მღერის სუფსა...

გული უელში მქონდა მობჭენილი. თავშეკავების უნარი რომ არ დამეკარგა, ხან
ახალგათოხნილ ყანას გავხედე, ხან ბახმაროს მთებს, ხან უმზეოდ და უმთვაროდ ღარ-
ჩენილ, გაოგნებულ თუ გაშტერებულ ცას. ამ ფიქრში საკმაოდ ჩამოხნეულა და ჩემდა
გასაოცრად ადამიანის ხმებიც კი გავარჩიე — ოთარია ძნელაძე დედ-მამის სუფსს უტ-
რიალებდა შარვლის ტოტის გამანსკავებს. სხვა დროს ტუტუნია შავი გადმოჰრიდა,

ალბათ, თავის ცხენით კბილებს და ერთ საათს მაინც იცინებდა. მაგრამ ახლა, თითქმის არაფერი ესმოდა. იღვა და მხოლოდ მხრებს იჩინავდა.

— რა ქვასავით დუმილი იცი, შე უპატრონო, თქვი რამე! — ველარ მოითმინა ტუტუნიკამ.

ოთარია ყანას მოადგა.

— ტუტუნიკა ბინძურო, გაგენასკვა ძარღვი ისე, როგორც აგი შარვლის ტოტი გაგენასკვავს. რანაირად განასკვე ძაიხც, შე წამხდარო, გემზე მეზღვაურად სომ არ სარ ნაჟუშევარი? ვიცი, ბაგერ აგლინარ, ყაასი და იკრიკები ყველის ვაპარივით. გა-მეფთრიე და გახსენი აგი ტოტი, სანამ ავილებდე ქვას და გაგისნინდე თავს!

— მაჩვენე, მე გავხსნი. — უთხრა პუტუშა მხიდაძემ.

— ტყვილა ვილაპარაკე ამდენი. ყანაში მეგონა იგი ბინძური და არ უოფილა. — შეს-ჩივლა ოთარია ძნელადემ ღამეს და პეტუშა მისდამისაკენ წაღასლასდა.

პეტუშამ მთქხარებით გამოართვა შარვალი. მოგვესმა ხეწეშა, კუთვა და მერე:

— წაიდე, ოთარია საწყალო, აგი შარვალი სახლში, აიდე მაკრატელი და ორივე ტოტი ერთ ზომაზე გადაჭერი. სულარაოპას, მოკლე შარვალი მაინც დაგრჩება, მსაჯებს რომ აცვიათ, ისეთი. სხვა, ამას, არაფერი ეშველება.

ტუტუნიკას არც ახლა გაცინებია. მხარზე ხელი ჩამოშადო და ხმადაბლა მითხრა:

— მაგისთვის გითხარი დღეს, კრებაზე არ გაიტანო მაგი საკითხი, თვარა დამარცხ-ლები-მეთქი.

— რაღა დღეს გამოაჩინე ეს წერილი? — უნდოდ ვიკითხე მე.

— დღეს, ხო! დღეს კი არა, ერთი კვირაა დავათრევ ჭიბით. ვერც მე ვერ გავბედე მოცემა. დღეს კი იმიტომ უოგეცი, ხვალ რომ გვიან არ უოფილიყო. ეგება, არც მე მომეცა მაგი წერილი, შენ რომ კრების ამბავი არ გეთქვა. ისე, ე ვფიქრობ, მაგი ამბავი მაქიმედა დამპალის მოჩასხულია... მე, თქვი ახლა, რას ფიქრობ, თვარა, დედაჩემი, და-დამდემა თუ ურა, მე და ძროხას ერთად გვეძებს.

ტუშული მაჩვენე მაგი წერილი, ტუტუნიკა. მე რაც ვთქვი, იმაზე უკან არც არა-სოდეს დამიხვეია და არც ახლა დავიხვე. ნიკიფორემ და მაქიმედამ პასუხი უნდა აგონ ხალხისა და სოფლის წინაშე. არავინაა მაგათი გასაცურებელი.

— მაგათთვის უფროსები მოიცლიან.

— უფროსებს გაცილებით უფრო დიდი საქმეები აქვთ მოსაგვარებელი.

— მამაშენი?

— ყველას თავისი მიეზღვევა. ვერც მამაჩემი გაეცევა თავის მისაზღვეველს.

— რა ვიცი, ძმაო, მე მაინც არ მჯერა.

— საუბედუროდ, მე მჯერა, ტუტუნიკა. — ვთქვი მე და ცრემლები ყელში მომაწ-ვა. — შე სომ დღელიდან სამშობლოს მოღალატის შვილი ვარ, ტუტუნიკა.

— მილიონობით ტყვე ვარდება ახლა იქითაც და აქეთაც. — სცადა ჩემი დამშვი-დება ტუტუნიკამ.

— ტყვედ ჩავარდნა სხვაა, ტუტუნიკა, ტყვედ ჩაბარება სხვა და გადასვლა კიდევ სხვა. ყველაზე საშინელი და სამარცხვინო... ჩავატარებ თუ არა კრებას, მაშინვე და-წერ განცხადებას ჩემი გათავისუფლების შესახებ.

— სჯობს გაჩუმდე, კვესია, და არაფერი თქვა საერთოდ. ამ წერილს კი თავის დღეში ველარ წაიკითხავს ვერავინ. — ეს რომ თქვა, ტუტუნიკამ წერილი ამოიღო და ნაკუწებად აქცია.

— სულ ერთია, მე თვალს არ დავხუჭავ, ტუტუნიკა, სათქმელი უნდა ითქვას. ვის დავუშალო მამაჩემის სიწამლდრე, საკუთარ თავს? ვის დავუშალო ნიკიფორეს და მაქიმედას დეზერტირობა, ხალხს? მერე რომელ ხალხს, საკუთარ პირში ჩასაღებ ლუქ-

მას რომ აწვდის ფრონტს? დილიდან საღამომდე თოხს რომ უბაყუნებს, ცხრა დაჯგასთან ერთდროულად რომ მუშაობს, დღე მისთვის რომ არაა და ღამე? არა ამას ვერ ვიწამო, ვიცი, გაგეცინება, იტყვი, კაცივით მსჭელობსო, მაგრამ მაინც ვიტყვი, კაცების მიერ ნათქვამ სიტყვას ვიტყვი: ასეთ ხალხს არ ელაღატება.

— საიდან გებადება, შე უპატრონო, აგი ანფუთიანი სიტყვები, — წაილულულა ტუტუნიაკი, — ორი შენგელა თავი მაქვს და არაფერი მიღვეს შიგ.

მაქიმედას და ნიკიფორეს დეზერტირობის ამბავს ხალხი უცებ არ იჭერებდა, მაგრამ ხაკუაო ფუჩუნი ატყდა. დაეკვებულმა სოფელმა ჩემს მტერს ჩაწელა თვალებში. მაქიმედამ და ნიკიფორემაც იყნოსეს საშინაოება და გაფრთხილდნენ. ახლა ნიკიფორე ერთ საათს მაისც ანდომებდა ეზოდან ჰიშკრამდე მისვლას. მაქიმედა უთენია დგებოდა. სასუპაოზე მიმავალ ხალხს განვებ ჩაუქროლებდა—ხან ძროხას მიათრევდა, ხან—ლორს, ხანაც ინდაურებს მიდენიდა ეზოდან და რაც შეეძლო გაჰყვიროდა თავის „პია-პიას“. მერე ისევ ხალხთან დადგებოდა და სამი კაცისოდენს მუშაობდა. ამით ამტკიცებდა: მე ენა არ მაქვს, თორემ ღონე რამდენიც გინდათო. ხალხს ეკვი თანდათან გაეფანტა. მაქიმედა და ნიკიფორე არაფრით არ იმსახურებდნენ დეზერტირობას. სამაგიეროდ, სოფელმა ახლა მე შემომხედა სხვა თვალით. ამას ყოველი კაცის, ქალის თუ ჩემი ტოლის გამოხედვაში ვგრძნობდი. დღეაჩემი ყოველ დღე მიჩიჩინებდა: შენს კანში დაეტიე, თავი არ მომავლიო, ნუ ეტეპ ამდენ საეშმაკოს, ამ ხალხს მისი გაჭირვება ეყოფა და აცალდუო. მამაჩემის წერილები რომ შეწყდა, მერე სულ თლად წაერთვა ნერვები, უბრალო რამეზე ერთ აყალმაყალს ტეხდა. ყველაფერზე ტიროდა; საწყენსაც, გასახარებელსაც, ვიღაცის გმირობაზეც და დაღუპვაზეც. თუ სოფელში ვინმეს შეიცხადებდნენ, მაშინვე მოეცეცებოდა მუხლები, ლოყებს თითებით მოიხოკავდა და დაიწყებდა:

— ვაიმე, დაიქცა ბიჭო, კვესია, კიდეც ერთი ოჯახის. იმათ შეატყობინეს უკვე და იცინა. ნე რა ვქნა, რომ არ ვიცი, ცოცხალია, თუ მკვდარი...

ერთ დღეს რაიონული გაზეთი შემოაფრიალა ეზოში, ნახე, რა უქნია ჩვენს ვანიჩქასო და ცრემლებს აღვარდვარებდა.

„საყვავიახტეულმა გვარდიის სერჟანტმა ვანო პარმენის ძე კილასონიამ თავი ისახელა სამამულო ომში, სტალინგრადთან და ხარკოვის მისაღგომებთან დავალების წარჩიხებით შესრულებისათვის სარდლობამ ის წითელი ვარსკვლავის, სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით და მედლით „მამაცობისათვის“ დააჯილდოვა“.

გაზეთი მთელ სოფელში ჩამოვატარე. ყველა აღფრთოვანებით ხვდებოდა ამ ამბავს. ყველა სიამაყის გრძნობით ივსებოდა ვანიჩქა მასწავლებლის მამაცობის გამო, მაგრამ ხალხი, პირადად მე, ბოლოს ეკვის თვალით მიმაცილებდა. არავის ეგონა, ამდენი ცუდის დამნახველს, კარგის დანახვაც თუ შეეძლო.

მესამე დღეს, ფოსტალიონმა ვანიჩქა მასწავლებლის მეორე წერილი მომიტანა.

„გამარჯობა, ფრიტა! წერილი შემეგვიანდა. იმედია, არ დამძრახავ. არ იფიქრო, დრო არ მქონდა და წერილი იმიტომ ვერ მოგწერე, დრო მაქვს, ფრიტა, მაგრამ რა მომეწერა, ის არ ვიცოდი. ალბათ, სოფელში ბევრი წერილი მოდის. იქიდან ზოგიერთს შენც წაიკითხავდი. ჰოდა, სხვას მეტს ვერაფერს მოგწერდა. ფრონტის ამბები, გაზეთის საშუალებით, ვიცი, კარგად გეცოდინება, ჩემი საბრძოლო ეპიზოდების მოწერას კი ტრაბახად ჩამითვლიდი. მე ერთი რამ შინდა გთხოვო, ჩვენს ბიჭებს ძალიან ახარებთ თქვენი, ესე იგი, ჩვენებური საჩუქრები. ჰოდა, იმ ხაზს ნულარ ღინახავ, სხვა საჩუქრებთან ერთად ისიც გაგზავნე ფრონტზე. ვისაც მიუვა, სულ ერთია, გინდაც ჩემთვის გამოგვგზავნოს. კვესია, ხომ იცი, შენს მეტი არავინ მყავს. ნუ გამიპარატაბ, ბიჭო, ეზოს. ჩახედე ხანდახან შიგ, იმუშავე ჩემს მაგიერადაც. თუ რამ სახიერო მოიწიო, ფრონტზე გამოგზავნე, ომის დამთავრებას არ აპირებო? — იტყვი ახ-

ლა შენ. ვაპირებ, აბა, არ ვაპირებ? მარა ომის დამთავრების შემდეგ არ უნდა ადამიანს ჰქონდეს შიშის კამა? —

ვანიჩკას კარმიდამო პირველი იყო, რომელსაც ჩვენმა კომკავშირულმა ბრძოლამ მიხედა. მანამდე კი მარტო მე ვუვლიდი.

იმ ღამეს თვალი არ მომიხუტავს. ვიკითხე და ვათვალიერე გაზეთები, ჟურნალები, ლოზუნგები და დილით კომკავშირულ ბრძოლას ასეთი ლოზუნგები წარვუდგინე: „ჩვენ ვიშრომებთ არა მარტო ჩვენთვის და სამშობლოსათვის, არამედ ფრონტზე წასული ამხანაგის მაგიერადაც“, ლოზუნგი: „ჩვენი ქმრების ჩარჩები ერთი საათითაც არ უნდა გაცდეს, ჩვენ თვითონ ვიმუშავეთ ისეთ მაგიერ“ ასე გადავაცეთ: „ჩემი ქმრის ოთხით ვიმუშავე მე“. ლოზუნგი „თავდაცვის კომკავშირული ჰექტარები“ კომლემურნობის თავმჯდომარესთან მივიტანეთ შესათანხმებლად, რადგან სამისოდ ყანის ფართობები უნდა გამოეყო ჩვენთვის. ქიონა შამალაძემ თავისი ქმარი შეცვალა. ჩვენი სოფლის კომლემურნობის თავმჯდომარედ ის ქმრის ომში წასვლის დღეს აირჩიეს. ერთი თვის თავზე ქონიამ ქმრის დაღუპვის ცნობა მიიღო და მას შემდეგ შევები ადარ გაუხდია. როცა ჩემი გადმოკეთებული ლოზუნგი ნახა — „ჩემი ქმრის ოთხით ვიმუშავე მე“ — ცრემლები ვერ შეიკავა... სამუშაო გამოუღეველი გექონდა. „ვიფი მოწვევები“. როგორც ჩვენ ომამდე გვეძახდნენ, ახლა თვინიერა სარეზივით ვმუშაობდით. სამუშაოდო ბზარი მალე ჩემსა და ჩემს ბრიგადას შორისაც გაჩნდა. იკლო დაჭრებამ. ერთმა-ორმა ზურგიც კი შეგვაქცია. ტუტუნკასა და ვარეს გარდა თითქმის ყველას სჭეროდა, რომ მე მხოლოდ ჩემი სახელისათვის ვიბრძოდი. ასეთი მოქმედა-მოქმედა სასაცილოდ არ მყოფნიდა. რა ჩინ-მედლებს გამოველოდი მაინც? მაგრამ დღეები გადიოდა და ამ ამბავს საკანთოდ არ ვხდიდი. მაქიმედამ და ნიკიფორემ დაუქინებელი ფხიზლობის შედეგად ერთხელ და სამუდამოდ დაარწმუნეს ხალხი თავიანთ ინვალიდობაში და გულში ჩემზე გამარჯვებას ზეიმობდნენ.

ამ საქმის შესახებ ყველაზე მეტად მარიკას აზრი მაინტერესებდა.

ტუტუნკას მეშვეობით მე და მარიკა ერთ საღამოს ერთმანეთს ძველ ადგილას, მეძინას ძირში, შევეხვედით.

ჩვენი შეხვედრა სრულიად განსხვავდებოდა დანარჩენი სხვა შეხვედრებისაგან. მთავარი ის იყო, რომ ჩვენი საუბარი ერთმანეთის დაკითხვასავით წარიმართა.

— რას გაჩუმებულხარ, თქვი რამე! — ვუთხარი მე.

— რა ვთქვა?

— რაც გინდა, ის თქვი, ოღონდ თქვი.

— გამარჯობა! — თქვა მარიკამ. ერთი საათი იდგა და ახლა თქვა გამარჯობა.

— ოჰ, გაგიმარჯოს! — ვუპასუხე მე და გავუღიმე.

— ახლა რა ვთქვა?

— ახლა, როგორ გადახვედი მტრის მხარეზე, ის თქვი. მაშინვე იქ გადადიდა მტრის მხარეზე, შენ აქ და, დავრჩი მე მარტო.

— მე არსადაც არ გადავსულვარ.

— სტუი! გადახვედი! მაშაშენმა გადავიბირა.

— მაშაჩემი მუნჯია.

— მუნჯი? — ვიკითხე გაოცებულმა, მაგრამ მარიკას ხმით მაშინვე დავრწმუნდი, რომ მან მართლა არ იცოდა, თუ მაშამის ლაპარაკი შეეძლო, — ვთქვით, მუნჯია, მაგრამ მუშტი ძველებური აქვს.

— არაფერიც, მაშაჩემს ჯერ ჩენთვის თითიც არ წაუყარებია.

— თავს სომ არ გახეტებინებს კედელზე?

— ის ერთხელ იყო.

— შენ უკვე იცავ მამაშენს.

— დიას, ვიცავ. შეცოდება.

— გეცოდება?

— ჰო, მეცოდება! შენსავეთ გულქვა არ ვარ, რომ არ შემიცოდოს. მამაჩენმა, ქალით თუ ნებით, ყველაფერი გაიღო, რისი გაღებაც შეეძლო. და გაიღო იმდენი, რამდენიც ერთად აღებულ ათას კაცს არ გაუღია. ამას მიუშატე წიხი ფრონტზე დაღვრილი სისხლა და შერე წვითზე, რატომ გეცოდება მამაშენი-თქო.

— წელან თქვი, არ გადავსულვარო?

— არ გადავსულვარ.

— გოგო, არ გადასულხარ კი არა, რაც ხანია, აიღებ იარაღს, შემომიბრუნდები და მესერი

— არ გადავსულვარ, გაიგე ქართული! შეილის მამის გვერდით დადგომა ჩვენში გადასვლას არ ნიშნავს.

— იმისთანა მამის გვერდში დადგომა, როგორც მამაშენია, გადასვლას ნიშნავს.

— ჩვენ ჩვენი მამები უნდა შევინახოთ და გაუფრთხილდეთ მათ სახელებს, როგორებიც არ უნდა იყვნენ ისინი, თუ გვინდა, რომ ადამიანებს სახელების დაცვების რწმენა არ დაუყარვოთ. ყველა ადამიანი თავისებურად წერს თავის სახელს და თუ ყველა წავშალოთ, ყველას და ყველაფერს თუ გადავსვით ხაზი, ცარიელი დაფა დაგვრჩება. ცარიელ დაფაზე კი ჯერ მე არაფერი წამიკითხავს.

— შენ რამხელა გაზრდილხარ, მარიკა...

— სიმაღლეში?

— არ იჩხუბოთ, თვარა დაგნაყავთ, იცოდეთ, იჩივებს! — დაგვიძახა მეძინიას ხის გადაღმიდან თხმელის ბუჩქებში ჩამკლარმა ტუტუნიაკამ.

— შენ ასლა არ წახვალ აქედან? — შევეუფრინე მე.

— წავალ, მარა ისე ჩათვალე, თითქოს არ წავსულვარ. — თქვა ტუტუნიაკამ. მერე აღმა, რამდენიმე ფეხის ნაბიჯზე ჩაგვიარა, ჭიშკართან გელოდებო, მიამძახა მარიკას და სიბნელეში გაქრა.

ისევ ეღუმდით. ხელაწლა ჩამოვარდა უზერბული სიჩუმე.

— რაზე დამიბარე, აღარ იტყვი? — იკითხა ბოლოს მარიკამ. თითების მტვრევით.

— კასიანემ მითხრა, ქალი ყვავილიაო, თუ მოვლას მიაკლებ, მოიწყენსო. ყვავილმა რომ არ მოიწყინოს, წყალი უნდა დაუსხაო. მე მგონი ასეა. შენ კი მოწყენილს არაფერი გიგავს, პირიქით, გაზრდილხარ ყოველნაირად. ეტყობა, სხვა გისწამს წყალს. მე ეს არ მაკვირვებს. ამაზე აღრე მაფრთხილებდი, დადგება დრო და ჩვენ შევიცვლებითო. ჩვენ რაღაცას ბავშვურს, მიაშიტურს ვაკეთებთო.

— კვხია! — გაახსხლებით იყვირა მარიკამ. — თუ კიდეც ასე გააგრძელებ, წავალ, იცოდე!

(გაგრძელება იქნება)

დიდი გზოსანი

კოსტა შობილა მთების წიაღში,
უმწეო ნარის კენესა-გმინვაში,
ჯახვთა ჭიდილში, ხეთა შრიალში,
თავეხმა ავღარში, თოვლში, ყინვაში.
ის დაიბადა თეთრწვერა მთებში,
ექოს ზანზარში, ჭექა-ქუხილში.
ღარიბ აულში, გრივალთ თარეშში,
ღედა ოსეთის მძიმე ღუმელში.
აკვანს ურწევდნენ არწივის ფრთებით
კავკასიონის თეთრწვერა მთები.
ნანას უმღერდა სევედისგმიანი
მოუსვენარი თერგი ღრიალით!
ღედამ კი არა, ბუნებამ შობა,
სიმართლის ძალამ, ერთობამ, ძმობამ.
ღედამ კი არა, თვით ხალხმა შობა,
ხალხის სინდისმა და ხალხის ნდობამ.
ჩაგრულთ იმედად ხალხს მიეველინა
და ხალხის გულში მან ჰპოვა ბინა.
კოსტამ მოკიდა კალამს ხელი და...
მზე ამობრწყინდა სტრიქონებიდან.

ლექსი

რაა ლექსის ფასი,
თუ კი გრძნობებს ასცდა,
თუ ვერ ნახე მასში
საკუთარი განცდა?
თუ არ იგრძენ ელვით
ჩანჩქერების ლტოლვა,
— ვით ფოთლების ეშხით
მთის ნიავის ქროლვა.
თუ ვერ ნახე მასში
არწივების ფრენა,

თუ ვერ იგრძენ თქმაში
ვეფხვის გულის ძვერა.
თუ არ ისმის ბწყარის
სასიმღერო ჰანგი,
დადუმდება ღარი,
დადუმდება ჩანგი.
თუ არ არის ცეცხლის
ავარდნილი ალი,
ღუ, ასეთი ლექსის
დაიკარგოს კვალი.

შიში კრწანისთან

მეფე ერეკლე კრწანისთან
შესდგა თავისი ლაშქარით.
ბრძანება გასცა, — განრისხდა:
— მოსპეთ მტრის ჯარი! —
დაჰკარით
აწ თქვენი ბუკი-ნადარა!
გასწით, შესძახეთ ლაშქრული,
რომ არ გმინავდეს — აღარა
სამშობლო მიწა — ქართული!
— დიდება შენდა, მეფეო! —
ისმის ჯარიდან ძახილი.
— მტერს შევუტოთ, ვეომოთ! —
ღროშა ასწიეს დახრილი.
— სჯობია მოვედეთ, ვიდრედა
ურჯულომ მოგვსპოს თილისმით.
გვირები ახლა გვჭირდება,
რომ დავიბრუნოთ თბილისი.



სკეტიცხოველი

შორენას თვალითა შორი ელვა
და გამოხედვა...
ოსტატმა სული ქვას მისცა და
აავო მცხეთა!
დგას დიდოსტატი,
წმინდა სხივით განათებული,
ვით საქართველო —
სიმართლისთვის თავდადებული,
და ვაიარც რწმენა მარადისი
მოძავალ ღღეთა,
ოსტატმა სული ქვას მისცა და

აავო მცხეთა!
ვით საქართველო,
სიყვარულით ამაღლებული,
ბოროტსა ზედა
საუკუნოდ გამარჯვებული!
„...როცა ყველაფერს წვიმა
წარხოცავს,
როცა ყველა ხმას ქარი
წაიღებს,
სკეტიცხოველი
თვის დიდებას კიდევ აიგებს...“

ფილოსოფი

შენ ალბათ იცი, თუ რა
მოგელის,
ვით მიგატოვებს ავდარში
ყველა,
არ გაგაცილებს გლოვა შოპენის,
არ მოგასვენებს ძილში
ქიმერა...
და ერთი ჭიქა გეყოფა ღვინო,
რომ სულ სხვა თვალთ
შეხედო თბილისს...
გულში ღადარი რომ გაიდვივო
და დააღვენთო ტილოებს სხივი!
ბოლოს კი, როცა ჩადგება
ქარი,
როცა კიბის ქვეშ დატოვებ
ვნებებს,
მაშინ იტყვიან, რომ ხარ
უკვდავი,
და ღიად მხატვრად
მოგიხსენებენ!



რასაც ვერ ვამბობ — ვხატავ,
რასაც ვერ ვხატავ — ვამბობ!
გმადლობთ, თვალჭრელა ფერებო,
ფრთიანო სიტყვაო, გმადლობთ!
იქნებ გავეძეო დუმილს,
შევწვედო უხილავ ზარებს,
ლექსად ავენთო დილით
ფერად ჯადოსნურ ღამეს...
ვტყუო მეგობრას ღიმილს,
ჩემი სატყუები ართობს:
„რასაც ვერ ვამბობ — ვხატავ,
რასაც ვერ ვხატავ — ვამბობ!“



ღიახ, მონა ვარ,
ჩემს მორჩილებას
სიამოვნების ნათელი ჰკვებავს...
მონა ვარ ჩემდა სასიხარულოდ,
ჩემდა ნუგეშად და ჩემდა ბედად..
ყოველთვის, როცა ვმუშაობ,
ვფიქრობ,
ღამს გართობის
თუ მართობისა,
მონა ვარ სამი დიდი ბატონის:
ლ ე ქ ს ი ს,
მ უ ს ი კ ი ს
და მ ხ ა ტ ვ რ ო ბ ი ს ა!



ქაჩქაჩი

რომანის პირთი თავი

მაქსიმე მაქუტაძე მამია გურიელის განახლებული სასახლის ლოცვა-კურთხევას რომ მორჩა, კარის ეკლესიაში ჩაიკეტა და წინამძღვარს დავალბა მისცა.

ის იყო, მთავარი სასახლიდან უნდა გამოსულიყო, რომ მოახსენეს — თავად ქაიხოსრო ერისთავს თქვენი ნახვა და სასახლის დალოცვა უნდაო. მამია გურიელმა ნება დართო. ქაიხოსრო შემოიყვანეს, მან ხელები აღაპყრო და ყველას გასაგონად წარმოთქვა:

— ხელმწიფე მთავარო, გილოცავთ ამ სასახლის განშენიერებას, მეც აღფრთოვანებულია. საერისთავო ძღვენი მოგართვით! თუ ღრე გექნებათ, ორიოდ წუთით ყმასაც მომამყარით, მეფური ყურადღება!

მთავარს მაინცაღამაინც არ ესიამოვნა ამ განახლებულ სასახლეში ქაიხოსროს შემოსვლა და ჰკითხა: — კიდევ უჩივი ძმას?

ქაიხოსრომ ხელები მოიფშვინა, წელში გაიჭვინტა, გულ-მკერდი წინ წამოსწია, თვალები მოკუტა და სმადამლა თქვა:

— აბა, არ ეჩივლო, ბატონო მამია? უკვე მერამდენედ გითხარით, ჩემი ძმა გიგო მატონ-ყმობის წესებს არ იცავს-მეთქი? ჩვენი ყმები გარბიან და გიგოს მამულში მუშაობენ. გასამრჩელოს რაღაცა უცნაური წესი შემოიღო, რამაც ჩვენი საქმიანობა სულ მოშალა. ყმები გაგვექცა. საჩინო ვაჭარს თქვენ კი ყველაფრის უფლება მიეცით: გიგოსთან ასკალონა მემარნიშვილი ღვინოებს აყენებს, იქაც ჩვენგან გაქცეულ ყმებს ამუშავებენ; აქაოდა, ლუარსაზ ნეფემ გამოაცხადაო, ადექით და გზებზე საბაულები გაგვიუქმეთ.

მთავარს ეწყინა ქაიხოსროს ასეთი კადნიერება, შუბლზე ძარღვი აუთამამდა და გაჯავრებულმა უთხრა:

— ქაიხოსრო, შენი საერისთავოდან ბერი ყმა-გლეხი მოდის ჩემთან საჩივრით. შენ რომ ყმები გაყიდე, გიგომ დაიხსნა, მიწა მისცა და დასახლა. თავის ზერებში მომუშავე ყმებს დღიურ გასამრჩელოს აძლევს, ყმა-გლეხობას მოსწონს ეს და საერთოდ, მის საქმიანობას კარგი პირი უჩანს. ვაჭრობაზე რომ მისაყვედურე, აქაც მართალი არა მარ, ვაჭრობა დაიხსნა უნდა განვავითაროთ. შენ რომ საბერძნეთი ან იტალია ნახო, გაგიკვირდება! გიგო კი იქ ნაშყოფი კაცია, იცის, როგორ ააწყოს საქმე, ყველაფერს აკეთებს სამთავროს ძლიერებისათვის. გიგო უჩემოდ არაფერს წყევტს. შენ სიხარბითა და გაუმადლობით განადგურე მამაშენის დიდებული საერისთავო! თუ ასე განაგრძობ, იცოდე, ჩამოგართმევ და სამცხედ გაყეფს ან გიგოს გადაეცემ. ამით სამთავროც გაძლიერდება და შენი ყმა-გლეხიც გაიხარებს.

ქაინოსრო მთავრის ასეთ განჩინებას არ ელოდა, თავი ვერ შეიკავა და წამოიყვია:

— მთავრო, ხომ არ გავიწყდებათ ჩემი გვარის დამსახურება?!

მამიამ მკაცრად გადმოხედა.

— ხმას დაუწიე! შენი ძმისაგან ისწავლე საერისთავოს გაძღოლა! თვალისჩინივით გაუფრთხილდი უმა-გლეხებს, საშუალება მიეცეო, მეტი მოსავალი მოიყვანონ, ვაჟარ საჩინოს პატივი ეცი! იგი შენი ავად სახსენებელი არ არის! კაცი მთელი სამთავროს უკეთესობისათვის იბრძვის, შენ კი იმაზე ფიქრობ, რით შეარცხვინო მამა, ძმა და მთელი სამთავრო. ანლა სასწრაფოდ გამეცალე, ერთი საჩივარიც რომ მომივიდეს შენი საერისთავოდან, იმ წუთსვე თავს წაგასხეპ!

მთავარი გაჭავრებული წამოდგა. ქაინოსრო კარებში გაიძურწა.

შემოქმედელიც მღვდელ-დიაკანთა თანხლებით ერეთვისაყენ მიმავალი მთავრის ამაღას გაჰყვა.

მამია გურიელი და მისი მეუღლე, თინათინ ათაბაგის ასული, ბედაურებზე შემსხდარნი მიუძღოდნენ ამაღას. ცხენები ჩორთით მიჰყავდათ. თინათინი სიამტკბილობით შესციცინებდა თვალბში მხარბახებელს. ქმარიც მზრუნველობასა და ყურადღებას არ ღლებდა ჰკვიან მეუღლეს. მამიას ხომ თავად სიღინჯე და სიღარბაისლე სჩვეოდა.

სოფელ ჯვარცმას უახლოვდებოდნენ, როცა მთავარმა დედოფლის ბედაურს შუბლზე მზრუნველობით გადაუსვა ხელი, ყვავილწული შეუსწორა და დედოფალს მამადალა უთბრა: სოფელში ნელა შევიდეთ, გულთბილად მოგვითხოთ ერთგული ყმები, დიდიდან რომ გველოდებიანო.

სოფლის მცხოვრებნი დიდიან-პატარიანად გამოსულიყვნენ გამარჯვებული მთავრის შესახვედრად. ისმოდა შეძახილები:

— მამია გურიელს ქრისტე ღმერთი ფარავდეს!

— ჩვენს მთავარსა და დედოფალს გაუმარჯოს!

გიგო ერისთავის მეუღლემ და პატარა მარიჯანმა ყვავილები მიართვეს მთავრის მეუღლეს. თინათინმა გულზე მიიხუტა ლამაზი მარიჯანი და ჯვარცმელებს მიესალმა. ხალხს ერთხმად აღმოხდა:

— დღეგრძელი იყავ, ჩვენო მფარველო ანგელოზო!..

თინათინს ცხენიდან ჩამოქვეითებაში გიგო მიეშველა. გიგოს მეუღლე დედოფალს პირველი მიესალმა და ერთმანეთი ტკბილად მოიკითხეს.

მამიას ცხენიდან ჩამოსვლაში გიგო ერისთავი უნდა მიშველებოდა, მაგრამ მამიამ მსახური გოგია რამიშვილი ირჩია, რომელიც დაშხედურთა შორის ყველაზე აზოვანი ჩანდა. გოგია მოკრძალებით მივიდა, ცხენს სადაეე დაუჭირა, მთავარს მარცხენა ფეხზე უზანგი ფრთხილად წააძრო და მარჯვენა ხელის გული მძლავრად ანოსლო ფეხის გულში. მამია უშიშრად დაეყრდნო მარცხენა ფეხს, მსწრაფლ მარჯვენა გადმოატარა ცხენის ზურგს და თითქოს გადმოფრინდო, ისე ჩამოქვეითდა.

პირველად გიგო ერისთავს მიესალმა. მერე სხვა დიდებულები და ნაცნობებიც მოიკითხა. მთავარმა გოგია ისმო. გოგია მოვიდა და დამოკილი ემთხვია მთავრის კალთას. მთავარმა თითიდან აღმასისთვლიანი საგვარეულო ბეჭედი წააძრო და გოგიას ანიშნა, ზელი მომეცია. გოგია ამას არ მოელოდა და შეეცვნდა, გიგომ ანიშნა, ხელი გაუწოდო. გოგია წამოდგა მორცხვად, უკან დაიხია და მარცხენა ხელი გაშალა. მამიას გაეღრმა, როცა გოგიას არათითი შეათვალიერა, წუნარად თქვა:

— ამ თითის სარგო ბეჭედი ჯერ ჩემს სამთავროში არ გამოქვდილა. სახლთუხუცესი მეღქისედეკ მაჭუტაძე ისმო და დაავალა: — ეს ბეჭედი ამ მსახურს მთარგეთ, თანაც აუხსენით მისი მნიშვნელობაო.

გურიელმა გოგიას მიმართა: — დღეიდან მთავრის ერთგულთა რაზმში ირიცხვბიო.

გოგია მცადა მთავრისათვის ეთქვა — მე ხომ ტყვეების მტაცებელთა მდედარი რაზ-
მის წევრი ვარო, მაგრამ მთავარმა ისე შესედა, ენის დაძვრაც ვერ შესძლო. გოგის
მოაგონდა, მქუხარა მამალაძემ ორი წლის წინათ პირველად რომ წარუდგინა მისი თა-
ვი მთავარს. ახლაც უფრო ჩანსმოდა მთავრის სიტყვები: „სწორედ ასეთი ვაჟაყცები
სჭირდება ჩვენს სამთავროსო!“. თვალწინ უდგას მთავრის მიერ გამოწვედილი ქაშა-
რალი და გულდაჭერებით ნათქვამი: „ეს ხანჭალი შენს ხელში მტრისათვის გრძელ
ხმალზე უფრო მეტად საშიში უნდა იყოსო!“. გოგია მთავრის ნაქონი ხანჭალი გულ-
დაგულ გაისწორა, მაგრამ მის უშველებელ ტანზე მაინც სათამაშოსაფით მოჩანდა...

ერკეთის საწინამძღვროს სენაკში მოიყარეს თავი გურიის მთავარმა მამია გურიელ-
მა, შუა გურიის მღვდელთმთავარმა შემოქმედელმა მაქსიმე მაჭუტაძემ, ხინოწმადის
ეპისკოპოსმა, ზენო გურიის საჯუმათლოდან ეპისკოპოსმა გოგიტიძემ, სახლთუხუცესმა
მელქისედეკ მაჭუტაძემ, ერკეთის წინამძღვარმა იოთამ ღუმბაძემ, ერკეთ-ჩოხატაურის
მფლობელმა გაგო ერისთავმა.

ცოტა ხნის შემდეგ სენაკში ფეხაკრეფით შემოვიდნენ ასკალონ მემარნიშვილი, მქუ-
ხარა მამალაძე, გოგია რამიშვილი, მამა-შვილი საჩინო და მარო ჯაშუბი.

მთავარმა ანიშნა, დასხდითო. საჩინო თავისი ქალიშვილის გვერდით დაჯდა, მა-
გრამ მთავარმა თავის გვერდით სკამზე მიუთითა. ასკალონიც ასევე მარცხენა მხარეს
დაუჯდა მთავარს. საჩინომ მამიას რაღაც ვადაულაპარაკა, მთავარმა ზურგზე ხელი მოუ-
თათუნა და უთხრა:

— ჩვენო ერთგული ვაჟარო, შენმა ზურგმა უნდა გვიშველოს!

საჩინოს სანაგებობრა და მიუღო:

— ჩვენო მზრძანებელო, თქვენ ყოველთვის კეთილ საქმეს წამოიწყებთ და მეც მზად
ვარ ერთგულად გვესახუროთ.

— დღე არ გავა, არ შემომჩივლონ — ამა და ამ უკეთურმა შვილი მომტაცა და
ურჯულურზე გაყიდაო! მეც მუხლჩაუხრელი დავდე ამ საქმეს. ზოგს ვაბრუნებინებ. მა-
გრამ უმწარველესობა იკარგება არადადამიანთა და მწავართა სელმრუდობის წყალობით.
დღეიდან სახალსოდ დავსვი ტყვეთა მომტაცებლებსა და მათი ხელის შემწყობთ. ძმაც
რომ იყოს ყმის გამყიდველი, არ დავინდობ! — მამიამ მხას დაუწია, ისედაც გათავადით:
ოსმალებს რჩეულ ქალ-ვაჟებს ვაძლევდით, კიდევ მოტაცება და ყმათა წაყვანა გვინდა?!.
მთელს საქრისტიანოს აფიქრებს ჩვენი მხარის მდგომარეობა, განსაკუთრებით — ტყვე-
თა ყიდვა... პირდაპირ გეტყვით, ზოგიერთებს ტაციობით გამდიდრებისაყენ გვიპირათ
თვალი და სამთავროს კი აჩანაგებთ! ამიტომ გიხმეთ. გთხოვთ დამესმაროთ, ამხილეთ,
ვინც უნდა იყოს! რაც მთავარია, ტყვეები არ დავანებოთ. ისე ერთპირად და ვაჟაყცე-
რად დავდგეთ, რომ საგურიელოდან ადამიანი ვერ გაიტაცონ! ჩემო მქუხარა, ისე ჩაე-
ტე გუბაზეულის ხეობა, რომ ძენორციელი ვეღარ მოგვტაცონ. შენ კი სუფსის ხეობას
ჩაეკეტე, ჩემო გოგია... ასკანის მხარის დაცვა შეუძლებელი მეგონა, მაგრამ ასკანის
ციხისთვის ხასუტა ასათიანის ერთგული სამსახურით ისე მოგვარდა ეს საქმე, რომ
ღირსა ხანია არავინ გაუტაცებიათ. ახლა მთავარი გამტაცებლები, თუმცა იქ ძლიერა
შეთვალყურენი შევარჩიე, სუფსისა და გუბაზეულის ხეობით მოიპარებთან. ეჭვი ჩამოსახ-
ლებულ თურქ მეჯოგებზე მაქვს. მათ ვიღაც ჩვენგანი უწყობს ხელს. ჩემო მქუხარა.
თუ ეჭვი გამართლდა, ხელშემწყობნიც ოჯახიანად აჩეხეთ! ასევე შენც, ჩემო გოგია! —
შემდეგ მთავარმა ღარბაზს გადახედა, — თქვენ კი, რას იტყვით...

მაჭუტაძეები შემფოთდნენ. მთავარი მათ მიაჩერდა. მაქსიმემ თქვა:

— დღეს კანონით ნებადართულია ვალაუვალი ყმისა და მშობლის ნებასურველით
ვილის გაყიდვა.

— მეც მხარს ვუჭერ ამას! — თქვა მელქისედეკმა.



მთავარს არ მოეწონა ამითი პასუხი და გაიფიქრა, „ვიცი, ღვთის მსახურთ ღმერთს აღარ გწამთო“, ხმაშაღლა კი თქვა: ასკალონი და გოგია რაღას იტყვიან?

მთავარი გოგიას მიაჩერდა. გოგია სახეზე წამოწითლდა. წამოდგა და ბოხი ხმით დაიწყო:

— აღამიანის გაყიდვა უნდა აეკრძალოს მშობელსაც და საერთოდ ყველას. მე ერთ სიტყვას გეპარავდი, როცა სათურქოდ დარჩეულ ქალ-ქალებს ვგზავნიდი... დღეს მღვდნურა დასო, ჩვენი ძლიერი მთავრის წყალობით.

შემდეგ ხინოწმინდელმა ეპისკოპოსმა ილაპარაკა.

— სამცხე-საათაბაგოში, თქვენთვის ცნობილი უძველესი ეკლესია უკვე დაანგრის, ხატები გარეთ გამოყარეს და დაწვეს; იქიდან უძველესი ხატი, რომლის წინაშე ქართველები მუდამ მუხლს იყრიდნენ, გამოიტანეს და ცის ქვეშ დააგდეს, ეკლესიის მრევლი და სამწყსო დატყვევეს. მათ უბრაანეს: უარსავეთ ქრისტეს სჯული, თქვენს სალოცავ ხატს ნიფურთებით და ვინც დაუტერა, გაათავისუფლებს, ხოლო ვინც რჯული არ უარყო, ჭაღათებმა იქვე თავი მოკვეთეს და წმინარეში გადაყარეს ათასივე ქრისტიანი ერთად დასაჩეს. ამის შემდეგ სხვაგვარად მოიქცნენ, სხვა სოფლებს ასე ჭიქურ აღარ მიაღწენ, მაგრამ ყოველ ღონეს მიმართავდნენ მიწის მისაღწევად... ახლა ჩვენსკენაც მოიწვევენ, თავისი სჯულის მქადაგებლებს გზავნიან; ფულით ეპურობენ ან ჩაუსაფრდებიან და იტაცებენ. ახლა, როგორც ამბობენ, თავს უნდა დაგვესხან, მოსალოდნელია დიდი ომი. მაგრამ ომში იმდენი კაცი არ დაგვავლდება, რამდენიც ამ ვატაცება-გაყიდვით. მართლაც რომ ღრუღლია ტყვეთა გაყიდვის აღსაკვეთად თქვენი ესოდენ დიდი გარჯა, ჩვენც ვეცდებით, როგორმე სამთავროს გარეთ არ გაიყიდოს ჩვენი ყმები.

მთავარს მოეწონა ხინოწმინდის ეპისკოპოსის სიტყვა და თავად ვიგოს მიმართა:

— ერთი შენებურად ყველას სათქმელი შეგვაწიე!

ვიგო წამოდგა და წყნარად დაიწყო:

— ბატონებო! ჩერ მშობლებს და მეფელებს ვერ დავუშლით შეილისა და ვალაუვალითა გაყიდვას. მაგრამ იმის აკრძალვა კი შეიძლება, რომ ოსმალეთში არ გაყიდონ... მტერმა პირველად ნესწეთ-კლარჯელს დაარტყა. მან იცის ამ მხარის უბანი; იცის, რომ საქართველომ წამოადგომას და დიდებას ყოველთვის აქედან მიაღწია. ამ მხარეს ძველი ღრმიდან მოყოლებული, უდიდესი მოღვაწეები მკადდა: ეარაზაკური, იოანე ჭებრაწი, ჭიშკიშელი, იოანე შავთელი, დავით საათაბაგოელი და შოთა რუსთაველი. ქართველ მეფეთა ყურადღება უპირველესად აქეთვე იყო მიქცეული. მაგრამ მეფემ დამოუკერა სახულის დიდებული ტაძარი და კარგი პირობები შეუქმნა იოანე ოქროპირის, რომელმაც ქართველი მწიგნობრები აღზარდა. შემდეგ დავით აღმაშენებელმა ეს ტაძარი გააბრწყინა და გაამშვენიერა. საღიფაზე თამარ მეფის გამარჯვების უკდავსაყოფად ჩერ საქართველოს დროშაზე იქნა წარწერილი ეს დიდი გამარჯვება, ხოლო შემდეგ სახულის შესანიშნავ ღვთისმშობლის ხატზე. და დღეს ეს ხატი საფრთხის წინაშეა! ჩვენ კი... — გავისვენოთ გობრონ ახალციხელი და მისი ასსამოცი გამოჩენილი გმირი, რომელთა მეოხებით საქართველომ თამარის დროს დიდების მწვერვალს მიაღწია. დღეს ამ მხარის გადარჩენა მხოლოდ საქართველოს მეფე-მთავრების გაერთიანებით შეიძლება. ამის საშუალებას კი არ გვაძლევს საქრისტიანოს ორი დაუძინებელი მტერი — თურქეთი და სპარსეთი. მათ უპირობოდება საქართველოს უძლიერესი გმირი გიორგი სააკაძე. ყველა თავადმა და ქრისტიანმა ერთი საზრუნავი გავიხადოთ — მივეხმაროთ სააკაძეს რომელიც ერთიანი საქართველოს დროშის ძლიერებისათვის იბრძვის. მხსნელი მხოლოდ სააკაძეა, მაგრამ სამეფო კარზე საქართველოს მონარქის მტრები მრავლობენ. ლუარსაბს გამბედაობა რომ გამოეჩინა, აღდგებოდა უძლიერესი საქართველო სააკაძის მხე-

დართმთავრობით. ჩვენ ყველამ ხელი უნდა შევუწყოთ სააკაძეს. ამას შევძლებთ მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენს მთავარს ერთგულად ვემსახურებით, ურთიერთშორის ვხვდებით და მეგობრობა გვაქვება. გამარჯვება კიდე უფრო გავაძლიერდება, თუ ყველა ერთნაირად ვიზრუნებთ ყმა-გლეხობაზე. მაგრამ, საუბედუროდ, ასე არ ვიქცევით.

მამია გურიელის ქველმოქმედებით, დღეს დასავლეთ საქართველოში უძლიერესი ძაინც ჩვენი სამთავროა. მაგრამ მოსწონთ ეს ჩვენს გარეულ თუ შინაურ მტრებს ან ჩვენი მეფე-მთავრების უმრავლესობა? აგერ, ჩვენდა საუბედუროდ, ათაბაგი ჩვენზე გამწყარალია, ასევე არიან რდიშელები, მაშინ როცა, მათ უნდა უხაროდეთ გურიელის წარმატება, მაგრამ, მტრები აქეზებენ, ძლიერი საგურიელი მოშალეთო, რომ განზრახვა აისრულოს.

ჩვენი მეტურნება მოიშალა, მოძველდა. არ გვაძლევს იმდენს, რამდენიც საჭიროა, ამიტომ ყმა ვერც თავს ირჩენს და ვერც პატრონს არგია. მაგალითისათვის ჩემი ძმა გამოდგება. ტყავი გააძრო ყმებს, მაგრამ მისი მამული თანდათან უკან იდის. თვითონაც ყიდის ყმებს და მისი ყმებიც შეიღებს სათათრეთში ჰყიდიათ. ოსმალები ზარწმუნოების გასაფრთხილებლად ვერაგულ ხერხს მიმართავენ: ყმას, რომელსაც მაჰმადიანობას ნიშნები ეჩვენება, თავისუფალ ყმა-გლეხად აქცევენ და უფლება არა აქვს, ქრისტიან ბატონს ემსახუროს... — ამიტომ პატრონ-ყმის საკითხი დროულად უნდა მოვაგვაროთ ისე, რომ ყმას საშუალება მიეცეს თავიც ირჩინოს და ჩვენც გვარჩინოს. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, ჩვენ, ძმებმა, როგორ გავიცავით საერისთავო მამული. ქაიხოსროს უკეთესი ადგილები შესცდებ. მთელი სათავადოს ნახევარ მისართმევებს დროზე ვიხდრდი. გავიდა რამდენიმე წელი და ახლა მთელი სათავადოს მოვალეობაზე მეტსაც ვიხდი, სოლო ქაიხოსრო იმ ნახევარსაც ვერ ხდის, იმიტომ, რომ ჩემი ყმა გლეხების რიცხვი სამჯერ გაიზარდა, ქაიხოსროსი კი ორჯერ შემცირდა. ჩემი ყმა-გლეხები ასკალონის წყალობით გონიერად შრომობენ, კარგი შემოსავალი აქვთ. გლეხკაცი დიდი ძალაა. თუ საშუალებას მივცემთ, იგი მიწას აუყვავებს, ქვას თაფლს გამოადენს... თუ მათ ამბავს დროულად მოვაგვარებთ, მართლაც, უძლეველი ვიქნებით.

— მართალს ამბობ, — ოღონდ ჰმამალა ნათქვამი გამოუვიდა მთავარს. გაიფიქრა, ნეტავი მაჰმუტაძეების ადგილას თქვენ შეაფდეთო, და შეხედა გიგოს, ასკალონს, საჩინოს, მქუხარას, გოგოას, მაროს...

გიგომ მთავარი მოსასვენებლად მიაცილა. კარებთან გოგია დადგა მცველად.

ფიქრებში წასული მთავარი ერთხანს გულადმა იწვა და ჭერს მიშტერებოდა. იგი უკვე მესამედ ეკითხებოდა თავის თავს, „რატომა ჩემი ძმა დადიანების მწარეზე. კათალიკოსი მხოლოდ სიმართლეს უნდა უჭერდეს ნხარს, მე რომ ათასჯერ მართალი ვარ, ის რატომ გაიძახის — სადადიანო უფრო სწორად ზომავეს, ვიდრე თქვენო! გასამთავრებელი ღვეან დადიანი მაღაქიაზე ნაკლებად არც მე მიყვარს, მაგრამ საკითხაია, როგორი ადამიანია? კაცმა უბრძვლელად ადამიანობას უნდა სცეს პატივი და თვალად ადამიანობა არასოდეს დაკარგოს. ადამიანი ყველაფერში მართალი უნდა იყოს!“.

ფიქრთა ჭიდილში მიღუღა თვლი. თინათინს საქართველოზე და სამთავროზე ფიქრი არ ასვენებდა. აღფრთოვანებული იყო მამიას ვაჟკაცობით და დიდხულოვნებით. უნაროდა აჟარის შემოერთება, ოღონდ ეგ არის, მშობელი მამის განაწყენება აფიქრებდა. მამის სიტყვების გახსენებამ — „ამ გზით მამია დაკარგავს ცოლ-შვილს და სამთავროსაცო“, ახლაც შეაერთო...

22



ნიკოლა პასცაროვი

რ ვ მ ე ნ ა

მე ვცოცხლობ,
 ვშრომობ და
 ვსუნთქავ,
 ამ ღმრთისაღ
 ჩემებურად
 ვთხოვ.
 ვიცი,
 წინ მიდევს
 ცხოვრება ქუში,
 მაინც ჯიქურად
 შევეყურებ
 შუბლში.
 ცხოვრება რაგინდ
 არ იყოს
 მკაცრი,
 თუ ძმა ხარ,
 შენ იყავ
 კაცი!
 ჩემს სხეულს
 თუმცა
 ცხოვრება შევერავს,
 მე მისი
 მჯერა!
 ო, რაც არ უნდა
 მატკინოს გული,
 სულ არ ვემდური.
 რაო?
 ვემდური?
 არა, პირიქით, —

მე მიყვარს იგი,
 მკაცრი და
 ფლიდი.
 იგი —
 უხეში,
 რკინისკლანჭება,
 სულს რომ მხდიდეს და
 თავს რომ მაცლიდეს
 შევეარება,
 შევეარება,
 სულ შევეარება!
 წუთისოფლისთვის
 რას არ ვიზამდი,
 რას არ ვიზამდი
 წუთისოფლისთვის —
 ავფრინდებოდი ცაში
 რაკეტად,
 ღვეშეებოდი წვიმად
 მიწამდე,
 მერე კვლავ მაღლა
 ავიჭრებოდი,
 ვფიცავ, ამ ქვეყნად
 გულის გაჩენას, —
 ზეცის გუმბათებს
 მიმოვსერავდი
 ახალ ვარსკვლავთა
 აღმოსაჩენად.
 იცით, რა არი,
 როცა ირგვლივ

ცის ლაჟვარდია
და ღაჭქრის ქარი,
იცით,
რა არი?!

გულს რომ მომაჭდონ
ხიშტთა გვარდია,
რას გახდებიან,
რას დამაყრიან,
როდესაც ირგვლივ
ცის ლაჟვარდია!

მაგრამ
წამგლიჯეთ
თუნდ ნამცეცი
ჩემი რწმენისა,
ჩემი რწმენისა,
ზურმუხტფერისა,
ავღრიანდები,
როგორც ფიცხი
იაგუარი,
(ნუთუ სამყარო
მართლა ყრუ არი?!)

ავღრიანდები
განგმირული
გულის ტკივილით,
შესძრავს სამყაროს
ჩემი კივილი!

თუ ჩემი მტრები
ამომგლეჯენ
გულიდან რწმენას,
როგორღა შევძლებ
ლაჟვარდებში
ფრიალს და
ფრენას?

არა, ძმებო,
გეტყვით ნათლად,
დაუფარავად,

ამოსუნთქვაც უამრწმენოდ
მიღირს
არარად!

გსურთ, მომიკლათ
რწმენა ჩემი —
გული,
გონება, —
რომ ზვალ ბევრად
უკეთესი მოვა
ცხოვრება?

ცხოვრება დიდი,
მართალი და
ნაღდი,
ჭკვიანი,
სად მხრებგაშლილი
ივლის ლაღად
აღამიანი?

მითხარით ბარემ,
როგორ მოჰკლავთ,
იქნებ ტყვიებით?
იქნებ წამებით,
დევნით,
ან სხვა ამბიციებით?

ვიპასუხებთ,
თუნდაც მიწა
მექცეს
ლოგინად,
არაფერი
არ გამოგივათ!

რადგანაც რწმენა
სიცოცხლეა
ფოლადის ფარით
და მისი მოკვლის
იარაღი

ჯერ
არსად არი!

— ლორი, გძინავს?
შენ მისმენ, ლორი?
— სანგარში — ბიჭო! — დაიღუპავ
თავს!
მტერი ორიოდ ნაბიჯზეა
მგონი!..
— ლორი, მითხარი,
სიზმრისა გწამს?
მისმინე...
რა ვნახე...
ჰო, გამახსენდა:
ომი დამთავრდა...
დამთავრდა სულ!
ჩვენ გავიმარჯვეთ!..
დიდება შენდა
უფალო!..
მინდვრების მივეყვები ზნულს...
იქედან, უეცრად,
ჰოპ — ქარხანაში.
გზგუნებს ქარხანა.
მე ჩარბთან ვდგევარ.
ვუშვებო მანქანებს,
ათას ცალს წამში.
ჩვენია ქარხანა.
ლორი, შენ გჯერა?
შენ ბრიგადირი ხარ,
შემტვეი, მკაცრი.
„სამასი, — მომშართავ, —
დეტალი დღეს!“
თქმა იცი —

ოჰოჰო! ლითონით ზმაში.
არ შეასრულებ და —
მტერს!
ეს ისე,
სიტყვისთვის.
ნუ ჭმუნნავ წარბებს.
შევხედავთ ერთმანეთს —
უსიტყვოდ თქმულია?
ზევით ლაჟვარდია,
მზეც სხივებს აფრქევს,
არწიენი ლაღად
ირაოს უვლიან.
თვალეებში ჩახედა მეგობარს
ლორიმ.
(ამ გამოხედვაში რა სათბო იყო!)
— საღღათი კი არა,
ბავშვი ხარ, მგონი..
შენ ომში...
შენ ომში რა გინდა,
ბიჭო!
ჰანიკით ვარბის
ბურჯი დილის,
ვარსკვლავნი ქრებიან
შორით.
სულ ახლოს ბათქი და...
ნამსხვრევი წივის...
— ო, ლორი...
მივდივარ...
მგონი!..

ბულგარულიდან თარგმნა
პასტანკა ახვლედიანმა.



ფორმის რიზიის მეთოდი

ჟურნალ „მოლოდია გვარდიის“ 1984 წლის მე-10 ნომერში დაიბეჭდა სა-
მოქალაქო ომის მონაწილის, 1918 წლიდან სკკპ წევრის გავრილ მარტინენკოს
ეს დოკუმენტური ნარკვევი, რომელიც სამოქალაქო ომის გმირის დიმიტრი პეტ-
რეს ძე უღობას საბრძოლო ღვაწლზე მოგვითხრობს.

ქართველ მკითხველს ვთავაზობთ ამ ნარკვევის ნაწყვეტს, სადაც აღწერილია
თეთრგვარდიელებთან ბრძოლის ეპიზოდი და მეთერთმეტე წითელი არმიის
მე-18 კავალერიის დივიზიის ლაშქრობა ახალციხიდან გოდერძის უღელტეხილზე
გადავლით ბათუმისაკენ, რათა ქართველ ხალხს დახმარებოდნენ ქ. ბათუმისა და
ყოფილი ბათუმის გუბერნიის განთავისუფლებაში თურქი ოკუპანტებისაგან.

ფრონტის სარდლის ა. ი. ეგოროვის მატარებელი ჩიხში იყო „გაჩერებული. სა-
ლონ-ვაგონის ტამბურში ი. ბ. სტალინი იდგა. იგი უღობას ცარიცის თვდაცვიდან
იხსნებდა. დიმიტრი პეტრეს ძემ სტალინს წარუდგინა მასთან ერთად ჩამოსული ამბა-
ნაგები, დასახელა ჩვენი თანამდებობები და გვარები.

— ვაგონში შემობრძანდით, — გვითხრა სტალინმა. — ყველანი შევიკრიბეთ. წი-
თელი ცხენოსანი ჯარის წარმომადგენლებს ველოდებით.

ვაგონში უღობამ ხელი ჩამოართვა ფრონტის სარდალს ა. ი. ეგოროვს. თათბირი
დაიწყო

განვიხილავდით სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის არმიის საერთო შეტევის გე-
გმას. ესწრებოდნენ ეილემანი, უბორევიჩი, ბერზინი, ზატონსკი. მალე დიბენკოც მო-
ვიდა. მთავარი როლი შეტევაში უღობას პირველ ცხენოსან კორპუსს ეკისრებოდა. გა-
დაწყდა კორპუსი გაეძლიერებინათ ორი დივიზიითა და ორი კავალერიის ბრიგადით.
ასე იქმნებოდა დამკერველი ცხენოსანი ჯგუფი.

დიმიტრი პეტრეს ძემ ითხოვა მისი კავალერია გაეძლიერებინათ ჯავშნიანი მანქა-
ნებით, აეროპლანებითა და ქვეითი დივიზიით. უამისოდ ჯგუფის გასვლა რეიდში არა-
ფერს კარგს არ გვიქადისო. ცხენოსანი ჯარი უძლურად ტანჯებისა და თვითმფრინავე-
ბის წინააღმდეგო.

მახსოვს, სტალინი, რომელიც პირში ჩიბუხგაჩრილი სულ ბოლთას სცემდა ვაგო-
ნში, შეჩერდა და იკითხა:

— გვითხარით, ამხანაგო უღობა, რამდენი ჯავშნიანი მანქანა და თვითმფრინავი

გჭირდებათ იმისათვის, რომ თქვენმა ცხენოსანმა ჯარმა მოწინააღმდეგის ფრონტი გაეჭრათ არტილერიის და მელიტობოლი აილოს?

— ძალზე ცოტა, ამხანაგო სტალინ, — მიუგო ჟლობამ, — მომეცით თუნდაც იმის ნახევარი, რაც ვრანგელს აქვს, უფრო ზუსტად: მე მჭირდება სულ ცოტა ოთხი ჯავშანრაზში და სულ ცოტა ხუთი ავიარაზში. და, რასაკვირველია, სასურველი იქნებოდა გვეოლოდა თუნდაც ერთი მსროლელთა დივიზია.

სტალინი ეგოროვს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— ვფიქრობ, ამხანაგი ჟლობა არც ისე ბევრს ითხოვს. შეგვიძლია თუ არა დასახული შეტევის წინ, სამ-ოთხ დღეში მივცეთ ეს ტექნიკა?

— ორი ჯავშანრაზში, როგორც ეიდეშანი გვპირდება, — მიუგო ეგოროვმა, — სამ-ოთხ დღეში იქნება კავალერიის ჯგუფში. ერთი ჯავშანრაზში არის კორპუსში, ხოლო ერთსაც როგორმე გამოძებნის არმიის შტაბი.

რაც შეეხება ავიაციას, აქ საქმე უარესადაა. ჩვენ ფრონტის მარაგიდან თხუთმეტი თვითმფრინავს ვერ გამოეუფოდნენ დამკვერელ კავალერიის ჯგუფს. არმიებს ხომ თვითმფრინავები სჭირდება! ასე რომ, მოგვიხდება დახმარებისათვის მიემართოთ რესპუბლიკის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს. ან იქნებ ამხანაგი ჟლობა იმ ცხრა თვითმფრინავს დასჭერდეს, მეცამეტე არმიის შტაბის განკარგულებაში რომ არის? რაც შეეხება ქვეით დივიზიას, შევძლებთ ამხანაგ ჟლობას დაეუმატოთ ორმოცდამეორე მსროლელთა დივიზია ფრონტის რეზერვიდან.

რამდენიმე დღის შემდეგ კორპუსის შტაბში მოვიდა მეცამეტე არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრი ზული. მან თქვა, 42-ე მსროლელთა დივიზია სხვა ამოცანებს ასრულებსო (იგი მანოს წინააღმდეგ გადაისროლეს), ხოლო ჯავშანრაზები ხარკოვიდან გამოვიდნენ და კავალერიის ჯგუფს გზაში დაეწევიანო.

ღიმიტრი პეტრეს ძე მოიღუშა.

— ამხანაგო ზულ, გთხოვთ ეიდეშანს მოახსენოთ, რომ დამკვერელი ჯგუფი არ არის მზად რეიდში გასასვლელად. არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს დაბეჭდილებით გთხოვ რეიდში გასვლა ორი-სამი დღით გადადოს. ამასობაში ჯავშნოსნებიც მოგვისწარგებნენ.

— შეტევის გადადებაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. ბრძანება უკვე ყველა ნაწილს გადაეცა.

— მაშინ არმიის სარდალს მოახსენეთ, რომ უარს ვამბობ დამკვერელი ჯგუფის მეთაურობაზე, თუნდაც სამართალში მიმეცნ, არ მინდა ათასობით ადამიანის სიცოცხლის რისკი გავწიო.

— თქვენმა განცხადებამ, ამხანაგო ჟლობა, შეიძლება საერთო შეტევა ჩაშალოს. თქვენს დამკვერელ კავალერიის ჯგუფს ოპერაციაში გადაწყვეტი როლი ეკისრება.

საუბარში ჩაერთა კორპუსის სამხედრო კომისარი სოიოლოვი:

— ღიმიტრი პეტროვიჩ, ჩვენ ვალდებული ვართ სალაშქროდ გავიდეთ. იმედი უნდა ექნინოთ, რომ ჯავშანრაზები და ორმოცდამეორე დივიზია გზაში დაგვეწევიან, ხოლო თვითმფრინავები მხარს დაგვიჭერენ ფრონტის გარდევისას.

ჟლობამ თავი ასწია, თვალებზე ეტყობოდა, საგონებელში ჩავარდნილიყო:

— დაწმენებული ხართ. რომ ჯავშანრაზები და ქვეითი ჯარი გზაში დაგვეწევიან? მეგეტება!

იგი მაგდალს უჭდა, თავი ხელებში ჩაერგო.

ბოლოს, როგორც იქნა, თავი აიღო.

— ამხანაგო კაჩალოვ, დაწერეთ სალაშქროდ გასვლის ბრძანება.

28 ივნისს დღის 10 საათზე პოლკები რეიდში გავიდნენ.

— მოიტა ყირიმი! სიკვდილი ვრანგელს! — გაისმოდა რიგებში.

შუადღისას მეწინავე ნაწილებმა ტოკმაკიდან განდევნეს მოწინააღმდეგის ერთ-ერთი ბრიგადა. მაგრამ მის დასახმარებლად მოეშურებოდნენ ბრიგადა და ოფიცერთა გუნდოროვის პოლკი. შეუპოვარი ბრძოლა გაჩაღდა.

ჩემს თვალწინ პურის ყანაში ერთმანეთს შეხედნენ ჯავშნიანი მანქანები: რვა ვრანგელებისა და ექვსი ჩვენი. ას მეტრზე მოუახლოვდნენ ერთმანეთს, შედგნენ და უცებ ჩვენები გასატარნავად გაიჭრნენ. მანქანები ჯიქურ ევევთნენ ერთმანეთს, უკან დაექანენ, კვლავ შეეჯახნენ, თანაც ცდილობდნენ გვერდიდან დაერტყათ. ფოლადი ნაპერწკლებს ისროდა, გამაგებით ხრჩოლავდა გამოსაბოლქვე მილები. ბოლოს გადაბრუნდა ერთი ჯავშნოსანი, შემდეგ მეორე, მესამე, მეოთხე ყალყზე შედგა და ცეცხლი მოედო. შავი კვამლი ბოლქვებად მოეფინა მინდორს.

კვამლში დავინახე ოთხი გაქცეული ჯავშნოსანი. ვრანგელები თავის ზურგში ეძებდნენ ხსნას. ჩვენმა არტილერიისტებმა ცეცხლი დაუშინეს. შემდეგ იერიშზე გადავიდნენ კავალერიის პოლკები, ნახევარი საათის შემდეგ კახაკთა ნაწილები (მათ შორის ოფიცერთა გუნდოროვის პოლკიც) ალყაში მოექცა. გუნდოროვის (ვრანგელის არმიის საუკეთესო პოლკის) ცხენოსნები თავგანწირვით იბრძოდნენ ხმალდახმალ. მათგან ცოტა ვინმე თუ დარჩა ცოცხალი, როგორც, სხვათაშორის, მთელს დონის კახაკთა დივიზიაში.

წარმატების მიუხედავად, დიმიტრი პეტრეს ძე მოღუშული იყო, ჩაფიქრებული. წითელ კავალერიას წინანდებურად არ გააჩნდა საპაერო დაცვა.

დიმიტრი პეტრეს ძემ გადაწყვიტა ეიდემანისათვის მიემართა:

„ვრანგელის არმიაზე გამარჯვებისა და წითელ მეომართა ძვირფასი სიცოცხლის შენარჩუნების ინტერესებისათვის წინადადებას ვიძლევი: მთელი საკავალერიოს ჯგუფი 2-3 დღით შეჩერდეს ჩერნიგოვკაში, ვიდრე ჩემს განკარგულებაში არ იქნება ჯავშნარჩამები და 42-ე დივიზია. უამისოდ შემდგომი წინსვლა დიდად სარისკოა“.

ამას მოჰყვა კატეგორიული ბრძანება: „გასწიეთ წინ, განავითარეთ მიღწეული ბრწყინვალე წარმატება“.

როგორც გამოირკვა, ფრონტის ამ უბნის საბრძოლო ოპერაციებში თავად ტროცკი ჩარეულა. ეს მისი მიზნით ვერ მიიღო ყლობას კავალერიის ჯგუფმა ჯავშნარჩამები და ავიაცია. რომ გაიგო, ყლობას ჯგუფი მელიტოპოლისაკენ მიემართებოდა, ტროცკიმ განაცხადა, ყლობას ძალები სავსებით საკმარისია შეტევის განსავითარებლად. სოროკინის მფარველი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ფოლადის დივიზიის ყოფილი უფროსის მოქმედებას.

მაღე, როგორც წინასწარ განუვრცოდა დიმიტრი პეტრეს ძემ, ცაში გამოჩნდა ვრანგელის თვითმფრინავები. მთელი ორი ათეული.

— ჩვენი სადღაა? — წამოიძახა ყლობამ.

ჩვენ ამაოდ ეჩხრეკდით ცას ბინოკლებით: ჩვენი თვითმფრინავები არ ჩანდა და არა.

მტრის თვითმფრინავები რომ დაინახეს, კავალერიისტები მინდორში გაიფანტნენ. მხოლოდ ლისენკოს კავალერიის დივიზიის მოუვიდა მნიშვნელოვანი ზარალი.

თვითმფრინავები მთელ საათს დასტრიალებდნენ მინდორს, დაუბრკოლებლად ნგრეტდნენ კავალერიისტებს. მტრის მფრინავები გათავხედდნენ და მცელავ ფრენაზე გადავიდნენ. ათი მეტრის სიმაღლიდან ამორჩევით ესროდნენ ცხენოსნებს. კავალერიისტები ცხენებიდან ცვივოდნენ.

ვრანგელის ქვეითმა ნაწილებმა ისარგებლეს ამ წარმატებით და შეტევაზე გადავიდნენ, ჯავშნოსნების დახმარებით აიძულეს ჩვენი კავალერია საწყის პოზიციებზე დაეხია.

ქლობამ მტრის ავიაციის მოქმედება ეიდემანს შეატყობინა და მოსთხოვა თავისი ცხენოსანი ჯარის დაცვა ჰაერიდან. პასუხი კი ასეთი იყო:

— განაგრძეთ წინსვლა მელიტობოლისაკენ ღამით!

მ ი ე ლ ს ის დილით ყველაზე საშინელი ამბავი მოხდა — ქლობას კავალერია ალყაში მოექცა. ვრანგელის შტაბი რადიოთი იუწყებოდა: ქლობას ცხენოსანი ჯარი „ტო-მარაშეა“, ეს ტომარა ტოკმაკის მხრიდან თავმოკრულია ოთხი ჯავშანმატარებელი.

ბრძოლა არ ცხრებოდა. გუგუზებდნენ ქვეშევრდები, კაცანებდნენ ტყვიამფრქვევები. მინდოდა თავს დასტრიალებდნენ თეთმფრინავები. დიმიტრი პეტრეს ძე მაღალ ყორანზე იდგა. ირგვლივ ტყვიები ზუზუნებდა, სორიახლო ქუთრები აფეთქდა. ჩვენ მოუთმუნლად ველოდით, რას გადაწყვეტდა ქლობა ასეთ ვითარებაში. გვევონა, საშველი არ იყო, ყველას სიკვდილი ან ტყვეობა გველოდა.

დიმიტრი პეტრეს ძემ მიმოიხედა.

— დიახ, საშინელ დღეში ვართ. ესლა გვაკლდა — ჩვენი შეზობლები ვერ გავიდნენ დასასულ პოზიციებზე! აქ კიდევ ლისენკოს დივიზია პანკაემ მოიცა. უნდა დავეწიოთ ლისენკოს დივიზიას, შევაჩეროთ და აღმოსავლეთით მოვაბრუნოთ.

დიმიტრი პეტრეს ძე მომიბრუნდა და მთხრა:

— ამხანაგო მარტინენკო, სათავეში ჩაუდგე შტაბის ჯგუფს, გვერდში ამოუდგე ქით კიბეალოს ბრძადას და მასთან ერთად გადი ალყიდან. ჩემთან წამოვლენ ამხანაგები კაჩალოვი და სოკოლოვი.

— მსუბუქი მანქანით? — გაუკვირდა კაჩალოვი. — იქნებ, ჯავშნოსანი წავსულიყავით?

— არააითარ შემთხვევაში, — არ დაეთანხმა დიმიტრი პეტრეს ძე. — რას იტყვიან კავალერისტები — ჯავშანს ეფარებათ? თანაც ჯავშნოსანს იწერო საპერტები ხერხელები აქვს. ჩვენ კი განკარგულების გაცემა მოგვიხდება, ირგვლივ ყველაფერს უნდა გზავდავიდო.

მსუბუქი ავტომობილი „მერსედეს-ბენცი“ მოწინააღმდეგის ტყვიების სეტყვაში გაქანდა ლისენკოს დივიზიის დასაწყევად.

ქლობამ შეაჩერა თავზარდაცემული გაქცეული მებრძოლები და მეთაურებს უბრძანა წესრიგზე მოეყვანათ ისინი. მას გული მოუღება, როცა მოახსენეს, რომ ყოჩაღმა „ლტოვოლებმა“ მტრის ქვეითი პოლკი აჩეხეს, რომელიც ცდილობდა მათთვის გზა მოეჭრა.

სადგურ ტოკმაკიდან სამ კილომეტრზე ჩასადრებული იყო სამი ჯავშანმატარებელი, ხოლო სანგრებში გენერალ სლაშჩევის ქვეითი პოლკები იწვნენ. ისინი არ ისროდნენ, მებრძოლთა მოლოდინში იყვნენ. მოწესრიგდა თუ არა ლისენკოს დივიზია, ვრანგელებმა მას ძლიერი საარტილერიო ცეცხლი დაუშინეს ჯავშანმატარებლებიდან.

მთელი კავალერია უცბად მობრუნდა აღმოსავლეთისაკენ და კორპუსის კომისრის ლია მანქანას მიჰყვა. დიმიტრი პეტრეს ძე შოფრის გვერდით იდგა და მიმართულებას აჩვენებდა. მან მანქანაში ჩაისვა დივიზიის მეთაური დიბენკო, რომელსაც ცხენი მოუკლეს.

ავტომობილი მშვენიერი სამიზნეა, და ქლობას სთხოვეს, უფრო ფრთხილად ყოფილიყო.

იგი უპასუხებდა:

— ხელს ნუ მიშლით, მე საკუთარი თვალით უნდა ეხედავიდე ბრძოლის ველს.

ვიღაც-ვინაცები გაიზბებოდნენ ზოლზე და ავტომობლს იტარავდნენ მტრის ტყვიებ-საგან. დიმიტრი პეტრეს ძემ მიიხმო პოლკის მეთაური ცაპენკო და „ცოცხალი კედლი-სათვის“ ტრიბუნალით დაემუქრა. ცაპენკომ მიუთხო:

— თუ უმეთაუროდ დავრჩით, მეკლდრებს ტრიბუნალისა არ ეშინიათ.

უცებ ავტომობილი გაჩერდა — მოტორში რაღაც უწყვეტიობაა. თითქოს უბრალოდ, კავალერიის პოლკებიც შედგნენ. მეტრძოლთა შორის ხმა დაიბნა:

— ავტომობილს მორატყეს! ყლობა მოკლეს!..

ივრგელიც კი ტყეები ზუზუნებდა, ჭურვები სკდებოდა, მაგრამ აი ავტომობილი დაიძრა, და ყველამ დაინახა, რომ ყლობა წინანდებურად ღვას შოფრის გვერდით, ბი-
მოკლეთ იტყირება მოწინააღმდეგისავენ.

— ეაშაა! — შეძახილა გადაუარა მინდორს.

ძლიერი დარტყმით მტრის ალყა გაიშალა. ეს ალყა უკანასკნელი იყო. ჩვენი კავალერია დაბა ვალდგეიმში შევიდა, და აქ შეეიტყვეთ, რომ ჩერნიგოვკაში ვრანგელები არ არიან. ყლობას ავტომობილი მოედანზე იდგა. მე მივედი მასთან. დიმიტრი პეტრეს ძემ დაინახა თუ არა მითხრა:

— აბა, ამხანაგო მარტინენკო, როგორაა საქმე? — და შემომთავაზა მის ავტომობილში გადამეძღარიყავი. რომ დავინახე მანქანა საესე იყო — კაჩალოვის, სოკოლოვისა და დიბენკოს გარდა, მასში წამოწოლილი იყო კიდევ ორი დაჭრილი მეთაური, — მე ვეუარე და ვუთხარი, ფეხში დაჭრილი ცხენზე უფრო მოხერხებულად ვიქნებამეთქი. ჩემი დაჭრა რომ შეიტყო, შემფოთებულმა მკითხა?

— სად, რა ადგილას დაიჭირი?

— ფეხში, — ვუპასუხე მე.

— მან ჩემი ცხენი შეათვალეო, მოიხმო მხედარი, რომელიც ბედაურ ცხენზე იქნდა და უთხრა:

— ამხანაგ მარტინენკოს გაჰყევით, თუ მისი ცხენი დავარდეს, თქვენსაზე შესვით და ჩერნიგოვკაში მიიყვანეთ...

— თქვენი ბრძანება შესრულებული იქნება, ამხანაგო ყლობა, — უპასუხა მხედარმა. უნდა აღვნიშნო, რომ ყოველი მეტრძოლი პატივად თვლიდა ყლობას პირადი ბრძანების შესრულებას.

გავედით თუ არა შარაგზაზე, ჩვენ ზემოთ მტრის თვითმფრინავები გამოჩნდა. ჩემ წინ ორ მეტრში ავიაბოშები დაეცა. სადავე მარცხნივ ჩავკარი, და ჩემი დაჭრილი ცხენი პირდაპირ ბომბისავენ წავიდა, მაგრამ ჩემდა და ჩემი მსლებლის საბედნიეროდ, იგი არ აფეთქდა... ავიაბოშებები ვრანგელს საფრანგეთიდან მოსდიოდა, მამასადავმე, იქაც ჰყოლია მეგობრები ახალგაზრდა საბჭოთა არესპუბლიკას.

ვრანგელის ავიაციის მეთაურობდა გენერალი ტაჩიოვი — საბჭოთა ხელისუფლების მოსისხლე მტერი.

თხუთმეტეოდე წუთის შემდეგ ჩემი ცხენი უცებ შეებარბაცდა და დაეცა. ჩემმა მსლებელმა მეტრძოლმა დროზე მტაცა ხელი, და მე ჩემი დაჭრილი ფეხით აღარ მოვმტეულვარ ცხენის ქვეშ.

ჩერნიგოვკის მისადგომებთან დიმიტრი პეტრეს ძე დაგვეწია. როცა დარწმუნდა, რომ დახმარება არ გვეჭირდებოდა, ჩემი დახმარებისათვის მადლობა გადაუხადა მეტრძოლს და გზა განაგრძო.

მაინც რა კეთილი და მგრძნობიარე გული ჰქონდა მას. ძალებისა და ნებისყოფის ასეთი დამაბულობისას იგი მაინც ახერხებდა ჩემზე ეზრუნა. მაშინვე მივეცი საკუთარ თავს პარტიული სიტყვა — ფიცი, რომ არასოდეს არ მივატოვებდი მას ვასპირში და სამუდამოდ დავრჩებოდი მის მეგობრად და თანამეგობარად.

მტრის 15 თვითმფრინავი თავს დასტრიალებდა ჩვენს პოლკებს, ბომბებს აყრიდა და ტყვიამფრქვევებით ხერხებდა. საბედნიეროდ, ჩვენმა ნიწილებმა მოასწერეს ველად „ვაფანტა“, და ზარალი უმნიშვნელო იყო.

როგორც მოგვიანებით გავიგეთ, ამ თვითმფრინავთა ჯგუფს გენერალი ტაჩიშვილი უძღვებოდა. სწორედ ის, გენერალი ტაჩიშვილი, ოსტატურად მოატყუა ბრიგადის მეთაურმა კიბეალომ. ეს ასე მოხდა. სანამ მტრის ავიაცია დაგვესხმოდა, ბრიგადის მეთაური კიბეალომ თავის პოლკებს დონის მე-2 დივიზიის თეთგვარდიელებთან საბრძოლველად ჭაუჭოდა. კიბეალომ გაითვალისწინა მტრის ავიაციის ტაქტიკა და ისეთ მანევრს მიმართა, რომ მისი პოლოზები მარჯვენა ფრთაზე აღმოჩნდნენ, ხოლო დონის პოლკები ჩვენი ჯარების უკან დახვეის ზოლში მოხედნენ. სწორედ ისინი მიიჩნია გენერალმა ტაჩიშვილმა წინააღმდეგობად და მანამდე ურტ ქა, სანამ სულ ერთიანად არ გაყლიტა. ცოტა მოგვიანებით კიბეალომ „დაეხმარა“ ტაჩიშვილს დონელთა საბოლოოდ განადგურებაში.

ჟღობა თვალს ადევნებდა, თუ როგორ ეხმარებოდა მისი საყვარელი ბრიგადის მეთაური ტაჩიშვილს დონელთა ცხენოსანი ჯარის განადგურებაში და იმ დღეს პირველად დაიღიმა.

— დიდი ყოჩაღი ვინმეა კიბეალო, ეს სტავროპოლელი კაზაკი, მშვენიერი მანევრი განასორციელა, უკეთესს კაცი ვერ მოიგონებდა!..

2 ივლისს, საღამოს, ჩერნოგოვკაში იმ სახლის წინ, სადაც ჟღობა დადგა, მოტორების გუგუნე გაისმა. ეს დიდი ხნის ნანატრი რვა ჯავშანმანქანა — ორი ჯავშანრაზმი გამოჩნდა, რომლებიც ჯერ კიდევ 28 ივნისს უნდა მოსულიყვნენ.

ასეთმა დაგვიანებამ ძალზე აღუშფოთა დიმიტრი პეტრეს ძე. მან რაზმების მეთაურებს საგზაო დურცელები მოსთხოვა. როცა დარწმუნდა, უბრალონი იყვნენ, ცოტათი დაშფოვდა და ბრძანა გამოეყოთ ოთხი ჯავშანმანქანა ეკიპაჟებითურთ და ვალდგეიმში წასვლიყვნენ ჩვენი ტყვეებისა და დაპრილების დასახსნელად, რომელთა გამოყვანაც არ ნიშნებოდა.

ასეთი დაუღებლობა რომ მისცეს, რაზმის მეთაური შეეცადა დაერწმუნებინა დიმიტრი პეტრეს ძე, რომ ეს ღონისძიება სახიფათოა ჯავშანმანქანებისათვის.

— კარგი, მეც მოვდივარ! კადეტებს ისეთ სეირს ვაჩვენებთ, დიდხანს არ დააჩქვდეთ...

და ოთხი ჯავშნოსანი ჟღობას მეთაურობით სიბნელეში გაუჩინარდა.

ამასობაში ვრანგელელი ვაი-ამომრები ვალდგეიმში ეზო-ეზო აგროვებდნენ და მალულ წითელ ცხენოსნებს და კოლონებად აწყობდნენ ზურგში გასაგზავნად...

და უცებ ჩერნოგოვკის მხრიდან ოთხი ჯავშნოსანი შეიჭრა. ისინი ორი მთავარი ქუჩით გაეჩანენ და ტყვიამფრქვევის ცეცხლი დაუშინეს. დაიწყო პანიკა. კადეტები სამხრეთისაკენ გაიქცნენ. ჯავშნოსნები ტყვიამფრქვევებით ცელავდნენ მათ.

სამასზე მეტი წითელარმიელი, მათ შორის ასი დაჭრილი, გაათავისუფლეს ტყვეობიდან. 3 ივლისს დილით ისინი დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილებში, რომლებიც განლაგებული იყვნენ ჩერნოგოვკის მიდამოებში, საითაც თეთრგვარდიელებმა ვერ გაბედეს შეტევა. მათ შეიტყვეს, რომ ჟღობელებს ჯავშნოსნები მოუვიდათ.

ამით დამთავრდა ჟღობას ცხენოსანი ჯგუფის გამოსვლა ვრანგელელთა გარემოცვიდან. ჯგუფმა თითქმის სამი ათასი მეზობელი დაკარგა, ცხენების მესამედზე მეტი გამოვიდა მწყობრიდან, დაკარგა მთელი არტილერია და ტყვიამფრქვევების ნახევარზე მეტი, მაგრამ მთელი ჯგუფის მოსპობა ვრანგელმა ვერ მოახერხა. ჯგუფმა თავი დააღწია ცეცხლის მარყუჟს მეთაურთა მამაცობის, მეზობელთა შეუპოვრობისა და დიმიტრი პეტრეს ძე ჟღობას პირადი გაბედულების მეოხებით, რომელიც იმ დღეებში განასახიერებდა ახალი, ლენინური ეპოქის მხედართმთავრის სიბრძნეს სამხედრო ხელოვნებაში, თავისი ხალხისადმი უსაზღვრო ერთგულებასა და ცეცხლის გრიგალში სწორი გადაწყვეტილების პოვნის უნარს.

ჟგუფს არა აქვს მომადლებული მეთაური იყოს. სამისოდ აუცილებელია ნიჭი,

ნებისყოფა და ქუთა, რომელსაც უნარი ექნება მიიღოს სწორი გადაწყვეტილებები სხლო ბრძოლა არ არსებობს, და მეთაური, რომელიც ნაკლები სისხლით მობრუნდება გამარჯვებას, ღიახვდ ღირსია აღიარებისა.

სამოქალაქო ომმა მეთაურებად დააწინაურა ხალხიდან გამოსული ადამიანები. არა გეარტომობა, არამც და არამც დიდი განათლება, არამედ ბუნებრივი ქუთა, რევოლუციის საქმის უანგარო ერთგულება, პირადი მამაცობა აძლევდა მათ საშუალებას განემტყიცებინათ თავისი ავტორიტეტი გაბედულ და უშუშარ მეომართა შორის.

დომიტრი პეტრეს ძე განსაკუთრებული ნიჭის კაცი იყო. მისი უნარი მოწინააღმდეგის ჩანაფიქრის გამოცნობისა, მისი გადაწყვეტილებანი ბრძოლის ველზე, მომენტის შერჩევა მოწინააღმდეგის საბრძოლო წყობაში დასარტყმელად ხშირად მოულოდნელი იყო. იგი გვაოცებდა ისეთი მანევრებით, რომლებსაც არავინ არ მოელოდა. და ასეთ მანევრს, როგორც წესი, წარმატება მოსდევდა, რადგან მოწინააღმდეგისათვის იგი საოცარი მოულოდნელობა იყო.

1921 წლის ძლევაშისილი გაზაფხული იდგა. კავკასიის ფრონტის მეთერთმეტე წითელი არმიის ჯარებმა, რომლებიც საქართველოს აჯანყებულ მუშათა და გლეხთა დასახმარებლად მოვიდნენ, გაათავისუფლეს ტფილისი. ზედიზედ ურტყამდნენ ქართულ თეთრგვარდიულ ბანდებს და წინ მიიწევენ, რათა მენშევიკური ჯარებისა და თურქი ოკუპანტებისაგან გაეთავისუფლებინათ ბათუმი.

ამ ამოცანის გადასაწყვეტად გამოიყო ჯარების ორი ჯგუფი. ბათუმის მიმართულების ჯგუფს მე-18 კავალერიის დივიზიის უფროსის დ. პ. ყლობას სარდლობით ნაბრძანები ჰქონდა ბათუმზე გალაშქრა გოდერძის უღელტეხილის გადავლით. ჯარების მეორე ჯგუფს მე-9 მსროლელთა დივიზიის უფროსის ნ. ვ. კუბიშვიცის სარდლობით ქუთაის-ბათუმის ხაზით უნდა ემობრავა.

ჯარების მარცხენა ჯგუფი მე-18 კავალერიის დივიზიისა და 9-ე მსროლელთა ბრიგადის შემადგენლობით ახალციხის მიმართულებით დაიძრა. ქალაქის შესასვლელის წინ მას გზა გადაუღობა თურქების საგულშაგო რაზმმა. თურქმა ოფიცრებმა წინადადება მისცა არ შესულიყვნენ ქალაქში იმ სადღეველზე, რომ ახალციხე თურქეთს გადაეცა და თურქი ნაწილები საიმედოდ „იკავნენ“ მას მენშევიკებისაგან.

დ. პ. ყლობამ მოისმინა თურქეთის დელეგაციის განცხადება და ისე, რომ თავისი განზრახვა არ გაემჟღავნებინა, უთხრა, ჩემმა სარდალმა მიბრძანა ქალაქი დავიკავოთ და გავწმინდოთ ის და მთელი რაიონი მენშევიკური ნაწილებისაგან. და მაშინვე უბრძანა თავის კავალერიის პოლკებს გაეგრძელებინათ წინსვლა. თურქეთის სარდლობა არ ცხრებოდა. იგი კვლავ დაჟინებით მოითხოვდა წითელი არმიის ნაწილები გასცლონენ ახალციხეს და ამას იმით ასაბუთებდა, რომ ნოე ყორანის მენშევიკურ მთავრობასთან ხელმოწერილია ხელშეკრულება, რომლითაც ბათუმის გუბერნიის, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების ტერიტორია თურქეთის ხელში გადადისო.

— არც საბჭოთა მთავრობას. არც საქართველოს რევკომს არ მიუციათ თანხმობა აღნიშნული ტერიტორიის გასხვისებაზე თურქეთის სასარგებლოდ, — მშვიდოდ უპასუხა დომიტრი პეტრეს ძემ. — თანაც მენშევიკური მთავრობის გადაწყვეტილება არ შეიძლება მხედველობაში მივიღოთ. ეს მთავრობა უკვე დაეშვა, და ტერიტორიის საკითხს თვითონ ქართველი ხალხი გადაწყვეტს.

8 და 9 მარტს ყლობას ჯგუფმა მთელი რაიონი გაწმინდა მენშევიკური ნაწილებისაგან, რომლებსაც გენერალმა მაქარიამემ უბრძანა ბათუმისაკენ დაეხიათ გოდერძის უღელტეხილზე გადავლით, მაგრამ იმის შიშით, რომ უღელტეხილზე გაიყინებოდნენ, ტყვედ დანებება აჟიბინეს.

ადგილობრივი მოსახლეობა ყველგან გულთბილად ხვდებოდა წითელ არმიას. გამო-



ცდილი მთიელები ხალისით აცნობებდნენ დიმიტრი პეტრეს ძეს უღელტეხილზე გაშვებულ მავალი გზის სიძნელეებს, წლის ამ დროს მისი გადალახვის მოსალოდნელ საშიშროებას... ალაგ-ალაგ ოდნავ მოჩანდა ტელეგრაფის ბოძების თავები.

წინ გაგზავნილმა დაზვერვამ დაადასტურა ეს ცნობები — უღელტეხილი გაუვალია. ბილიეები კლდეებსა და უფსკრულებს შორის მიივლაცნება. მთისპირა სოფლების მცხოვრებთა გამოკითხვის მიხედვით თვით უღელტეხილზე 20 კილომეტრის სიგრძეზე დაგზავნილსა და მარტში სწირად მძევნარებს ქაბუჭი და გაბედული მგზავრები არცთუ იშვიათად იღუპებიან იქ. თანაც წელს თოვლიანი და ცივი ზამთარი დადგა.

ცხადი შეიქნა, რომ გზის წინასწარ გაუქმნელად მხოლოდ კავალერიით, როგორც თავიდან ფიქრობდნენ, ამ უღელტეხილის გადალახვა შეუძლებელია, მაგრამ გაუქმნდას სულ ცოტა ათი დღე მაინც დასჭირდება. ეს კი დაგვიანებას ნიშნავს. თურქთა ჯარები დიდი ძალებით შევლენ ბათუმში. და მაშინ გარდაუვალია თურქებთან ომი, ეს კი არ შედიოდა ჩვენს გეგმაში. ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრი სერგო ორჯონიკიძე, რომელმაც იცოდა შექმნილი ვითარება, 1921 წლის 10 მარტის დღეებში ი. ბ. სტალინს სწერდა:

„როგორც ყარაბაგქირის დეპუტატად ჩანს, რომელიც გუშინ ამხ. ჩიჩერინს გადაეცა, თურქებს გადაუწყვეტიათ, დაიკავონ ბათუმი. ის, ალბათ, დაკავებულია. შემდგომი სელა ახალციხე-ბათუმის გზატკეცილით მნიშვნელობას კარგავს, თანაც დიდად საძნელო და საშიშია. ირკვევა, რომ კავალერიისათვის გზა სრულიად გაუვალია, ქვეითებისათვის დიდხანს გაგრძელდება. ბათუმში შეცოცება ახლა არ მოხერხდება. თურქების გარეკვა ბათუმიდან, მგონი, შეგვიძლია ქობულეთის მხრიდან ჯავშანმატარებლების დახმარებით, მაგრამ ეს თურქებთან ომია, რაც, ჩემი აზრით, არ შეიძლება დაეწყოს. როგორ მოვიქცეთ? ვთხოვთ ამომწურავ მითითებებს ამ საკითხზე“.

მე-11 არმიის სარდალმა გეგარმა, რომელმაც მოსკოვიდან მიიღო სანქცია ბათუმის მიმართულების მარცხენა ჯგუფის ნაწილები გოდერძის უღელტეხილის გადავლით დაეძრა ბათუმისაკენ, ულობას უბრძანა 11 მარტს დაეწყო ლაშქრობა, ემოძრავეთ ფორსირებული მარშით, დაეძლიათ მთის გადასასვლელების ყველა სიძნელე და უმოკლეს დროში დაეკავებინათ ბათუმი...

ამ ბრძანებას მოჰყვა ორჯონიკიძის წერილი ულობასადმი. მასში ნათქვამი იყო:

„მე-18 კავალერიის დივიზიის უფროსს ამხ. ულობას. 21 წ. 10. 03.

არმიის სარდლის ბრძანებით თქვენი პირადი ხელმძღვანელობით ფორსირებული მარშით უნდა დაიძრა ბათუმისაკენ და დაიკავოთ იგი. რა სიძნელეები და დაბრკოლებებიც უნდა შეგხვდეთ, უნდა დაძლიოთ და სამ დღეში ბათუმში იყოთ. ბათუმი დიდი ქალაქია და იქ საჭიროა თქვენი ტაქტი და უნარი. ქალაქში უნდა შექმნათ რევკომი, თვითონვე დადგეთ გარნიზონის უფროსად და პირველ დღეებში საკუთარ ხელში აიღოთ პოლიტიკური ხელმძღვანელობა. გზად შემხვედრ მუსლიმან მოსახლეობას უნდა მოეპყროთ უაღრესად თავაზიანად და ზნეკეთილად, თურქ ჯარებს — როგორც მოკავშირეებს. რუსეთ-თურქეთის მოსკოვის კონფერენციაზე მიღწეული შეთანხმების თანახმად ბათუმში, ახალციხე და ახალქალაქი საბჭოთა საქართველოს რჩება. ველი თქვენს დეპუტას ბათუმიდან.

სალამი მე-18 კავალერიის დივიზიასა და ამხ. ანდრეევს (სამხედრო კომისარი გ. მ.).

დიმიტრი პეტრეს ძემ სამხედრო კომისარ ანდრეევთან ერთად ჯგუფის ყველა მეთაური, პოლიტმუშაკი და კომუნისტი მოიწვია თათბირზე, სადაც საუბარი გაიმართა მომავალ ოპერაციაზე, მისი შესრულების სიძნელეებზე და იმაზე, რომ პარტიისა და სარდლობის დავალება უნდა შესრულდესო.

(დასასრული იქნება)

ლევან ანანიძე

ჩარი-რამა

სოფლის ბაღიკს მისდევს ცირა
წინ გაუსწრო დედას, მამას,
ჩაის ბუჩქებს მიაშურა,
ტბილად მღერის ჩარი-რამას.
ჩარი, ჩარი, ჩარი-რამა,
დილა არის თვალკამკამა,
კვირტები კი სოველია
და ხელები დაენმა.
ჩარი-ჩარი, ჩარი-რამა,
ჩემი მხარის მიყვარს ჰავა,
დავტრიალებ ბუჩქებს, მანამ
ზღვის უბეში მზე არ ჩავა.

პირველკლასელის სიმღერა

განთიადისას სკოლისკენ
მაცილებს დედა მღიმარი:
— შვილო, მაგ ნათელ ოცნებით
სულ ნათელ გზაზე იარე.
წიგნს დაეწაფე ხალისით —
დიადი ცოდნის სინათლეს
და მხოლოდ მაშინ მიწვდები,
ვგ გული რასაც ინატრებს.
სკოლისკენ მიმიხარია,
მსურს ცაზე მუდამ მზე იყოს,
ფრთას გავშლი,
დავვაჟუკადები.
მეც გავახარებ დედიკოს!

თუთიყუში

— ორიანი რომ მივიღე,
გატყობ სულ არ წუხნარ, თინა
— კარნახი ვერ მოვახერხე,
ამის გამო რად გეწვინა?
— მოხერხება რა შუაშია,
ორი სიტყვა დაგენანა...
— თუ მასეა, მეგობარი
არ მჭირდება შენისთანა!
გაკვეთილი რომ არ იცი,
ვინ ჩაგძახებს ახლა ყურში,
სხვის კარნახს რომ ელოდები,
გოგო ხარ თუ თუთიყუში?

თეზურ შიმშილავშილი

მზია და შინო

ნაცრისფერი ღრუბლიდან
მზემ რომ ჩამოანათა,
დედამ მზიას სოკოსთვის
მისცა თეთრი კალათა.
სანამ მზიამ საუზმე
გადაყლაპა ძალადა,
იმ თეთრწნულა კალათში
ფისომ მოიკალათა.
თან ცას ცქერა დაუწყო,
რა ლამაზი მზეაო,
ტყეში სოკო დასაკრეფად
მეც წამოვალ, მზიაო!

რამაზ სურგანიძე

ღვანელი აბდულ მიქელაძისა

პეტრე უმიკაშვილისადმი

ივნ. 7.-1888 წ.

უფალო ზელმწიფეო პეტრე იოსებო!

პირველათ სალამს მოგახსენებთ და ღმერთს ვთხოვთ შენს ბედნიერათ ცხოვრებას. გარდა ამისა თქვენი წერილი მივიღე და ძლიერ შესიამოვნა. სხვა მეგრ, რომ მოსწავლე უნ არიანო. რამოდენიმე პირები ტოფან ალიოკლი (შერვაშიძე, რ. ს.), ალი ბეგ ხაჯი ბეგოლი (შერვაშიძე, რ. ს.), ალი ალა ჩინოლი (აბულაძე, რ. ს.), სხვებიც ერგევან. თქვენ რომ აზბუკები მიბოძეთ, იმადგან დოტრიგე ამათ თქვენი შემწეობით, მეც ყურადღებას ეაძლეე, ერთი სიტყვით მამებმა გააქივრეს საქმე, თუ არა ახალგაზრდებს ყველას სურს, რომ ძსწავლოს წერა კითხვა ქართულის. ჯერჯერობით ოსმალეთში გადასახლებას არა-ვინ ფიქრობს და არც იფიქრებენ. მოკითხვა მომახსენა უსუფალა ორცეცელმა (აბულა-ძე, რ. ს.), ვაელი მოლა ახმედი (მახაჟაძე, რ. ს.) გარდაიცვალა ავერ ერთი წელიწადი არის. მისი ძმა კაცტან კაიბანოლი (მახაჟაძე, რ. ს.) მოკითხვას მოგახსენებს. ქედაში ეხლა ოცდასუთი სოსახლე არის და საღორეთიც შეიშო მოსახლეობით. ერთი სიტყვით მოსაჯირი რომ არ წასულიყო ამ აჭარიდან, მაინც არ დაეტეოდ.

სოფელს წონიარისში ხუთს ამ თვეს წეიჩხუბნენ სახლის თაობაზე ორი კაცი და თოფით დასჭრეს ერთმანეთი.

სოფელს დანდალოში ამ თვესა სახელმწიფო გზაზედ მომავალი ართვინელი ხარაზი გაცარცევს და გამქუტევიც მთავრობამ დაიჭირა, დამნაშავე დახაზებული (დაპატიმ-რებულია, რ. ს.) არის.

ამ დღეებში აჭარაში ძლიერი სიციხე და ყორალი (გვალა, რ. ს.); არის. ამ ყორალის გამო ხალხს სათესავი ყანები დარჩნენ, ძირეულ შეწუხებული არიან ფუხარა კაცები. მუ-დამ დღეს ღმერთსა ეხვეწებიან წვიმასაო და ეს სიციხე ხილს სულ გააფუტებსო, ამბობენ ბებერი კაცები.

შენი ყმა და მოსამსახურე ეფენდი მიქელაძე.

„ივერია“, № 123, 1888 წ. 15 ივნისი, გვ. 2

აჭარიდან გეწერს ჩვენი კორესპონდენტი აბდულ-ეფენდი მიქელაძე, რომ ამ თვის დამდეგს-სოფ. დანდალოში (ქვედა აჭარაში) გზაზე ართვინელი ხარაზი გაცარცევსო. გა-მქუტეველი (მცარცეველი) ადგილობრივმა მთავრობამ დაიჭირა და ამჟამად დახაზებული (დამწყვედეული) არის. მეორე უბედურება მოხდა სოფ. წონიარისში ხუთს თიბათევს. ორ კაცს ჩხუბი მოუვიდათ სახლის თაობაზე და ერთმანეთი თოფით დაჭრეს.

გაგრძელება. იხ. „ქორთბი“ № 1, 2, 4.

უფალო პეტრე იოსებოვიჩი!

პირველათ მრავალს სალამს მოგახსენებ და გისურვებ ყოველივე თქვენი კეთილბოი მშვიდობით ბრძანებულებით. ოცდაექვს ენკენის თვეს თქვენი წერილი მივიღე და ძრიელათ სასიამოვნო შაიქნა ჩემთვის. უფალოვ, თქვენ წერილშიდ მოგწერათ ყმაწვილების სკოლაშიდ გაზღის თაობაზედ, ის ამბავი გამოუცხადე მე ხალხსა, ბეგიებს და აღებს და სხვასაც ფუხარას, მაგრამ ისე, რომ ბავშვები ვისაც ყვანს და შეძლება აქვს პატარა, ჯერ ყმაწვილები არიან, კი სურთ, რომ სასწავლებელშიდ მისცენ ბეგიებმა, მაგრამ ზოგიერთსაც ფულის მიცემა უჭირან და ფიქრიშიდ არიან მივცეთ თუ არაო. მე კრდევე ვეცდები, რომ რამე შევავაგონო ხალხსა. ახლა თუ არა იქნა გამოგზავნა, მომავალი წლისათვის კი იქნება. თქვენ კი მოგეხსენებათ აჭარის ხალხის, რომ ჯერ არ ესმიან ამისთანა კეთილი საქმე და არა აქვთ ის განათლება, რომ რას ნიშნავს სწავლა. ასე უცუფათ არ იქნება ხალხს რომ რამე ჩავავაგონო და ამ ცოტა ხანშიდ რაც რომ შეიძლებოდეს კრდევე გველაპარაკები ხალხსა და კრდევე შეგატყობინებ, ჩემო ბატონო.

ამ ახლო ხანშიდ გაზეთებშიდ რომ აცხადებენ კავკასიის გამოფენას თფილისშიდ, იმის ნახვან ძრიელათ სასიამოვნო არის. მაგრამ თქვენ კი მოგეხსენებათ ჩვენისთანა კაცი ამბავი, ვერ ნახავს, რადგანაც შორს ვართ და დროც არ მომიღებს. მაგრამ თქვენი ნახვა უფრო მეტად მენატრება, ღმერთით განახავთ ამ ცოტა ხანშიდ, ან თქვენ მობრძანდებით ან და მე განახავთ ღვთის შემწეობით. მანდა კნიაზ ილია ჭავჭავაძეს სალამი მოახსენეთ დაბალი გულთ.

აბდულ ეფენდი მიქელაძე.
ენკენისთვეს 30. წ. 1889.

პეტრე უმიკაშვილისაღმა

2 იანვარს 1890 წ. მივიღე 5 იანვარს 1890 წ.

მოწყალეო ხელმწიფეო,

პეტრე იოსებოვიჩი!

პირველათ მრავალს სალამს მოგახსენებ და გისურვებ ყოველივე თქვენი კეთილბოი მშვიდობით ბრძანებულებით. გარდა ამისა კნიაზ ილია ჭავჭავაძეს სალამი ვუძღვნი და დიდათ მადლობელი ვარ უფალოვ, შენი მოწყალებისათვის, ყოველ დღე და ღამე ღმერთს ვეხვეწები შენს სიცოცხლესა და კეთილ ბედნიერობასა და ღმერთმა ყველაფერში შეგეწიოს, რაცამე წყალობა მიყავი. ჩემ გარეთ აჭარიდან თორმეტმა ბოვშმა ისწავლნ ქართულის წერა-კითხვა. ისინიც სოფლებშიდ სხვა ბოვშებს ასწავლიან. ერთი სიტყვით ამ ახლოხანში აჭარაშიდ გაერცელებდა ქართული წერა-კითხვა. ჩემ ამბავს თუ იკითხვ, ავერ არის ორი თვე, რომ ავადმყოფი გახლავარ ფოლენციეთ (ინფლუნცია, რ. ს.) ახლა კი კარგათ ვარ, ჩემო ბატონო შენი ყმა აბდულ მიქელაძე.

ბატონო, ბევრი ხანია შენგან წერილი არ მიმიღია და ძრიელათ ჯავრშიდ და ფიქრშიდ ვარ, შენი მშვიდობით ყოფნა მინდა შევიტყო.

აბდულა.

„ივერია“, № 4, 1890 წ. 6 იანვარი

ქვედა აჭარა. ინფლუნცია აქაც გაჩნდა. ამ ახალს სატყეარს, როგორც ევროპაში აქაც ხალხი რუსულს ავადმყოფობას ეძახის. სიკვდილით არავინ დაზარალებულა, მაგრამ ავადმყოფი კი ბევრია. სიცივე-ყინვები დიდია. უფრო დიდმა თოვლმა შეაწუხა ღარიბი და ხელმოკლე ხალხი.

ა. მიქელაძე



ქვედა აპარა: აგერთ ერთი თვე არის, რაც სოფელ ქედის ხიდი დაინგრა და გაღმა-გამოღმა სოფლის ხალხის მისვლა-მოსვლა ერთმანეთში მეტად გაძნელდა. უხილობამ ძლიერ შეაწუხა ხალხი. ყოველ წელს ხიდის კეთებამ მოგვაბეზრა თავი. ურიგო არ იქნება, რომ მთავრობამ ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და ცოტაოდენი შემწეობა აღმოუჩინოს ხალხს ამ მეტად საჭირო და სასარგებლო ხიდის მკვიდრად გაკეთებისათვის.

ა. მაქელაძე

პეტრე უმიკაშვილისადმი

მივიღე 5 იანვარს 1891 წ. ტფილისს

უფალსა პეტრე იუსოფოვიჩ უმიკაშვილსა მიერთვას პირველათ მოკითხვას მოგახსენებ. გარდა ამისა ღმერთსა ეთხოვ თქვენ სიცოცხლესა და კეთილ ბედნიერებასა. გარდა ამისა თქვენ სახლობაში შენ მოყვარესა ყველას მოკითხვას მოგახსენებ. ბატონო პეტრე, შენი ადრესი არ ვიცი, სად ბრძანდებით და ძრიელათ შეწუხებული ვართ. ბევრიხანია შენი წერილი არ მინახავს უფალოვ, ჩემო ბატონო, როგორ მშვიდობით ბრძანდებით. მე არ ვიცი დღე ღამე შენი თავი მესიზმება, შენი წყალობა ღმერთმა მე ნუ მომიშალოს, ჩემზეთ ბატონობა ბევრი გაქვს, ღმერთმა ყველაფერშიდ გამარჯვებად შემწეობა მოქცეს; თავი შეაფაყინეთ ჩვენა, მაგრამ რა უნდა ექნათ, თქვენ მეტი არაფერ მყავს მანდა, ცოტა თუ რამ შევისტავლე. შენი წყალობით და აწე შენ იცი, ჩემო ბატონო, როგორ მშვიდობით, ბრძანდებით, შემატყობინეთ.

თქვენი ყმა, აპარელი აბდულ მიქელაძე.

ილია ქავჭავაძეს მოკითხვის გარდა ხელებზედ ეკოცნი და ფეხებზედ ეკოცნი და ღმერთსა ვსთხოვ მის კეთილ სიცოცხლეს და ბედნიერებასა.

პეტრე უმიკაშვილისადმი

აპარა 22 იანვარს 1891 წ.

უფალო პეტრე იუსოფოვიჩ.

პირველათ გისურვებ თქვენ სიცოცხლეს და ბედნიერად ცხოვრებას ძვირფასი დედი, დებით და ყოველივე მოკეთით. ამას გარდა თქვენი წერილი მივიღე და ღმერთმა იცოდეს როგორ მე გამეხარდა. ღმერთმა თქვენი თავი გულთ საყვარლებით გაცოცხლოს, რომ თქვენ ჩვენზე აპარლებზე ასეთი გუნების ბრძანდები და მადლობელი ვართ ყველანა... ამას გარდა რაღაც შეეხება მუჟაირების გადასახლებაზე, არაფერ არ ფიქრობს. ყველანა დადევს გული და კიდევაც მუჟაითობენ თავის ოჯახში. ამას გარდა შესახები წასული მოაჩირების სათათროში: ესე იგი ურდში და უნიაშად, გირასონში და სამსონში და სხვებ სანჯაღებშიც ცხოვრობენ. ეხლა ჩვენ ისე გვესმის, რომა იქაური ჰავა ვერ აიტანეს და ბევრიც მომეტარა და ბევრიც ბრუნდება, მაგრამ არ ყაბულობენ მოსულ მოაჩირსა. ამ ახლო ხანშიდ ათი-თორმეტი კაცი მოვიდნენ, მაგრამ რა უნდა ქნან, თავის მამულს არაფერ აძლევს, ისეთ დაირებთან ყერიბათ. წასულმა მოაჩირმა იცოდეს რომა დაბრუნებულ მოაჩირსა თავის მამულს აძლევნო, ნახევარზე მეტი უკან მოვლიან აპარლები. თქვენი გამოგზავნილი წიგნები ათი თორმეტი ბავშვებსა მივეცი და ყველანამ ცოტ-ცოტა ქართული წერა-კითხვა შეისწავლეს, დღეს აპარაში თქვენი წყალობით რკამდინ არიან, რომა ქართული წერა-კითხვა იციან და კიდევაც სხვებიც ისტავლიან, ათი წელიწადში არ უნდა, რომ ყველანი შეისწავლის ძველებურს დედა-ენას ქართულ წერა-კითხვასა და ყველაი თქვენ ბატონობით განათლებული იქნებიან. აქედგან თქვენი ისოფალა (აბულაძე, რ. ს.), და ვაიოელი კაბოღან ალა (ყაბოღალა მახაჰაძე, რ. ს.) მოკითხვას მოგახსენებს და ღმერთსა თხოვს თქვენ სიცოცხლესა. ჩვენშიდ სრულათ ხმელეთობა

არის, თოვლი მარტოა მაღალ მთებზედ არის, ამ თვეში ასეთ, კარგა და თბილი დღეები იქნება, ხეხილი ფოთოლსა გამოიღებს, მაგრამ ავადმყოფობა ბევრია, რაღაცას სუნთქვას ზედას უძახიან. ამ სენით ისეთ მოსაზრედ არ არის, რომ სამი ოთხი კაცი თუ ბოვშევი არ იყოს ავადმყოფათ ლოგინში წოლილი. ამ სენმა ბევრიც ბოვშევი იმსხვერპლა.

თქვენი აბდულ ეფენდი მიქელაძე.

პეტრე უმიკაშვილისადმი

1891 წელს 26 იანვარს

უფალს პეტრე ოსტეფოვიჩ მიერთვას

ბირველათ, მოკითხვას მოგახსენებ, გარდა ამისა ღმერთსა ესთხოვ თქვენ სიცოცხლესა და კეთილს ბედნიერებას გარდა, ვინც თუ ჩემი თავი იცის, ყველასა მოკითხვას მოგახსენებ; უფალოვ, ამასწინათ თქვენ წერილი მოგწერეთ, მოგივდიდენ თუ არა მე გერადფერი შევიტყუე. აგერ ერთი თვე არის რაც მე „ივერია“ არ მომიღია და ძრიელათ შეწუხებული და მოწყენილი ვართ: ჩემი ბრალი უნდა იყოს, კი მომწერეთ, რომა აჰარის ფოშტა დაახურა, მაგრამ ბათომიღვან უმფრო ადვილათ მივიღებდით. ახლა არადფერი არ მომიღის, რომ სიცოცხლე კარგათ გაეატაროთ და საქართველოს და ქვეყნის ამავეი წამეკითხა და ხალხისთვის წამეკითხა; განათლება რა ყოფილა ჩემგონება, მაგრამ მე რა უნდა ვქნა, თქვენ ბატონებამ იცის, თუ კიდევ „ივერია“ ჩემ სახელზედ ბათომიღვან ოკრუტენი უბრაველენიადმ უმფრო ადრე მივიღებთ, რათავანაცა ბათომიდან ფოშტა მოგვიდის მოლიცეებით ყველთვირ. თქვენ რომ... ვითხრეს აჰარელი სოლომან ზეგე უნდა იყოს, იმ დღეებში მანდა იყო.

აბდულ ეფენდი მიქელაძე

„ივერია“, № 198. 1891 წ. 11 სექტემბერი

ს. ქედა (ქვედა აჰარა). თხუთმეტე დღეა, რაც სოფელ მერისში დაიკარგა ერთი ახალგაზრდა 28 წლის კაცი, ალა-ელი ბელ-ოღლი (ბეროღლი — ბერიძე, რ. ს.) ეს კაცი სრულიად ზელმარტო იყო; არც დღე-მამა ჰყვანდა და არც ძმები. დები გაათხოვა, სახლში მარტო ცხოვრობდა და ყანის მუშა იყო. ახლო მეზობლებმა მიაქციეს ყურადღება იმის სახლს, ჰნახეს, რომ სახლი დაკეტული იყო და პატრონი არსადა სჩანდა. განაცხადეს ადვოლობორე სასამართლოში. სასამართლომ ბევრი ეძება ეს დაკარგული კაცი, მაგრამ ვერადფერი კვალი ვერ იპოვნა, არავინ იცის, ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწამ. 1 სექტემბერს სასამართლოში ერთი კაცი გამოცხადდა და შეატყობინა, რომ მდინარეში დამხრჩვალნი კაცი ენახეთ და ვინ არის არ ვიცითო. მაშინვე სასამართლოდგან კაცი წავიდა დამხრჩვალის გვამის სანახავად. მივედის აღნიშნულს ადგილას და საზარელი სანახავი ენახეთ. წყალს გამოეღეკა ადამიანის შიშველი მარტცენა ფეხი, რომელიც მუხლის ქვეით იყო და ზედა ნაწილი — კი მთლად დაგლეჯილი, შარვალთ იყო მოხილი. რასაკვირველია, მარტო ფეხთ დამხრჩვალის კაცის ეინაობის გამოცნობა შეუძლებელი იყო, მაგრამ მოგროვილმა ხალხმა განაცხადა, რომ შარვალი დაკარგული აღისიაო. როგორ დაირჩო საბრალო ალია, ან სად არის მისი დანარჩენი სხეული, არ ვიცით. როგორც ამბობენ, საბრალო მშვენიერის სქესის მოყვარული ყოფილა ღამ-ღამ ბროდილი სტოდნია და ამ გულის-თქმისათვის უნაცვლება თავიო...

* * *

სექტემბერი დადგა და ჰაერიც გამოიცვალა, სიცოცხლე და ყინვა თან მოჰყვა. თუ ასე გასტანა, მოსავალი ცუდი გექნება, სიცოცხესაგან სიზინდები დიძრა. რაღა ეს გვინდოდა, როცა უამისოდაც არ გვგონია დედამიწაზედ ისეთი ყრუ დგელი, სადაც ჩვენსავით განათლების სულ მცირე ნაპერწკალიც არ ჰპყრებოდეს. თავი კაცი არც გვეყავს, რომ იზრუ-



საქართველოს
ხალხთა რესპუბლიკის
ხელნაწილების
სამეცნიერო
სამუშაოების
სამართალთა
სამსახური

არის, თოვლი მარტოკა მაღალ მთებზედ არის, ამ თვეში ასეთე, კარგა და თბილი ჰქონდა იქნა, ხეილი ფოთოლსა გამოიღებს, მაგრამ ავადმყოფობა ბევრია, რაღაცა სურდო ზეგლას უძახიან. ამ სენით ისეთე მოსახლე არ არის, რომ სამი ოთხი კაცი თუ ბოქსევი არ იყოს ავადმყოფათ ლოგინში წოლილი. ამ სენმა ბევრიც ბოქსევი იმსჯევრპლა.

თქვენი აბღულ ეფენდი მიქელაძე.

პეტრე უმიკაშვილისადმი

1891 წელს 26 იანვარს

უფალს პეტრე იოსეფოვიჩ მერთვას

ბრველათ, მოკითხვას მოგახსენებ, გარდა ამისა ღმერთსა ესთხოვ თქვენ სიცოცხლესა და კეთილს ბედნიერებას გარდა, ეინც თუ ჩემი თავი იცის. ყველასა მოკითხვას მოგახსენებ; უფალოვ, ამასწინათ თქვენ წერილი მოგწერეთ, მოგვიღდნ თუ არა მე გერადფერი შევიტყე. აგერ ერთი თვე არის რაც მე „ივერია“ არ მომიღია და ძრიელთ შეწუხებული და მოწყენილი ვართ: ჩემი ბრალი უნდა იყოს, კი მომწერეთ, რომა აქარის ფოშტა და-ხურა, მაგრამ ბათომიღგან უმფრო ადვილთ მივიღებდით. ახლა არადფერი არ მომიღის, რომ სიცოცხლე კარგათ გავატაროთ და საქართველოს და ქვეყნის ამბავი წამეკითხა და ხალხისთვის წამეკითხა; განათლება რა ყოფილა ჩემგვონება, მაგრამ მე რა უნდა გქნა, თქვენ ბატონებამ იცის, თუ კიდევ „ივერია“ ჩემ სახელზედ ბათომიღდ ოკრუჟნი უპრაოდენადამ უმფრო ადრე მივიღებთ, რათვანაცა ბათომიღან ფოშტა მოგვიდის მილიციებით ყველთერ. თქვენ რომ... გითხრეს აქარელი, სოლომან ზეგ უნდა იყოს, იმ დღეებში მანდა იყო.

აბღულ ეფენდი მიქელაძე

„ივერია“, № 193. 1891 წ. 11 სექტემბერი

ს. ქედა (ქევედა აქარა). თხუთმეტო დღეა, რაც სოფელ მერისში დაიკარგა ერთი ახალგაზრდა 28 წლის კაცი, ალი-ელი ბელ-ოღლი (ბეროღლი — ბერიძე, რ. ს.) ეს კაცი სრულიად ხელმარტო იყო; არც დედ-მამა ჰყვანდა და არც ძმები. დები გაათხოვა, სახლში მარტო ცხოვრობდა და ყანის მუშა იყო. ახლო მეზობლებმა მიაქციეს ყურადღება იმის სახლს, ჰნახეს, რომ სახლი დაკეტილი იყო და პატრონი არსადა სჩანდა. განაცხადეს ადგილობრივ სასამართლოში. სასამართლომ ბევრი ეძება ეს დაკარგული კაცი, მაგრამ ვერადფერი კვალი ვერ იპოვნა, არავინ იცის, ცამ ჩაყლაბა თუ დედამიწამ. 1 სექტემბერს სასამართლოში ერთი კაცი გამოცხადდა და შეატყობინა, რომ მდინარეში დამხრჩვალნი კაცი ენახეთ და ვინ არის არ ვიცითო. მაშინვე სასამართლოდგან კაცი წავიდა დამხრჩვალის გვამის სანახავად. მივედის აღნიშნულს ადგილას და საზარელი სანახავი ენახეთ. წყალს გამოელეკა ადამიანის შიშველი მარცხენა ფეხი, რომელიც მუხლის ქვეით იყო და ზედა ნაწილი — კი მთლად დაგლეჯილი, შარვალთ იყო მოხილი. რასაკვირველია, მარტო ფეხით დამხრჩვალის კაცის ეინახობის გამოცნობა შეუძლებელი იყო, მაგრამ მოგროვილმა ხალხმა განაცხადა, რომ შარვალი დაკარგული აღსიათ. როგორ დაიჩრხ საბრალო ალია, ან სად არის მისი დანარჩენი სხეული, არ ვიცით. როგორც ამბობენ, საბრალო მშვენიერის სქესის მოყვარული ყოფილა ღამ-ღამ ბროდიადი სტოდნია და ამ გულს-თქმისათვის უნაცვლებია თავით...

* * *

სექტემბერი დადგა და ჰერიც გამოიცვალა, სიცხე და ყინვა თან მოჰყვა. თუ ასე გასტანა, მოსავალი ცუდი გვექნება, სიცხისაგან სიმინდები დაიძრა. რაღა ეს გვიწოდოდა, როცა უამისოდც არ გვგონია დედამიწაზედ ისეთი ყრუ ადგილი, სადაც ჩვენსავით განათლების სულ მცირე ნაპერწკალიც არ ჰბუუტავდეს. თავი კაცი არც გვეყვს, რომ იზრუ-



ნოს ჩვენთვის და ერთი სასწავლებელი დაგვიარსოს. ჩვენი შვილები თუმცა ნიკით უკან არაგის ჩამორჩებიან, მაგრამ უყურადღებოდ კი არიან დატოვებულნი და თოფისა და ფიშტო-ხანჯლის ხმარების მეტი სხვა არა იციან რა. 12 წლის ყმაწვილმა ჩვენში მშვენიერად იცის სილარის (იარაღის, რ. ს.) ხმარება... სამწუხაროდ ჯერ არ გამოჩნდა ისეთი ვინმე, რომ უსწავლელ ხალხს ჩააგონოს, თუ რა სარგებლობა მოაქვს ბავშვების აღზრდას და ხალხს გაუღვიძოს სურვილი სწავლისა, არც იმდენად ღარიბები ვართ, რომ პატარა სოფლის სასწავლებლის ხარჯის გადახდა ვერ შევიძელით.

ა. მიქელაძე

„ივერია“, № 14, 1892 წ. 21 იანვარი

სოფ. ქედა (ქვემო აჭარა), დადგა იანვარი და თოვლის და ყინვის მაგივრად ისეთი წვიმები დაიწყო, თითქმის არავინ მოსწრებია. მოხუცებულები ამბობენ რომ იანვარში არას დროს არ გვახსოვს ასეთი განუწყვეტელი წვიმები ყოფილყოფისა წვიმის დღითი და ღამით შეუწყვეტლად. ასე იფიქრებთ ბათმანებით ასხამს ვინმე ცილამ წყალსაო. წყლები აღიდა და უხედობისაგან გაჰრეცებულეს, რაც გლახა ხიდები მოგვეპოვებოდა, იმაზედაც აგვადებინა ზელო. ამბობენ, თუ ამ ნაირმა თბილმა დარებმა გასტანა მთელი ზამთარი, გაზაფხული და ზაფხული ცუდი და უმოსავლო გვექნებაო. ყველას თავი დავანებოთ და საშინელმა ნოტიო და წვიმიანმა დარებმა გავვიჩინა საძაგელი სენი, ინფლუენცია. ამ სენმა ისეთი შეწუხებაში ჩაგვადო, რომ დღე იშვიათად გავიღოს, კაცი არ დაიმარხოს. წამალი ჩვენთვის ჯერ არ გაჩენილა და არც ექიმი დაბადებულა, მაგრამ ესებიც რომ იყოს, საბრალო ფუხარა ხალხს მაინც ის დღე დაადგება, რაც დღე ადგია. სადა გვაქვს ჩვენ იმისთანა სახლები და შეძლება, რომ თავს ისე მოუთაროთ, როგორც საჭიროა. ექიმები ამბობენ, თბილს სახლში დაჯექით, თბილად ჩაიცვით და დაიხუტეთო. კარგი საკმელები მიირთვითო. სამწუხაროდ, ჩვენ არც ერთი გვაქვს და არც მცირე. ჩვენი სახლები მამა-პაპური არის, უიატაკო და უფანჯრებო, რომლის გათბობა შეუძლებელია. ტანისამოსი ერთი ხელი გვაქვს მოკლე ჩოხა-შალვარი, ისიც ნახევრად გაცვეთილი, დამონძილი. ჩვენი ფეხ-საცმელი კიდევ მოკობიტული ქალამანია, რასაკვირველია, ისიც ფსკერ-გავლევით, ასე რომ წყალს და ტალახს ადვილად შეუძლია ფეხებში იჭყაუნოს და გაგვიცვიოს. ყველა ამ ნაკლებულობას უძლებდით და კიდევაც გაუძლებთ, რომ ეს ინფლუენცია არ გამოგზავნა ჩვენთვის ღმერთს. რას ვიზამთ, ისევ ღმერთს ვებვეწებით, რომ ადრე მოგვაშოროს ეს შემაწუხებელი სენი.

გასულ 1891 წლამდის ჩვენ ვიხდიდით ზაზინის სასარგებლოდ „აშარის ფულს“, მოსახლეობაზედ ორს მანეთს; რამდენიმე წელიწადია მიეჩევიეთ ამ ორ-ორ მანეთის ზღას და, რასაკვირველია, მოსამატი ჩვენ აზრში არ მოგვივიდოდა, კიდევაც გვეგონა, თუ მოგვიკლებდნენ რამდენსამეს. გასრულს წელს უმთავრესმა მართებლობამ ეს ზემოსცნებული აშარი მიწის გარდასახადად შესცავლა და ამ ცვლილების გამო ხარჯი მოგვიმატეს, ვის ნახევარი მანეთი მოსახლეზედ და ვის ცოტა მეტი ადგილებისა კვალად. რასაკვირველია, ყველა ერთის აზრისა არ იქნება. ზოგიერთმა ჩვენმა აღებმა, თავმა კაცებმა ხმა გაავრცელეს ფუხარა ხალხში, რომ ფულის მომატება უმაღლესი მთავრობის ნაბრძანები კი არ არის, არამედ სხვადასხვა კერძო კაცების საქმეაო; ხალხმა ამისთანა აღებს მიანდევს საქმის მართლად გამოკვლევა და თანაც ხარჯის და პრაგონის ფულებიც გადაიხადეს, მაგრამ საქმე არც გაკეთდებოდა და ვერც გააკეთეს. მიიწრიალ-მოიწრიალეს ბათუმში, ტფილისში და სახლში დაბრუნდნენ, საქმე კი საქმედ წავიდა, ხალხმა გადაიხადა სახელმწიფო ფულიც და აღოღებულ აღუკანტების ხარჯი და პრაგონიც.

დმერთმა უწყის, როდის მოვა ეს ჩვენი ყრუ ხალხი ჭკუა-ცნებაზედა და მთავრობის კანონიერს მოთხოვნილებას დაუზარებლად შეისრულებს.

აბდულ ეფენდი მიქელაძე

„ივერია“ № 119, 1892 წ. 10 ივნისი.

სოფ. ქედა. (ქედა აჭარა). მაისის 29-ს ამობრძანდა აქ ბათუმის ახალმოსული ოლქის უფროსი აჭარის დასათვლიერებლად. კანცელარია გასიხვა და საქმეების განხილვა დაიწყო. საღამოზედ თავშეყრილ ხალხსა და მამასახლისენ დაავალა, ზვალ თავი მოიყარეთ ყველამაო. თითონ იმ დღეს სოფელ მერისში წავლა იქურობის სანახავად. მეორე დღეს ხალხი დაიარა, თუ ვისმე რამ საჩივარი და შეწუხება ჰქონდა, ყველაფერი უამბეს. მესამე დღეს გამოეთხოვა ხალხს და ისევ ბათუმისაკენ გაემგზავრა.

ა. მიქელაძე

„ივერია“ № 196, 1892 წ. 17 სექტემბერი

სოფ. ქედა (ქედა აჭარა). ბ-ნ ზ. ჭიჭინაძისაგან მივიღე სამი ათასამდე სხვადასხვა ქართული წიგნი: ზედა აჭარასა და იმერ-ზეგში დასარიგებლად. ვისაც ვაძლევდით ამ წიგნებს, ყველა დიდის სიამოვნებით იღებდა. ქართველმა მაჰმადიანებმა აქამდის შეინახეს თავიანთი სამშობლო ენა და ზოგიერთ ადგილას ქართული კითხვაც იცნან. იმედია, დღეს შემდეგ ამ წიგნებით უფრო მოიფინება ქართული წერა-კითხვა, რადგან ყოველს წიგნში მოიპოვება ქართული ანბანიც. ამ წიგნების მოწოდებისათვის დიდი მადლობელი ვართ. ჩვენს დაქვეითებულს ხალხში ერთობ დიდი ნატვრა აქვთ სკოლისა. აქაურები დიდს ხეყნით იხეყებიან, რომ სოფ. ქედაში როგორმე სკოლა გაგვიმართონ ჩვენ მოძმე ქართველებმაო. იხეყებიან იმიტომ, რომ ჩვენ ჩვენის თავის პატრონობის ძალა არა გვაქვს; ქედაში რომ სკოლა გაიმართოს მთელს აჭარაში მსწრაფლად მოეფინება ქართულის ცოდნა და ქართული წერა-კითხვა. უამისოდ ამოდენა მოწყვეტილს ქართველ მაჰმადიანობას დიდი შიში მოელის. ჩვენ ჩვენს ძმებ ქართველებთან ერთად-ერთი სკოლა და წიგნები-ლა შეგვეერთებს. ცოდვანი ვართ; რომ უსწავლელადა და უპატრონოდ დავრჩეთ ამდენი ხალხი.

ამას წინად ჩავედი სოფ. ჭეანას, მივედი მეჩეთში და იქ ენახე თათრული სკოლა, სადაც თხუთმეტი მოსწავლე ბალანა ჰყავდა ხოჯას ახმედ-ეფენდი მეხმედ-ოღლის (შარა-შიძე, რ. ს.). მე თან წიგნები მქონდა და ბავშვებს დაუფრივე. დიდის სიხარულით გამომართეს. ხოჯამ ნება მისცა, გამომართეთო. თითონაც გამომართვა ყველა ნაირი წიგნი დიდის სიამოვნებით. ამ ხოჯას კარგად სცოდნია ქართული წერა-კითხვა, როგორც მე თითონ დავრწმუნდი. შეგიძლებსაც გამოუცხადა, რომ დღეში ორ საათს ეს ქართული წიგნები უნდა გაკითხოთ ყველასაო. ბაღნებს გაეხარდათ და დიდი მადლობა გადაუხადეს. იმ დღესვე დაწყებინა ქართულ ანბანის სწავლება. ეს ხოჯა ფრიად სასარგებლო კაცი უნდა იყოს ჩვენებურ უსწავლელ ხალხისათვის. ახლომახლო სოფლებში მალე გაერცელებდა ქართული წერა-კითხვა ამ ხოჯას შემწეობით. ამას გარდა, ცხრა-ათი მოლა არის კიდევ ქართულის მცოდნე ჭეანაში.

ამ თვის პირველს ბათუმის ოლქის უფროსი ამობრძანდა ზედა აჭარაში და ახალციხესა და აჭარის შუა კარანტინი დააწესა ხოლერისაგან ჩვენის ქვეყნის დასაცველად და დასაფარავად.

თ. აბდულ-ეფენდი მიქელაძე

„ივერია“, № 210, 1892 წ. 6 ოქტომბერი

ქედა აჭარის სოფ. ქედადან შემდეგი საყურადღებო წერილი მოგვივიდა და აქვე გვგვძლავთ სიტყვა-სიტყვით:

„გაზეთ „ივერიაში“ ჩვენ წავიკითხეთ რამდენიმე წერილი ქართველ მაჰმადიანების

შესახებ. წავიკითხეთ აგრეთვე ქედაში სკოლის გამართვის ნატრაც. ამაზედ ეფენდიმ მოგახსენებთ შემდეგს: მაღლობა ღმერთსა რომ ჩვენ ქართველ მაჰმადიანებს, ჩვენმა ძმებმა ქართველ ქრისტიანებმა ყურადღება მოგვაქციეს და ჩვენთვის წიგნებიც დაბეჭდეს „მუჰამედის ცხოვრება“, ლოცვები და სხვანი. ღმერთმა იცის, რომ დიდად მოგადინებელნი ვართ ჩვენსა და თქვენს შუა ძველებური სიყვარული გაცოცხლდეს და ამით ერთმანეთის პატივისცემა და შეეღა ვიცოდეთ. ჩვენც ძველად ქართველები ვიყავით, როგორც თქვენ, ჩვენი საყვარელი ქვეყანაც საქართველოა, ჩვენი სამშობლო ენაც ქართულია; მხოლოდ რჯულით ჩვენ გახლავართ მაჰმადიანნი. აქამდის ჩვენი ოსმალის ხელში ვიყავით. თამარ მეფის შემდეგ აქაურებმა ბევრი წვალება, ტანჯვა და წუწუნარება გამოვიარეთ ოსმალის ხელში, მაგრამ ბოლოს შევეერთდით ერთად. დღეს ჩვენ ერთ საყვარელ ძმებად ვიმყოფებით, ერთი სისხლი ვართ, ერთი ფადრშაჰი გვყავს, მხოლოდ ჩვენ თქვენთან გაცილებით შორსა ვდგევართ და ჩვენ დიდად ვართ დავარდნილი და ღაცემულ-დაფუხარებული. ჩვენ ჩვენი პატრონობა არ შეგვიძლიან, თქვენ ხართ ჩვენი პატრონი, დღეს ჩვენი პატრონი არაფერ არის და მოგმართავთ, თქვენ, ჩვენი საყვარელო ძმებო, და გვეუბრებით რომ ქედაში სკოლა გაგვიმართოთ. ამ სკოლია გამართვით თქვენ დიდს დავალებას დაგვდებთ და იმედია, რომ ამას არც ჩვენ დავივიწყებთ, ჩვენთვის ქართველ მაჰმადიანებისათვის რომ ქედაში ამ აქარის დიდს ადგილს, სკოლა გაგვიმართოთ და დაგვეხსნათ ათასწიარის გაჭირვებისაგან მომავალში. კარგი სკოლა აქარისათვის წამალი იქნება. მის საშუალებით აქეთ ქართული კითხვა უფრო განმტკიცდება. იმედია, რომ ჩვენს თხოვნას შეიწყნარებენ, შეიზრალბენ ამოდენა ქართველ მაჰმადიანთა შეილებს და ქედაში სკოლას გაგვიმართავენ. ჩვენ გაჭირვებას, ბატონო, ჩვენი ენა ვერ მოგახსენებთ, ვიდრე თქვენის თვალთ არა ჰნახავთ.

აბდულ ეფენდი მიქელაძე

„ივერია“, № 72, 1898 წ. 10 აპრილი

სოფ. ქედა (ზედა აქარა). ხასან ციციანის სიკვდილმა ძრიელ დავაჯონა აქარელი ქართველი მაჰმადიანები. განსვენებული ოსმალურს სასწავლებელში იყო ნასწავლი, მაგრამ წიგნიც კარგად ესმოდა. იცოდა აგრეთვე ჩვენის ვინაობისა და თავგარდასავლის ამბები და ქადაგებდა, რომ ჩვენ თუ სჯულით მაჰმადიანები ვართ, ტომით, სისხლითა და ხორციელ ქართველნი ვართო. ჩვენში ჯერ თითოთიროლას ძლივს ესმის, რომ სარწმუნოება სხვაა და გეარტომობა, ჩამომავლობა კიდევ სხვა. ქართველებში არიან ფრანგების სარწმუნოებისანი და მართლა-მადიდებელნი ქრისტიანნიცა. თუმცა სხვადასხვა სარწმუნოება და სჯული უჭირავთ, ამიტომ მაინც ისინი ერთობას არა ჰკარგავენ და ქართველობას მისდევენ. ჩვენ კი ასე არ ვიქცევით. რაკი მაჰმადის სარწმუნოება გვიჭირავს, ასე გვეგონია, ქართველნი აღარა ვართო. აი ამას უხსნიდა და ეუბნებოდა აქ ყველას განსვენებული ხასან ციციანი.

ამას წინაჲდ ბათუმის ქართულ სკოლიდამ დაითხოვეს მასწავლებელი მაჰმადის სჯულის სოჯა ხაფიზ ეფენდი აქარელი (სურმანიძე, რ. ს.). ეს ამბავი აქ ბევრს ეწყინა. მაჰმადიან შეგირდები ამიტომ იმ სკოლაში აღარა სწავლობენ ამჟამად. იმ დღეს ყალი-ოღლის (ბოლქეაძე, რ. ს.) შეილები უნდა გაეგზავნათ ბათუმის ქართულ სკოლაში, მაგრამ აღარ გაჰგზავნეს, ჩვენი სოჯა აღარ არის იმ სკოლაშიო. იმედო უნდა ვიფიქრონოთ, რომ სოჯა ისევ მალე დაინიშნება სკოლაში და ქართველ მაჰმადიანთა ყმაწვილები კვლავ დაიწყებენ ქართულის წერა-კითხვის სწავლას.

ერთს იმ სკოლაში ნასწავლს ძრიელ უნდოდა ტფილისში სწავლის განაგრძობა, მაგრამ, სამწუხაროდ, პატრონი და ხელმძღვანელი არაფერ აღმოუჩნდა.

ქართული წიგნები და ანბანის ცოდნა აქეთ ნელ-ნელა ვრცელდება და იქნება მალე ფერხ მოვიცდოს მტკიცედ.

აბდულ ეფენდი მიქელაძე.

„ივერია“, № 103, 1893 წ. 21 მაისი

სოფ. ქედა (ქვედა აჟარა). აქეთ სტოგორბს ერთი ქართველი კაცი, სჯულით მაჰ-
შადიანი, გვარად გეგიძე, რომელიც ბნელად არჩენს ადვილად. ამ სნეულობის წამლობა
გეგიძის გვარში ძველი-ძველიდანვეა დარჩენილი. გეგიძეს ქართული კარაბადინიცა აქვს
და წერა-კითხვაც იცის. მისი შვილი სოფელ ქვანაში ხოჯა ალი ეფენდის (ქარცივაძე,
სოფელ ცივაძეებიდან, რ. ს.), აბარია სასწავლებლად. ხოჯა ქართველი კაცია და თ-
ვის ბავშვებს ქართულადაც ასწავლის.

(ა. მიქელაძე).

„ივერია“, № 37, 1894 წ. 17 თებერვალი

სოფ. ქედა (ქვედა აჟარა). იანვარმა კარგად ჩაიარა, თუმცა ცოტაოდენი თოვლი კი
მოვიდა, მაგრამ მალე აიღო. ამ უკანასკნელ ხანებში კი დაიწყო სიცივეები. ავადმყოფო-
ბა ჩვენში ძალიან გავრცელებულია, უმეტესად სურდო-ხველა და ინფლუენცია, რო-
მელმაც უმეტეს წილად ბავშვები იმსხვერაპლა.

ამბობენ ზედა აჟარაშიც მძინეარებს თურმე ეს სენი.

ჩვენებურები ამჟამად ძალიან შეწუხებულები არიან იმის გამო, რომ მთავრობის
განკარგულებით ყველას ჩამოართვეს ერთად-ერთი მათთვის ძვირდასი განძი მამაპაე-
ლი თოფები და ბერდანკები.

ეს მით უფრო სამწუხაროა მათთვის რომ ამ იარაღის შესაძენად უკანასკნელი
თავიანთი შეძლება არ დაუშურავთ და თვითონ მოგვსენებან სოფლის დარიბ მკვიდრ-
თათვის ადვილი არ არის, რომ ორმოც-სამოც მანეთად ღირებული ნივთი დაეკარგონ.

* * *

იქიდანვე: ამას წინად ჩვენში ვილაც ქართველი მასწავლებელი ჩამოვიდა. აქაუ-
რებს დიდად სასიამოვნოდ დარჩათ და რაც შეეძლოთ პატივი სცეს, მით უმეტეს იმათ,
ვისც ცოტაოდენი ქართული წერა-კითხვა იცოდა. მაგრამ ამ ვაჟბატონმა ეს პატივის-
ცემა ვერ იშვინა და დაუწყო მამამდის რჯულს უკადრისად ხსენება.

ხალხს ასეთი საქციელი სტუმრის მეტად ეწყინა და ყველამ ერთხმად თავი დაა-
ნებეს ქართულ წერა-კითხვის სწავლას, რომელსაც დღემდის დიდის ხალხით სწავ-
ლობდნენ. ასე ამბობენ ჩვენი რჯულის წინააღმდეგი სწავლა-განათლება არ გვინდაო.

სასურველია, რომ ასეთი ყმაწვილები აქაურ ხალხის რჯულსა და ზნე-ჩვეულებას
უფრო პატივისცემით იხსენიებდნენ.

ა. მიქელაძე

„ივერია“, № 40 20 თებერვალი 1894 წ.

ტფილისი, 20 თებერვალს

ჩვენი მკითხველი უთუოდ მიაქცევდა ყურადღებას ქვედა აჟარიდან მოწერილს
ამბავს, რომელიც შეეხება ვილაც ქართველი მასწავლებლის მოგზაურობას მამამდის
ქართველთა ქვეყანაში.

ეს ვაჟბატონი თურმე დიდის პატივითა და აღერსით მიუღოთ. მაგრამ, საუბედუ-
როდ, ჩვენს უცნობ ოსტატს საღვთისმეტყველო ბაასი გაუშარათეს თავის აღერსიან
მასპინძლებთან და ამ ბაასში ბევრი რამ უმართებულო ულაპარაკია მამამდის სარწმუ-
ნოების შესახებ. ხალხი რასაკვირველია, იმწამსვე შემოცლია, დიდად გულზნატყენი და-
ჩენილა და უთქვამს თუ ასეა, ჩვენი სარწმუნოების წინააღმდეგის ქართული ენა არ
გვინდაო და ერთიანად თავი დაუწებებია ქართულის ენისა და წიგნისათვის. თუმცაო,

დასძენს კორესპონდენტი, აქამდის დიდს ხალხით ეკიდებოდნენ ქართულის წერა-კითხვის სწავლასაო.

სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით ვინ არის ეს ქართველი პედაგოგი; არის იგი ვინმე მონეტიალუ არსება, რომელსაც არც სარწმუნოებისა გაეგება რამე, და არც სწავლისა, თუ რომელიმე ბოროტგანმზრახველია, რომელსაც აზრად აქვს შეაძულოს ჩვენს მოძმე მაჰმადიანებს ქართული ენა და ქართველი ერი? მაგრამ ეს სულერთია — უგუნური ვინმეა ეს ახალი მქადაგებელი მაჰმადის სარწმუნოების უფარვისობის, თუ ბოროტგანმზრახველი, ორსავე შემთხვევაში ეს ვაჟბატონი მავნებელი ბრძანებულა და ადგილობრივი მთავრობა ვალდებულია ყურადღება მიაქციოს და ფიცხლავ გამოაბრძანოს იმ ხალხიდან, რომელსც დამშვიდება-ნუგეშისცემა და სიყვარულის მოწოდება საჭიროა და არა აღელვება და თავის სარწმუნოების შეურაცხება და შეგინება.

მაგრამ, იქნება ჩვენი საუბარი გამოწვეულია, ისეთის ვინმეს ყოფაქცევის გამო, რომელმანც „თითონაც არ იცის რას იქმსა“?! ამ შემთხვევაშიც საჭიროა რომ ასეთ უგუნურ მოგზაურებზედ ყურადღება ექიროს, როგორც მთავრობას, აგრეთვე თვით ხალხს, რომელსაც შეუძლია განაძევოს თავის სოფლიდან და შეატყობინონ უმადლობელებს ზოხელებს.

საუკუნოებით განცალკავებული ძმები ძლიერ არის დღეს ჩვენთან შეაერთა ბედნიერმა შემთხვევამ და თითოეული გონიერისა, კარგის ქართველის მოვალეობაა, რომ ეს ჩვენი ერთ-სისხლი და ერთ-ხორცი ხალხი დავიახლოვით, საერთო ჩვენი სამშობლო შეეყვართ და ცხოვრება გაუჟღავნოთ.

ამ მხრით კიდევ იყო მიქცეული ყურადღება ამ სწავანზედ და დღესაც თ. გრიგოლ გურიელის სახელს მოწიწებით და სიყვარულით იზსენიებს მთელი ქართველი მაჰმადიანობა. მაგრამ, საუბედუროდ, შემდეგმა თაობამ ვეღარ გაუწია მეგვედრეობა თავადს გრიგოლს და ასე სასიხარულოდ დაწყებული შემოერთება დიდის ხნით განშორებულ მოძმე ერისა—დღესაც კიდევ გამოუკვლეველ მდგომარეობაშია და ძნელია იმისი თქმა -- დაჟაფაჟეთ ჩვენ ღირსეულად ეს დიდი ისტორიული შემთხვევა, თუ არა?

მ ე ვ ე ლ ე
დავით მიქელაძე

(დასასრული იქნება)



ილია რუხუა

აღზრდილი და თანამდგომი

არის შეხვედრები, რომლებიც არ გვევიწყდება.

დიდი სამამულო ომის მიწურული — 1944 წლის ზამთრის გვიანი საღამო. ვახუშტი „საბოთა აჟარის“ რედაქციის მორიგე მუშაკები ნომრის საკორექტურო ანაზღაურებას ვკითხულობთ „სვეტებიან დარბაზში“. ხუმრობით ასე ვეძახდით ჩვენს საკორექტუროს ფარალალა და ვიწროფანჯრიან ოთახს, რომელიც ბათუმის ძველი სტამბის ეზოში მღებარე დამხმარე ნაგებობის ზედა სართულზე მდებარეობდა და რომლის ვერსაც ჩამოწოლისაგან იცავდა საყრდენ სვეტად გამოყენებული ერთადერთი რელსი. ზოგ-ლოდნელად იღება კარი და რედაქციის პასუხისმგებელი მდივნის პეტრე ზამბახიძის თაბახლებით შემოდის ტანმაღალი, გამბდარი სათვალისანი კაცი. ფეხზე წამოვიწმალეთ, უმაღლესვდით, ვინც იყო, რადგან კარგახანია თბილისიდან ახალი რედაქტორის მოლოდინში ვიყავით. მდივანმა სათითაოდ წარგვაღვინა. რედაქტორი ხელის ჩამორთმევით გვეუცნობოდა, სადა ჩარჩოინი სათვალისიდან მომზირალი ნათელი თვალებით გვაკვირდებოდა, შიგა და შიგ კითხვებსაც ვგისვამდა, ცხადია, ანტერესებდა, რა ჩიტები ვიყავით. გაცნობა და საუბარი თავიდანვე ისე ბუნებრივად წარიმატა, დაძაბულობა მალე გაქრა. მხოლოდ ახლა მივაქციეთ ყურადღება, რედაქტორის საკმაოდ გაცრეცილი პალტო რომ ეცვა. თავი უბრალოდ, მაგრამ ღირსეულად ეჭირა. განსაკუთრებით მოგვეწონა მის სახეზე დაფენილი კეთილი ღიმილი, რომელიც თვალებიდან იფრქვეოდა.

სტუმრის ყურადღება მიიპყრო მაგიდაზე დაწყობილმა წიგნებმა. მან თავზაზანად ნებართვა ითხოვა და წიგნები გადაათვალიერა. აუჩქარებლად იღებდა მათ ხელში. ვადაფურცლავდა, რამდენიმე ადგილს თვალს გადაავლებდა და დადებდა.

— ეისი წიგნებია და ეინ კითხულობს?

კოტა არ იყოს, ტანში გამაჟრჭოლა, რადგან წიგნებს შორის იყო ტიციან ტაბიძის უკანასკნელი კრებული და შოპენვაუერის ძველი გამოცემა, რომელსაც რამდენიმე დღის წინათ წაეაწყდით სტამბის სარდაფში ძიჟრილ წიგნებს შორის. ჩემი შესწოთების მიზეზის ვაგება ძნელი არ უნდა იყოს. საომარი პერიოდის ისედაც, მაკაც ვითარებაში ექვიან და შარიან კაცს სულაც არ გაუტირდებოდა ამგვარი წიგნებით დანტერესება მკრეხელობად ჩათვალა ჩვენთვის. ალბათ, იგივე გაიფიქრა გოგო სალუქვაძემ, რადგან შესწოთებული თვალებით გადმოშხედა, მაგრამ კითხვას პირდაპირ, მიკიბ-მოკიბვის გარეშე ვუპასუხეთ. რედაქტორმა კიდევ ერთხელ შეგვათვალიერა, როგორც მოშეჩვენა, დაუფარავი ინტერესით, და სავსებით მშვიდი ხმით მოგვმართა:

— ორივეს ვთხოვეთ ხვალ დილით ჩემთან მოხვიდეთ რედაქციაში!..

ადვილად წარმოსადგენია, როგორი შფოთიანი მოლოდინით გავათენეთ ეს დამეგვობრებმა. რას ვიფიქრებდით რომ, თურმე, გველოდა ხანგრძლივი სასიამოვნო გესაუბრება, პირველი სარედაქციო დავალებების მიღება, რამაც საბოლოოდ გადაწყვიტა ჩემი და გოგის მომავალი. და არა მარტო ჩვენი!



გაზეთი, კარგად მოგვხსენებთ, ცხოვრების სარკეა და მასში მუშაობაც დიდი სკოლა, მით უფრო ქვეიანი და ღირსეული რედაქტორის ხელში. ამ მხრივ ჩვენს საყვარელ, მშობლიურ „საბჭოთა აპარას“ ყოველთვის უმართლებდა: მას რედაქტორობდნენ საინტერესო ბიოგრაფიის, ფრად ავტორიტეტული და განათლებული პიროვნებები. ზრთ-ერთი მათგანი გახლდათ დავით ღუმბაძე, რომლის დროსაც მე მომიხდა რედაქციაში მისვლა. ბუნებით ფიცხი კაცი, შინაგანად საოცრად კეთილი გულის ადამიანი გახლდათ. კარგად ვიცოდით გაჯავრება მალე და ადვილად რომ გაუელიდა, წყენის ზინჯს არ ჩაირჩენდა. მეტად მიმზიდველი, სიმპათიური გარეგნობის, ღრმად განათლებული და ერუდირებული პიროვნება, 30-იანი წლებიდან მოყოლებული კარგა დიდ ხანს მწერალთა ადგილობრივ ორგანიზაციასაც ხელმძღვანელობდა შეთავსებით და ლიტერატურისადმი და ლიტერატორებისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას აჩენდა. ეს ბევრს ნიშნავდა აპარის სინამდვილეში, სადაც პერიოდული სამწერლო ყურნალი ჯერ კიდევ არ არსებობდა, თუ მე ედევნობაში არ მოვიღებთ კანტი-კუნტად გამოძეულ თხელკანიან აღმნახებს, გაზეთში „საბჭოთა აპარამ“ ნამდვილად დიდი, დაუფასებელი მუშაობა გასწიდა ლიტერატურული ცხოვრების აღორძინებას და მწერლობის ახალი კადრების აღზრდა-დავაცუკებაში.

ეს კეთილი ტრადიცია კიდევ უფრო გაღრმავდა და გამრავლდა გაზეთში ანტონ კელენჯერიძის მოსვლის შემდეგ. როგორც მალე ჩვენთვისაც გახდა ცხადი, ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევანი შემთხვევით არ შეჩერებულა მასზე. როცა ბატონი ანტონი ჩვენ მოგვევლინა, მას უკვე გავლილი ჰქონდა ჟურნალისტისა და საზოგადო მოღვაწის გზის მნიშვნელოვანი მონაკვეთი. საბოლოოა მწერლობა-განმანათლებლების მელოტონ და კირილე კელენჯერიძეების ოჯახში გაზრდილი ჭაბუკი 19 წლის ასაკში მისულა „კომუნისტის“ რედაქციაში და ქართული პრესის ამ სახელოვანი ფლაგმანის ჟურნალისტური სკოლის აღზრდილი გახლდათ, მისი ხელის დამსმელი ამ ასპარეზზე აღმოჩნდა ლენინის პირადი მეგობარი და მოწაფე, ბოლშევიკური გვარდიის ქეშმარიტი რაინდი, კრიტიკული სისპეტაკით ცნობილი ადამიანი, საზოგადო მოღვაწე და ჟურნალისტი ნიკო კიკნაძე.

ქონიკოირისა და რეპორტიორის ცოცხალი, მოუხსენარი საქმიანობა იყო პირველი ეტაპი, რომელშიც თავიდანვე განსაზღვრა მომავალი ჟურნალისტის სანაქებო თვისებები — ალღო და ოპერატიულობა, მთავარისა და არსებითის პოვნის, თემის ცხოვრებისეული სიმაღლით გახსნის უნარი. უპირველესი ქართული გაზეთის ოცდაათიანი წლების კომპლექტების გადათვალიერება დაგვიდასტურებთ ანტონ კელენჯერიძის მჩქედარე, საინტერესო საქმიანობას. შეიძლება ითქვას, ახალგაზრდა ჟურნალისტის მრავალრიცხოვანი კორესპონდენციებისა და ჩანახატების, რეპორტაჟებისა და ნარკვევების მიხედვითაც საკმაოდ სრული წარმოდგენა შეგვექმნებათ ბევრ რამეზე. იმაზე, თუ როგორ, რა პირობებში, რაოდენ დიდი სიძნელეების გადალახვისა და ქეშმარიტი საერთო-სახალხო ენთუზიაზმის ვითარებაში ეყრდნობდა საფუძველი ახალი საქართველოს პირველ ინდუსტრიულ კერებს, სუბტროპიკულ მეურნეობებს; იმაზე, თუ როგორ ზღვებოდა ამიერკავკასიის რეინოგზის რეკონსტრუქცია-გადართობა, როგორ მიიწეოდა საავტომობილო გზების კლომეტრები ფშავ-ხევსურეთის და სვანეთის მთებში.

ცხოვრების შუაგულში ტრიალით გაწაფულ ჟურნალისტს სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვან საქმეებს ანდობენ. რედაქციის პასუხისმგებელი მდივნის პოსტზე მოუსწრო მას დიდმა სამამულო ომმა. პარტიის მოწოდებისთანავე ა. კელენჯერიძე სამხედრო ჟურნალისტთა რიგებში ჩადგა. იგი მონაწილეა ყირიმის მძიმე და გამართული ეპოპეისა, რომლის დროსაც კიდევ ერთხელ გამოავლინა თავისი მაღალი პიროვნული თვისებები.

„ამ კაცმა ბევრჯერ შეხედა სიკვდილს თვალებში, — იგონებს ერთ თავის ნარკვევში საბჭოთა არმიის პოლიტმუშაკი და ჟურნალისტი კლიმენტი გვალია, — მაგრამ

არასოდეს შემდრკალა, მის გულში შოშ არ გაუფლია, ყოველ მომენტში ინარჩუნებდა სიმადლესა და ღირსებას, მუდამ შეუდრეკელი იყო... ზედმიწევნით პატიოსანი, გულ-ლია, პირში მთქმელი. პირში თქმაზე გამახსენდა... ერთხელ ანტონი მოულოდნელ უსიამოვნებას წააწყდა, როცა ერთ უცნობ მაღალი წოდების მეთაურს შეუფერებელი საქციელისათვის სათქმელი პირში მიახლა.

— მევეტომაც სასწრაფოდ ჩემთან! — გასცა ბრძანება შეუფერებელ საქციელზე წასწრებულმა და ამით შერცხვენილმა მეთაურმა, თან რევოლვერი გაიძრო. ამასობაში ავტომობილს ჩახმაზაც გაიჩაყუნა. წამიც და ცხადი იყო, რაც მოხდებოდა, საქმეში ყველასათვის პატივცემული ჩვენი გენერალი, იმჟამად ფრონტზე ოფიცრად მყოფი ექტორ კუპრაძე რომ არ ჩარეულიყო“.

ყირიმის ბრძოლების შემდეგ ა. კელენჯერიძე კვლავ „კომუნისტის“ რედაქციას უბრუნდება, რამდენაზე ხნის შემდეგ კი გადაწყვეტს ბათუმში საოქო გაზეთ „საბჭოთა აპარის“ რედაქტორად. რამდენადაც იმ წლებში, როგორც გაზეთის მუშაკი, ამ ადამიანის გვერდით აღმოეჩნდი, თავს უფლებას მიეცემ უფრო დაწვრილებით შევეჩვრდე პატივცემული ანტონის რედაქტორულ და საზოგადოებრივ საქმიანობაზე. მისი მოსვლისთანავე სარგის ტრადიციების მქონე გაზეთის კოლექტივში თითქმის ახალმა სიომ დაბერა. გაზეთის სარედაქციო პერსონალი ისეთიარად გადახალისდა, რომ ყოველმა მუშაკმა უმაღლესი თავისი ნამდვილი ადგილი, მიეცა შესაძლებლობა უნარისა და ნიჭის სრულად გამოვლენისა. თანაც ამას აკეთებდა წინადადებულად, ყოველმხრივ აწონილ-დაწონილად, ისეთი ტაქტით, რომ რედაქციის ძველ და ახალბედა მუშაკებს შორის შუარს, მით უფრო მტრობისათვის ადგილი არ რჩებოდა. განსაკუთრებული სიყვარულთა და ნდობით გვიღებოდა ახალგაზრდებს. საკმარისი იყო ვინმეს გულმოდგინებითა და ნიჭიერებით რედაქტორის ყურადღება დამსახურებინა, რომ გულში ჩადრილში მდგომი რიგითი ლიტმუშაკი თუ კორექტორი ზეალ რედაქციის განყოფილების გამგედ ან პასუხისმგებელ მდივნად გეგზოლა. ახალგაზრდების ამგვარი გაზედული დაწინაურების პრაქტიკა ბევრის გაკვირვებას იწვევდა, მაგრამ არ მახსოვს, რომელიმე დაწინაურებულს ნდობა არ გაემართლებინოს.

რედაქციის კოლექტივის საერთო პროფესიული დონის ასამაღლებლად თბილისიდანაც მოიწვია რამდენიმე ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ავტორიტეტ მოხვეჭილი ყურნალისტი. აკაკი შონიამ და რიუროც ფალავანდიშვილმა სწორედ ჩვენს გაზეთში გამოაყვინეს მთელი სისრულით თავიანთი პროფესიული ოსტატობა და ნიჭიერება, როგორც ყურნალისტმა, ბატონ ანტონის ხელში აღდგა დეხი ომგადახდილმა რუბენ სირაძემ, რომელიც შემდეგი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა გაზეთის კოლექტივს.

პედაგოგის ოჯახში დაბადებულ-ვაზრდილ ანტონ კელენჯერიძეს ბუნებით, თავადაც აღმზრდელს, საოცრად ეადვილებოდა ადამიანებთან საერთო ენის გამონახვა, საერთო საქმის ინტერესებისათვის მათი შემომტკიცება. ამიტომაც მის გარშემო ბუნებრივად იქმნებოდა ურთიერთგაგებისა და პატივისცემის, სჯილიერის სიხალავათის შემოქმედებითი ატმოსფერო. ბატონ ანტონის სასიათში ბედნიერად არის შერწყმული იშვიათი ადამიანური გულისხმიერება, სიბო და მკაცრი მამობრივი მომთხოვნელობა.

ის წლები მარად კეთილმოსაგონარია ყველასათვის, ვისაც ჩვენი გულისხმიერი აღმზრდელისა და უფროსი მეგობრის გვერდით უმუშავია; უპირველესად, ცხადია, დღეცხოვრებისეული და პროფესიული სკოლის გაელით. მართლაც ბევრი სიახლის უშუალო მოწმე-მონაწილენი აღმოეჩნდი.

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ გაზეთმა წინა პლანზე წამოსწია მთავალი ისეთი საკითხი, რომელთაც საქართველოს უწვეწვეწერესი კუთხის — აპარის შემდგომი განახლება-განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ეს

იყონ ბერიბოდი, როცა პარტიული და საბჭოთა ორგანოების, მთელი საზოგადოების მხრიდან მომხრეები ღონისძიებებით გაიშალა ფართო და ენერგიული ბრძოლა წარსულიდან შემორჩენილი დრომოკმული ტრადიციებისა და ჩვევების უკუგდებისათვის, ნამდვილი სულიერი განახლებისათვის, ვახის კულტურის აღორძინებისათვის. ამ პროცესის ეფექტურად წარმართვის საქმეს შთაგონებული სიტყვით დიდად უწყობდა ხელს გაზეთი „საბჭოთა ჯარაჯი“. ამას რედაქციის კოლექტივი აღწევდა თემატური მრავალფეროვნებით, ცოცხალი სიტყვის მოშველიებით, საუკეთესო ლიტერატურული ძალების მოზიდვით. ხშირი იყო შემთხვევა, როცა დედაქალაქიდან თითქმის რამდენიმე დღით ჩამოსულ მწერალს რედაქციიდან დავალების მიღების შემდეგ ისე გაიტაცებდა. საქმე, რომ მთელი თვეობით რჩებოდა აპარაში, საკუთარი თვალთა ნანახის საფუძველზე ქმნიდა პოეტურ ციკლებსა თუ ნარკვევთა სერიებს. ასე შეიქმნა ვიქტორ გაბესკირიას, ალექსი შენგელიას, კლიმენტი გოგიაფასა და სხვათა წიგნები. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივმა მწერლებმა, რომელთა სახელებს დღეს ფაოთოდ იცნობენ, ფეხი, სწორედ ამ გაზეთში აიდგეს. საკმარისია დავასახელოთ თუნდაც ფრიდონ ხალვაში, ნანა გვარიშვილი, გიორგი სალუქვაძე, შოთა როყვა, გიორგი ლორთქიფანიძე და სხვები. ბატონი ანტონი თავიდანვე გამორჩეული მამობრივი ყურადღებითა და მზრუნველობით შეზღუდა ფრიდონის, რამაც საბოლოოდ განსაზღვრა მისი მომავალი. ამის შესახებ დღეს უკვე სახელმწიფოებრივმა პოეტმა, რუსთაველის პრემიის ჭაურავატმა ამაღელვებლად ილაპარაკა ქართული ჟურნალისტიკის პატრიარქის 80 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე, თბილისის ჟურნალისტთა სახლში.

გაზეთი „საბჭოთა ჯარა“ ბათუმის ლიტერატურული და კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი უმთავრესი კერა გახდა, სადაც თავს იყრიდნენ ქართული მხატვრული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლის საფუძველზე აქ მწიფდებოდა ობიექტური საზოგადოებრივი აზრი ყოველ მნიშვნელოვან მოვლენაზე. ანტონ კელენჯერიძის ენერგიული, მჭიდვარე მოღვაწეობა, ცხადია, შეუძენველი არ დარჩენილა რესპუბლიკის ხელმძღვანელობას. იგი ორმოცდაათიანი წლების დამდეგს გადაჰყავთ რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარეად. გულდაწყვეტილი, მაგრამ კახონიერი კმაყოფილების გრძნობით ტოვებდა იგი ქალაქს, სადაც შედარებით მოკლე დროში ამდენი რამ გააკეთა, ტოვებდა ჯანსაღ, ბრძოლისუნარიან პროფესიულ სარედაქციო კოლექტივს, რომელიც ამჟერად ჩაიბარა ცნობილმა კრიტიკოსმა და ჟურნალისტმა შოთა ქურიძემ. იგი მანამდე ქუთაისში მოღვაწეობდა და იქაური ლიტერატურული ცხოვრების ერთ-ერთი მესყეურად ითვლებოდა.

ანტონ კელენჯერიძის, როგორც ჩინებული ხელმძღვანელისა და ორგანიზატორის უნარი ახალი ძალით გამოვლინდა ახალ პოსტზე. როგორც ცნობილია, 50-იანი წლებიდან მთელ ჩვენს ქვეყანაში დიდი ყურადღება მიენიჭა რადიომაუწყებლობის, განსაკუთრებით კი ტელევიზიის განვითარებას. კომიტეტში მუშაობის მთელი ათი წლის მანძილზე პატივცემული ანტონის ხელმძღვანელობით მრავალ ახალ საქმეს ჩაეყარა საფუძველი, გაიზარდა რადიო და ტელეჟურნალისტთა ახალი კადრები. წარმატებით იმოღვაწეა წინააღმდეგობა ჟურნალისტთა ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის ღირებურობად. აქ დატული ფონდების შესწავლის საფუძველზე მან გამოვლინა სპარსეთის 1905-1911 წლების რევოლუციაში ქართველთა აქტიური მონაწილეობის ფაქტები, რომლებიც საფუძვლად დაედო მის საინტერესო წიგნს. ჩვეული სიმართლითა და გულწრფელობით არის დაწერილი ნარკვევების წიგნი — „ქეჩიჩი, 1942“, რომელმაც პრესის კარგი შეფასება დაიმსახურა.

ანტონ კელენჯერიძის სამსახურებრივი და ჟურნალისტური საქმიანობა ყოველთვის



მკიდროდ იყო და არის დაკავშირებული მის მრავალმხრივ საზოგადოებრივ მნიშვნელობასთან, არაერთხელ აურჩევიათ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, საქართველოს კომპარტიის ყრილობების დელეგატად. ამჟამად იგი არის პარტიის ცენტრალური კომიტეტის სარევიზიო კომისიის წევრი, საქართველოს ყურნალისტთა კავშირის გამგეობის წევრი, საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარის მოადგილე და სხვ.

მისი დამსახურება ხალხის წინაშე აღნიშნულია მრავალი ორდენითა და მედლით. მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება.

უკან დარჩა შეუწელებელ შრომაში გატარებული ათეული წლები, მაგრამ მიუხედავად წელთა სიმრავლისა, პატივცემული ანტონი კვლავანდებურად მხნე და მოუღწეულია. მის სახეს კვლავაც შევნიშნავთ ადამიანებისადმი ნდობისა და სიყვარულის გამოხატვები კეთილი/დიდი, მისი გაწაფული ყურნალისტური კალამი კიდევ ბევრ რამეს გვპირდება.

ვლადიმერ სიჭინავა

ბათუმის ისტორიიდან

კარგა ხანია ვმუშაობთ მონოგრაფიულ ნარკვევზე „ბათუმის ისტორიიდან“. 1958 წელს გამოვიდა ამ ნარკვევის I წიგნი (1878-1907 წლები). უკვე მომზადებულია II წიგნიც ბათუმის ისტორია 1921 წლამდე. III წიგნში ვვარაუდობთ წარმოეჩინოთ ბათუმის საქალაქო საბჭო და მისი როლი საბჭოთა პერიოდში. განზრახული გვაქვს ეტყვიანთ ის დიდი მუშაობა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩატარდა და რომელმაც სახე უცვალა ნოცილეზის მშენებლობის გზაზე დამდგარ ბათუმსა და მის ნავსადგურს.

1922 წელს ბათუმის საქალაქო მეურნეობას დიდი ფინანსური სიძნელეების გადალახვა უხდებოდა. ამ სიძნელეებს ქმნიდა საკუთარი ბიუჯეტის უქონლობა. არსებული სიძნელეების მიუხედავად, 1921-1922 წლებში ქალაქის მეურნეობამ მაინც შესწლო ზოგი რამის გაკეთება.

ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შემოღებამ ხელი შეუწყო ქალაქის პერსპექტიულ განვითარებას, დიდი ხნის დისკუსიის შემდეგ, საკუთარი ბიუჯეტის შექმნის უფლებამ ქალაქს საშუალება მისცა ჩამოეყალიბებია თავისი მეურნეობის ორგანიზაციული სტრუქტურა.

ქ. ბათუმის საქალაქო საბჭოს ეს დასახელებული სტრუქტურა ძალაში იყო მხოლოდ 1926 წლის 13 ნოემბრამდე. მისი ახალი ფორმითა და შინაარსით შეცვლა განხორციელდა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წლის 12 ნოემბრის პლენუმის გაერთიანებული სხდომის დადგენილებით. ქორხის მაზრის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, როგორც ცალკე ადმინისტრაციული ერთეული, გაუქმდა. შეიქმნა ბათუმისა და მისი მაზრის აღმასრულებელი კომიტეტი.

ქ. ბათუმისა და ქორხის საბჭოების გაერთიანებულმა სხდომამ ამავე 1926 წლის 13 ნოემბერს ერთსულოვნად მოიწონა აღნიშნული დადგენილება და ხაზი გაუსვა, რომ ეს დადგენილება კიდევ უფრო აკავშირებდა ქალაქსა და სოფელს ერთმანეთ-



თან. გვექნება ერთი ადმინისტრაციული ერთეული, იგი უფრო მოქნილი იქნება, შეამცირებს ხარჯებს, ხოლო დანაზოგი ეკონომია გამოყენებული იქნება სოფლის და ქალაქის მეურნეობის გასავითარებლად“.

მსოფლიო ომის, ინტერვენტების და მენშევიკური ორგანოების თვითნებური მოქმედების შედეგად გაპარტახებული საქალაქო მეურნეობა კეთილმოწყობას მოითხოვდა. ბათუმის მრავალ დასახლებულ უბანში, განსაკუთრებით გარეუბნებში, ჭაობიანი ტერიტორია იყო. ამ გარემოებას დაემატა ისიც, რომ 1914 წლიდან, ფინანსურ კრიზისთან დაკავშირებით, შეჩერდა ნაწილობრივ წყლისაგან ქალაქის დაწრეტის ღონისძიებანი. ამიტომ ჭაობიანი ადგილები თანდათან გამრავლდა. ძველ არხებში დაგუბებული წყალი მაღარიის გავრცელების კერად იქცა და იგი 1924 წელს გაიწმინდა რამდენიმე კილომეტრის მანძილზე.

ბათუმის კეთილმოწყობისა და მისი გამშენიერებისათვის 3 წლის მანძილზე გაწეულმა შრომამ ქალაქს კვლავ აღუდგინა უწინდელი ეგზოტიკური სახე. გარემონტდა ქალაქის ბაზარი. ისეთივე მუშაობა ჩატარდა ზღვისპირა პარკის მოსაწესრიგებლად. ქალაქის ბაღში მოთავსებული სათბურებიდან მიღებული შემოსავალი ნაწილობრივ ფარავდა ბაღ-ბუღვარისათვის გაწეულ ხარჯს. ქალაქის სანერგეების საშუალებით ბაღი კულტურული მცენარეებით ამარაგებდა მთელ დასავლეთ საქართველოს.

ქალაქის მესვეურები საჭიროდ მიიჩნევდნენ დაარსებულიყო კომპერატიული ამხანაგობანი, რაც თავის მხრივ სათანადო ფინანსურ-საკრედიტო ამხანაგობის დაარსების შესაძლებლობას შექმნიდა.

აჭარის სტატისტიკური სამმართველოს ცნობით, 1922 წლისათვის ბათუმში ირიცხებოდა 7.886 ბინა (16.268 ოთახი), სადაც 1922 წელს ცხოვრობდა 51.958 მობინადრე. ამ მონაცემებიდან ცხადია, რომ ბათუმში ბინის დიდი სიციწროვე იყო. შემოღებული იქნა ბინის ქირის გადახდის მინიმალური ნიხრი, ხოლო 1924 წლიდან შემოიღეს ბინათ-სარგებლობის საფასურის ახალი ნიხრი, რომელიც ითვალისწინებდა მობინადრეებს აენაზღაურებინათ ყველა კომუნალური სამსახური. ამ ღონისძიებამ გარკვეული შედეგი მოუტანა საქალაქო საბჭოს, რადგან მიმდინარე ხარჯები საშემოსავლო თანხებით იფარებოდა.

მართალია, კომუნალური სახლების მშენებლობა პირველ პერიოდში, მრავალი დაბრკოლებების გამო, ძალზე ცუდად მიმდინარეობდა, მაგრამ საკრედიტო დაწესებულების, კერძოდ, კომუნალური ბანკის დაარსებით, გრძელვადიანი სესხების გაცემით ეს საქმეც გამოსწორდა. დაიწყო ახალი სახლების მშენებლობა და არსებულის კაპიტალური შეკეთება.

ბათუმის მცხოვრებთა ზრდასთან ერთად ვითარდებოდა საქალაქო მეურნეობის სხვა დარგები.

ქალაქის საბჭომ 1923 წლიდან დაიწყო ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისათვის ზრუნვა. 1924 წლიდან სამუშაოები გადაეცა აჭარისწყლის ჰიდროელსადგურის მთავარ სამშენებლო კომიტეტს „აწგესს“, რომელმაც უნერგიულად მოჰკიდა საქმეს ხელი, მის მშენებლობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ბათუმის მშრომელებმა, სახელოვნამო მუშათა კლასმა და ტექნიკურმა ინტელიგენციამ.

ბათუმის წყალსადენი 1923-1926 წლებში წყლით ამარაგებდა გემებსა და ნავსადგურის შენობებს, რკინიგზის, სამხედრო და კომუნალურ დაწესებულებებს, კერძო პირებსა და დაწესებულებებს. წყალსადენი ყოველწლიურად ფართოვდებოდა, მაგრამ მაინც არასაკმარისი იყო, რადგან არ ჰყოფნდათ მასალები, მცირე იყო წყლის დებეტი.

რაც შეეხება სანიტარიულ მდგომარეობას, იგი მხოლოდ მაშინ მოგვარდებოდა, როდესაც მოწესრიგდებოდა კანალიზაცია. შედგა შესაბამისი პროექტი, რომელზეც განხორციელებას ვერ ელირსა ორი გარემოების გამო. პირველი — ფინანსური რესურსების სიმცირე და მეორე — საკუთარი ელექტრომეთურნეობის უქონლობა, რომელიც ზაქირო იქნებოდა საქაჩეებისათვის.

1923 წლის 1 იანვრამდე აპარაში არსებობდა სამეურნეო საბჭო, შემდეგ მისი ფუნქციები გადაეცა საქალაქო მეურნეობას. სამრეწველო დაწესებულებების უმრავლესობას არ გააჩნდა სათანადო ბაზა და პირობები. ქალაქისათვის გადაცემულ საწარმოებიდან ყურადღების ღირსია ქიმიური ქარხანა, რომელიც აკმაყოფილებდა არა მარტო ამიერკავკასიის ბაზრის მოთხოვნილებას, არამედ მის პროდუქციას დიდი გასაყალი ჰქონდა მთელს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და განსაკუთრებით კი მოსკოვის ბაზარზე.

თუკი რევოლუციამდე ბათუმის მოსახლეობა 30 ათას ძლივს აღწევდა, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ამ რიცხვმა, როგორც ზემოთ ვთქვით 52 ათასს მიაღწია. მოსახლეობის ზრდა განსაკუთრებით ლტოლვილთა მოზღვავენამ გამოიწვია.

ნაწილობრივ საბინაო კრიზისიდან თავის დაღწევა ლტოლვილთა სამშობლოში გაგზავნით თუ შეიძლებოდა. ბათუმში საზოგადოებრივი წესრიგის დამყარების მიზნით სპეციალურად დაარსდა ლტოლვილთა განყოფილება, ე. წ. „ევაკბიურო“. ქალაქში მართლწესრიგის დაცვას ემსახურებოდა სახალხო მილიცია, სასამართლო და პროკურატურა, ისინი თავიანთ მუშაობაში ხელმძღვანელობდნენ საბჭოთა საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემულ „სახალხო სასამართლოს დებულებით“. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ არსებული „ადათობრივი სასამართლოები“ დაბრკოლებას უქმნიდა მართლმსაჯულებას.

მართლმსაჯულების მოწესრიგების მიზნით 1923 წლის აპრილიდან შემოღებულ იქნა პროკურატურის ინსტიტუტი, რომელიც სახელმწიფო სახელით ზედამხედველობას უწევდა ყველა ორგანიზაციას. შემუშავდა ახალი სახელმძღვანელო დებულება, მართლმსაჯულება დადგა მტკიცე ნიადაგზე. ტარდებოდა უფასო ლექცია-სემინარები იურიდიული განათლების მისაღებად.

ქ. ბათუმში დაწესდა I და II საგამომძიებლო და სასამართლო უბნები, რომლებსაც ზედამხედველებად დაუყენეს ქალაქის პროკურორის თანაშემწეები. 1924 წლის ჯანმრელობაში რამდენიმეჯერ მოეწყო საჩვენებელი სამაგალითო პროცესები.

მილიციის ავტორიტეტის ასამაღლებლად შემოიღეს რეგულარული საანგარიშო მოხსენებები მილიციის აპარატისა და მის ცალკეულ თანამშრომელთა მუშაობის სრულყოფისათვის.

გარკვეული ღონისძიებები ჩატარდა თვით საქალაქო საბჭოს მუშაობის ეფექტიანობისა და ავტორიტეტის ასამაღლებლად, საბჭოს მუშაობაში მშრომელთა ფართო მასების ჩასაბმელად. მყარდებოდა მკდრო კავშირი ქალაქის საბჭოს წევრებსა და ამომრჩეველებს შორის.

საქალაქო საბჭო ვალდებულია თვლიდა თავს და ამომრჩეველებს პერიოდულად აბარებდა ანგარიშს ჩატარებული მუშაობის შესახებ.

ცარიზმისა თუ მენშევიკური მთავრობის ბატონობის პერიოდში არავინ ზრუნავდა, რომ ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდა სწორ გზაზე დამდგარიყო. 1921 წელს ქ. ბათუმში არსებობდა ორი გიმნაზია, 1 ტექნიკური და სახელისნო სასწავლებელი, 2 უმაღლესი, დაწყებითი და 8 პირველდაწყებითი სასწავლებელი, რომელთაგან მხოლოდ რამდენიმეს ჰქონდა საკუთარი ბინა. დანარჩენი კი მოთავსებული იყო კერძო და ამავე დროს სრულიად მოუწყობელ ბინებში. ზოგიერთ სკოლას საკლასო დაფებიც კი არ გააჩნდა.

1923 წელს ბათუმის ორივე საფეხურის 15 სკოლაში მოწაფეთა რიცხვი 5000-ს აღწევდა.

სასკოლო განათლების და, საერთოდ, მეურნეობის ახალ პრინციპებზე შექმნა მოთხოვნა სათანადო პედაგოგიური კადრებისა და ტექნიკური ინტელიგენციის მომზადებას. 1923 წლიდან განათლების სრულყოფას დიდად შეუწყო ხელი სწავლა-აღზრდის სტრუქტურაში ჩატარებულმა ცვლილებებმა.

ბათუმში პედაგოგიური კადრების შექმნის მიზნით მოეწყო პედაგოგიური კურსები, რომელიც გაიხსნა 1923 წლის 1 ივნისს, მსმენელებად ჩარიცხეს 156 კაცი.

1923 წელს დაარსდა „პედაგოგიური ინსტიტუტი“, რომლის მიზანიც იყო პედაგოგიური კადრების მომზადება. მიღებული იქნა 50 ახალგაზრდა. ინსტიტუტთან მოეწყო სრული ინტერნატი. „ინსტიტუტი“ უშვებდა საშუალო განათლების კარგად მომზადებულ ახალგაზრდებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მშრომელთა აღზრდის კეთილშობილურ საქმეში.

ბათუმში ზემოთხაზოვნილ სკოლებს გარდა 1924-25 წლებში არსებობდა საღამოს მუშათა ტექნიკუმი, საფაბრიკო-საჭარხნო სკოლები და სხვა.

საქალაქო საბჭო შეძლებისდაგვარად მატერიალურ მხარუწევლობას უწევდა სკოლებს. ატარებდა რემონტს, ზრუნავდა მის კეთილმოწყობაზე. საბჭოს ყურადღების გარეშე არ რჩებოდა ბათუმში დასახლებული მცირერიცხოვანი უცხოელებიც. ასე, მაგალითად, საქალაქო საბჭომ თავის 1925 წლის 6 იანვრის დადგენილებით ბერძნულ დაწყებითი სკოლის რეონტისათვის გაიღო 220 მანეთი, ხოლო ქართული სკოლის შეკეთებისათვის 550 მან.

განსაკუთრებით დიდი თანხები იქნა გაღებული მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შენობის გადასაკეთებლად. 1925 წლის 5 მარტს გამოტანილი დადგენილებით, მუზეუმის რემონტისათვის გამოყვეს 15.325 მანეთი. ჩატარებული მუშაობის შედეგად, ქალაქმა ერთ-ერთი თვალსაჩინო და ძლიერი კულტურის კერა შეიძინა.

ბათუმის საქალაქო საბჭოს საზრუნავი თავიდანვე იყო მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა. ბათუმში დაყოფილი იყო 3 საექიმო უბნად და 11 რაიონად. ყოველ რაიონში იყო თითო ექიმი. ქალაქში უფასო სამედიცინო დახმარებას უწევდნენ მოსახლეობის ღარიბ ნაწილს. არსებობდა სამალარიო სადგური, რომელიც, გარდა მეცნიერული მუშაობისა, ზალხს სამკურნალო დახმარებასაც უწევდა. რესპუბლიკის მთავარი საავადმყოფო კი ემსახურებოდა, როგორც ქალაქს, აგრეთვე მაზრებს. საავადმყოფოს ჰქონდა 200 საწოლი.

ბათუმს საკურორტო საქმის გაუმჯობესება განსაკუთრებით დაეტყო 1923 წლიდან, როდესაც მას სათავეში ჩაუდგა ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატი. მიუხედავად იმისა, რომ მატერიალური სახსრების უქონლობა აქაც ხელს უშლიდა მუშაობას, ცენტრიდან დახმარებისა და ადგილობრივი აზარაქებიდან შემოსული თანხებით შესაძლებელი გახდა ზოგიერთი ღონისძიების გატარება.

საკურორტო საქმე კიდევ უფრო გაუმჯობესდა 1924 წლის დასაწყისიდან, მას შემდეგ, რაც შეიქმნა საკურორტო სამმართველოს აპარის განყოფილება, რომელიც ენერგიულად გაუძღვა საქმეს და ზაფხულის სეზონს მომზადებული შეხვდა. ბათუმის ზღვისპირა პარკი მშრომელთა კულტურული დასვენებისა და გართობის შესანიშნავ კერად გადაიქცა.

პიროვნების ალზრდა-ბანვითარების ბურჟუაზიული თეორიები და მათი კრიტიკა

პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობა მწვავე — სადღესო პრობლემაა, რომელსაც ბურჟუაზიული ფილოსოფიისა და პედაგოგები იდეალიზმის პოზიციებიდან წყვეტენ. ამ საკითხის ირგვლივ დღეს მსოფლიოში ორი დიამეტრულად დაპირისპირებული მიმართულება იბრძვის: სუბიექტივისტურ-იდეალისტური და დიალექტიკურ-მატერიალისტური.

სუბიექტივისტურ-იდეალისტური თეორიები ნაირ-ნაირია. ისინი პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის საკითხზე სხვადასხვა თვალსაზრისით ოდნავ განსხვავებულ ვარიაციებს გვთავაზობენ და მსოფლიოში ანტიკომუნისმისა და „ანტისოციალისტის“ პროპაგანდას ემსახურება, მათი ამოსავალი წყარო და მეთოდოლოგიური დასაყრდენი იდეალიზმია.

ერთ-ერთი ბურჟუაზიული თეორია — ნეოპოზიტივისტური — ე. წ. „რეალისტური შემობრუნების“ პედაგოგიკურ თვალსაზრისს ემყარება. ამ თეორიის ლიდერები კონანტი, პიტერსი, ლეგრანი და სხვები პედაგოგიკის ფილოსოფიისაგან მოწყვეტას, პიროვნებისა და საზოგადოების კავშირის „უაზრობას“ ქადაგებენ. ამით ისინი მეცნიერების დედელოგიზაციას, ალზრდის „არაკლასობის“ ანტიმარქსისტულ პროპაგანდას ეწევიან. ნეოპოზიტივისტებს ბავშვისა და მოზარდის ალზრდის პროცესი მოაჩნიათ მათი ფორმირების გარეგან მხარედ, ფუნქციონალური მოდელირების სხვადასხვა სახის ძიებად, ფაქტების შესწავლის გზად, რომელსაც აღმზრდელობითი მოვლენების შესწავლისადმი კიბერნეტიკული მიდგომა ანახიათებს. თავის დროზე ე. ი. ლენინი მკაცრად აკრიტიკებდა ფილოსოფიურ პოზიტივიზმს, როგორც სუბიექტივისტურ-იდეალისტურ კონცეფციას, მეცნიერებისა და გამოცდილების ერთ ზოლიან სუბიექტურ შეგრძნებად, განცდებად, წარმოდგენებად გამოცხადების, საზოგადოებისა და ბუნების განვითარების ობიექტური კანონების უარყოფის გამო. ამ თეორიის წარმომადგენლები პედაგოგიკაში ბუნდოვნად განსაზღვრავენ პიროვნების როლს, მის დანიშნულებას, მოზარდი თაობის ალზრდის პრობლემებს თანამედროვე საზოგადოებაში. სწორედ ამით ელინდება ნეოპოზიტივიზმის იდეალისტური არსი, რომელიც უარყოფს პიროვნების ფორმირების ობიექტურ კანონებს, რადაც უნდა დაუჯდეს, ცდილობს დასაბუთოს ინდივიდის პიროვნულ თვისებათა და თავისებურებათა არსის ობიექტური შეცნობის (შესწავლისა და გაგების) შეუძლებლობა.

მეორე ბურჟუაზიული — ანთროპოლოგიკური მიმართულება პიროვნებას ბიოლოგიურ არსებად მიიჩნევს, რომელსაც კონკრეტულ ისტორიულ მოვლენებთან არავითარი კავშირი არ გააჩნია. (სერბერტის, ლიხერის და სხვები).

ანთროპოლოგიკების მტკიცებით, პიროვნების ცხოვრება საზოგადოებრივ წყობასთან, მის ეკონომიკურ განვითარებასა და ცვლილებებზე არაფრით არაა დამოკიდებული. ადამიანის არსი შეუცნობელია. იგი იზოლირებული პიროვნებაა, როგორც მხოლოდ თავისი ცხოვრებისა და თავისი თავის შემქმნელ-შემოქმედი. კულტურისა და მე-



ცნობების მიღწევების დაუფლებად აღამიანს არ სჭირდება სახელმწიფოს ან სხვა შუამავალი ორგანიზაციების დახმარება, ვინაიდან პიროვნება თვითონ არის საკუთარი ბედის მკვლელი. მისი აქტიურობა კანონის შესაბამისად ვითარდება, რომელიც თავიდანვე თვით მის პიროვნებაშია თანშობილ-ჩამარხული.

ზოგიერთი ანთროპოლოგისტი სკოლას თანამედროვეობისათვის შეუფერებელ დაწესებულებად მიიჩნევს, რომელიც თითქოსდა, „...შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს“. მათი აზრით, ბავშვები და მოზარდები თვით ცხოვრების მდინარეებში უნდა იზრდებოდნენ. საფრანგეთში ამ მიმართულების იდეების პროპაგანდას ეწევიან სარტრი, კამიუ, ინდიელ ტომებში — მარგარეტ შიდი, ღოროტილი და სხვები. ისინი აღტაცებით წერენ არგენტინაში და ფილიპინებზე ბავშვების „თავისუფალ აღზრდაზე“, სადაც მოზარდები თანდათანობით ძალდაუტანებლად ებმებიან მოზრდილთა შრომაში, ინაწილებენ სოფლებებს (ცხვრის მწყემსვა, ცხენის მოვლა-ტარება, თევზაობა, პატარებზე მზრუნველობა და სხვ.). არ ემორჩილებიან ხელოვნურად შექმნილ სტანდარტებს, თავისუფლად ვითარდებიან თავიანთი ბიოლოგიური კანონებისა და ბუნებრივი სოციალური ლემების შესაბამისად, რაც ესმარება მათ თავიანთი პიროვნების თვითგამოსახვაში. (იხ. მალკოვას სტატია კრებულში „თანამედროვე ბურჟუაზიული პედაგოგიკის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების კრიტიკა“. I ნაწ., მოსკოვი, 1974).

ანთროპოლოგისტურ შეხედულებაზე გავლენას ახდენს ე. წ. თავისუფალი აღზრდის თეორია, რომელიც ამცირებს სოციალური გარემოს, პედაგოგისა და სკოლის როლს მოზარდის პიროვნების ფორმირებაში; ქადაგებს სკოლის აპოლიტიკურობას, ეწევა სახელმწიფოსა და საზოგადოებისაგან აღმზრდელობით დაწესებულებათა იზოლირების პროპაგანდას, ატროფირებს პიროვნების შემოქმედებითი ძალების არსს, ხოლო ახალგაზრდობას შთააგონებს — თვითონ აირჩიონ თავისთვის სასურველი მსოფლმხედველობა, ოთხად ეს მიმართულება პოლიტიკისაგან იზოლირების, დეიდოლოგიზაციისა და საზოგადოებისაგან პიროვნების მოწყვეტის „დასაბუთების“ პროპაგანდას ეწევა.

უკანასკნელ ხანებში საზღვარგარეთის ქვეყნებში საკმაოდ ფართოდ გავრცელდა აგრეთვე უკიდურესი სუბექტივისტურ-იდეალისტური კონცეფცია — ეგზისტენციალიზმის თვალსაზრისი, რომელიც პიროვნების განუმეორებლობის, მისი „უნიკალურობის“ და „განსაკუთრებულობის“ იდეას ავითარებს.

აღზრდის დანიშნულება, ეგზისტენციალისტების აზრით, პიროვნებაში ამ „უნიკალური“ თავისებურებების შენარჩუნებაში მდგომარეობს. აღზრდამ ბავშვებს უნდა შთააგონოს და კიდევაც ასწავლოს განსაკუთრებული ხასიათის შენარჩუნება და თავისი საკუთარი პიროვნული „მე-ს“ ჩამოყალიბება. ასეთ პროცესში მასწავლებლისათვის საკმარისი არ არის არც აღზრდის კანონზომიერებათა გათვალისწინება, არც პროგრამები და არც სავანებო ღონისძიებათა მომარჩევა, არამედ მთავარია ინტუიცია, რომელსაც პედაგოგი ამ პროცესში ემყარება. რაკი ყოველი პიროვნება თავისი ზნეობის მატარებელია, ამიტომ იგი უარყოფს კოლექტივში და კოლექტივის მეშვეობით აღზრდას და მოითხოვს ბავშვის მიერ საკუთარი თავის საკუთარი ძალითვე ჩამოყალიბებას, თვითაღზრდას ან თვითჩამოყალიბებას. ეგზისტენციალისტური პედაგოგიკა ახალგაზრდობას გზას უხსნის ნარკომანიის, სულიერი დაცემისა და ზნეობრივი დეგრადაციისაკენ, რომელსაც კაპიტალიზმის მანკიერებანი განაპირობებენ.

ბავშვის პიროვნების პარმონიული განვითარების წინააღმდეგ არანაყლებ იბრძვის ნეოთომისტურ-რელიგიური მიმართულება, რომელიც მეცნიერებისა და რელიგიის „მოკავშირეობის“ ყალბ იდეას ქადაგებს. ნეოთომისტები (ეკ. მარიტენი და სხვ.) ბევრი

თანამედროვე ადამიანის ზნეობრივ დაქვეითებას ქრისტეს მოძღვრების დავიწყებით „ხსნის“. ამიტომ, ეს „ახალი მოძღვრება“ აღმზრდელთა მთავარ ამოცანად „ახალგაზრდა ქრისტიანების“ აღზრდას, რომელიც მოზარდს შთააგონებს „ღმერთთან სიახლოვის“, „ცოდნებისაგან განწმენდის“ აუცილებლობას, ხელს უწყობს მისი აზროვნების ჰუმანიზმობას და მორალურ ამაღლებას.

უმთავრესი მიზანი აღზრდისა, ნეოთომისტების მტკიცებით, პიროვნების სულიერი ქმნადობაა. სხვაგვარად, ეს არის მორალური (საიქიო) ცხოვრებისათვის ადამიანის მომზადება, რომლის სრულყოფა ამ მიზნით ქვეყანაზე ხდება. პიროვნების საბოლოო მომზადებითაა დაბრუნება, სადაც საიქიოში იგი რელიგიური აღზრდის მეშვეობით მორალურად „განსუბიექტებული“ ბრუნდება. ნეოთომისტები თავისი რეაქციულ-რელიგიური აღზრდის „თეორიას“ არამარტო სიტყვით, არამედ პრაქტიკული „საქმეებითაც“ ქადაგებენ. ისინი მოითხოვენ კლერიკალური სკოლების ქსელის გაფართოებას, ზოგადი განათლების სასწავლებლებში რელიგიისათვის საპატიო ადგილის დათმობას, ჰუმანიტარული საგნების გადღენთვის რელიგიური სულით და შუასაუკუნეობრივი აღზრდის იდეების რესტავრაციით თანამედროვე სკოლაში.

არც პრაგმატიზმის პედაგოგიური მიმდინარეობა ჩამორჩება ბურჟუაზიულ-რეაქციული იდეების გავრცელებისა და სინამდვილის კრიტიკულად „სარგებლოანობის პრინციპის“ დანერგვაში. ამ მიმდინარეობის სასარგებლო პროპაგანდას ეწევიან ჯონ ლუის მიმდევრები ჩაილდსი და ბრამელი, რომლებიც მორალური ნორმების სოციალური დეტერმინირების წინააღმდეგ ილაშქრებენ. მათი „მტკიცებით“, არ შეიძლება ზნეობრივი აღზრდა ეთიკის პრინციპებსა და წესებს დაეყაროს. ჰუმანიზმის წყარო პიროვნებაში უნდა ვეძიოთ და არა საზოგადოებაში.

პრაგმატიზმის წარმომადგენელთა აზრით, სკოლის დანიშნულებაა პიროვნების ქცევის ჩამოყალიბების მეთოდების შემუშავება, რომელიც ხელს უწყობს პიროვნების ადაპტირებას მრავალნაირ ან ყოველგვარ სიტუაციაში.

აღზრდა, მათი გაგებით, პიროვნების თვითგამორკვევის პროცესია, რადგან იგი მხოლოდ იმის გამოვლინებას ემსახურება, რაც ადამიანში თავიდანვეა მოცემული.

აღზრდა ბავშვისა და მოზარდის ბუნებრივ მონაცემებზე — ნიჭზე, უნარზე, ინსტიქტებზე, მოთხოვნილებებზე ახდენს ზეგავლენას და ბიძგს აძლევს მათ განვითარებას გარკვეული მიმართულებით.

მასწავლებლის დანიშნულებაა (სათანადო პირობების შექმნით) დაეხმაროს აღსაზრდელს შინაგანი ძალების, პიროვნული (ბუნებრივი) მონაცემების გამოვლინებასა და ინდივიდუალური მიდრეკილებების განვითარებაში.

ამრიგად, თანამედროვე პრაგმატიზმი პედაგოგიაში ანთროპოლოგიური მიმართულების გავლენით ვითარდება და თითქმის ანალოგიურ მოთხოვნებს აყენებს (სახოგადოების გავლენის უარყოფა აღზრდაზე, მისი იდეურ-პოლიტიკური და მორალური პრინციპების უგულვებელყოფა ახალგაზრდა თაობის აღზრდაში და სხვ.).

თანამედროვე პრაგმატიზმი კაპიტალიზმის პირშეშა, რომელიც სუბიექტივისტურ-იდეალისტურ იდეოლოგიას ემყარება, არ ცნობს პიროვნებაზე არავითარ აღმზრდელთა ზემოქმედებას, სკოლისა და მასწავლებლის მოვალეობად მიაჩნია ბავშვის ბუნებრივ მონაცემებზე ზედამხედველობა, მეგვიდრული თვისებების თვითგახსნის, თვითგანვითარებისა და თვითაღმოჩენისათვის ხელისშეწყობა, ამისათვის სათანადო პირობების შექმნა.

ზემოთ განხილული ბურჟუაზიულ-პედაგოგიურ მიმდინარეობათა ანალიზით დასტუ-

რდება, რომ მათ შეხედულებებს შორის ერთგვარი განსხვავების მიუხედავად, ისინი უკიდურეს სუბიექტურ-იდეალისტურ მეთოდოლოგიას ემყარებიან, რომელიც უარყოფს ადამიანის პიროვნების განსაზღვრულობას საზოგადოების ეკონომიკური, პოლიტიკური და იდეოლოგიური გავლენისაგან.

პიროვნება, ინდივიდი, მათი გაგებით, ერთმანეთისაგან იზოლირებული, საზოგადოების გავლენისაგან მოწყვეტილი, ბუნებრივი მონაცემებით განსხვავებული უნიკალური ერთეულები არიან, რომელთა განვითარება რაიმე საერთო კანონზომიერების ან აღზრდის ფაქტორის საერთო ზემოქმედებას არ ექვემდებარება. ადამიანი, პიროვნება, ძნელად შეცნობადი არსებაა, რადგან პიროვნული თვისებები განუმეორებელი, თავისთავადი, უნიკალური, სხვებისაგან განსხვავებულია, რომელიც მხოლოდ მის შინაგან „მეს“ გამოსახავს წარმოადგენს. აქედან: თითოეულის აღზრდა ინდივიდუალურად უნდა მოხდეს, რაც უარყოფს აღზრდის კანონზომიერების გათვალისწინების საჭიროებას და მასწავლებლის წამყვან როლს სწავლების პროცესში.

მთავარი დანიშნულება აღზრდისა, ბურჟუაზიული პედაგოგიკის გაგებით, პიროვნების თვითგამორკვევის პროცესისათვის სათანადო პირობების უზრუნველყოფა, მისი „თავისუფალი, შემოქმედებითი აქტიურობის“ განვითარებაა. მისი დევიზია გზა გადაულობის საზოგადოების ზეგავლენას პიროვნებაზე, „დაიცავს“ მოზარდები მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენისაგან, რომლებიც იწვევენ მათი „ბუნებრივი მონაცემების დამახინჯებას“, ჩამოაშოროს მოზარდები მოსწავლეთა კოლექტივების მანერ ზემოქმედებას.

მორალური ნორმები, პრინციპები და წესები, ისე როგორც „პიროვნების თავისებურებანი“, მათი მტკიცებით, მოწყვეტილია სინამდვილეს, აბსრაქტულია, არ გამოსატანს რეალურ ცხოვრებას.

ბურჟუაზიული-იდეალისტური „თეორიები“ „თავისუფალი შემოქმედებითი აქტიურობის“, „პუშმანური ადამიანური პრაქტიკის“, „ყოველი პიროვნების მიერ თავისი მსოფლმხედველობის თავისუფლად არჩევის“ და სხვათა შესახებ წმინდა წყლის რეაქციულ-ანარქისტული მოთხოვნებია, რომელთა ფართო პროპაგანდას (რადიოთი, ტელევიზიით, კინოთეატრებისა და კომუნიკაციის სხვა საშუალებათა გამოყენებით) დიდი ადგილი ეთმობა თანამედროვე კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ეს მიმდინარეობანი და მათი იდეოლოგიები გააფთრებულ ბრძოლას ეწევიან აღზრდის მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების, კერძოდ, სოციალისტური პედაგოგიკის დიდი-სოფიური საფუძვლების წინააღმდეგ.

ამრიგად, წინააღმდეგ სოციალისტური პედაგოგიკისა, ბურჟუაზიული პედაგოგიკის სხვადასხვა მიმდინარეობანი სხვადასხვა ფორმით მოზარდის პიროვნების „ბუნებრივ თვისებათა“ და უნიკალურ ინდივიდუალურ თავისებურებათა „თვითგანხილვის“, „თვითგანვითარებისა“ და „თვითმოქმედების“ შენობულ თუ აშკარა პროპაგანდას ეწევიან. უარყოფენ აღზრდის საზოგადოებრივი სისტემის აგების შესაძლებლობას, მოითხოვენ აღზრდის პროცესის დაქვემდებარებას „ეგზისტენციის“ ძალებისადმი, ზეშეგებისა და ქვეცნობიერისადმი, აზვიადებენ პიროვნების ბუნებრივი, მეგვიდრული „მონაცემების“ როლს ადამიანის განვითარებაში, ამცირებენ ორგანიზებული პედაგოგიური გარემოს, ბავშვთა კოლექტივისა და მასწავლებლის წამყვან როლს პიროვნების ყოველმხრივ ფორმირებაში.

მოსწავლის სულიერი სიმდიდრე

ყოველ დროსა და ეპოქაში ადამიანის მთავარ პიროვნულ და საზოგადოებრივ ღირსებებს შორის უმნიშვნელოვანეს ღირსებას სულიერი სიმდიდრე შეადგენდა. სულიერი სიმდიდრისათვის ბრძოლა კომუნისტური აღზრდის მთავარი საზრუნავი, ყოველმხრივ განვითარებული პიროვნების ფორმულირების ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია, სულიერი სიმდიდრის გარეშე წარმოუდგენელია თანამედროვე განათლებული ადამიანი.

ადამიანის სულიერი სიმდიდრე შრომითა და განათლებით იქმნება. შრომა არის ის უნივერსალური პროცესი, რომლითაც ადამიანი კაცობრიობის ბედნიერებისათვის გარდაქმნის ბუნებას, და გარდაქმნის და სრულყოფს საკუთარ თავსაც. პროდუქტიული შრომის გარეშე არ შექმნილა არავითარი კულტურული ღირებულება: შრომის გარეშე არ იქნებოდა ცივილიზაცია. ახალგაზრდობის შრომითი აღზრდის გაუმჯობესებით უნდა გაუმჯობესდეს კომუნალური მშენებლობის ყოველდღიური პრაქტიკა. ამ იდეით აწინსვამს გამსჭვალული ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებანი: მისი მიზანია ყოველმხრივ სრულყოფილი შრომითი და შემოქმედებითი ცხოვრებისათვის ახალგაზრდობის მომზადების მთელი სისტემა.

ვ. ი. ლენინი აღზრდის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად ახალგაზრდობის სულიერი სიმდიდრით აღჭურვას თვლიდა. სულიერი სიმდიდრისათვის ზრუნვა წითელ ზოლად გასდევს სკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „ახალგაზრდობის ზოგადი საშუალო განათლების შემდგომი სრულყოფისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის პირობების გაუმჯობესების შესახებ“, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა შესაბამისად არის შემუშავებული. მისი ერთ-ერთი ლაიტმოტივია „სულიერად მდიდარი, პარმონიულად განვითარებული, მაღალი ზნეობრივი იდეებისა და ესთეტიკური მოთხოვნილებების მქონე პიროვნების ჩამოყალიბება“.

რა ქმნის მოსწავლის სულიერ სიმდიდრეს და ვინ და როგორ უნდა უზრუნველყოს მისი განხორციელება? პირდაპირ ვიტყვით: — მოსწავლის (და არა მარტო მოსწავლის) სულიერ სიმდიდრეს წიგნზე მუშაობის კულტურა ქმნის. მოზარდმა და ჯაბუკმა ღრმად უნდა შეისისხსოვრონ წიგნიერი აზროვნების პირველადი ჩვევები და შემდეგ მთელი სიცოცხლის მანძილზე თანმიმდევრულად და სისტემატურად უნდა სრულყოფდნენ მას. სკოლამ და ოჯახმა, რაც შეიძლება, ადრეული ასაკიდან უნდა გამოუმუშაონ მოზარდს წიგნის კითხვის, აზრიანი ფიქრის, ჯანსაღი ოცნებისა და ჩვევის უნარი. განათლებულმა მკითხველმა ყოველთვის იცის რას კითხულობს, რისთვის კითხულობს, როგორი რეჟიმით კითხულობს.

წიგნის კითხვის კულტურის აღზრდა დახვეწილ, მეცნიერულად და მეთოდურად დასაბუთებულ პედაგოგიურ ხელმძღვანელობას მოითხოვს. პედაგოგიურმა ხელმძღვანელობამ უნდა უზრუნველყოს მოსწავლის გატაცება მიზანსწრაფული, შემოქმედებითი კითხვით. აქ, პირველ რიგში, მთავარია მშობლისა და მასწავლებლის პირადი მაგალითი. ოჯახის უფროსი წევრები წიგნით უნდა ცხოვრობდნენ, წიგნიერი უნდა იყოს მათი წერითი და ზეპირი მეტყველება: წიგნს ოჯახში გამორჩეული, საპატიო ადგილი უნდა ეკუთვნოდეს. საოჯახო ბიბლიოთეკის გამდიდრება და მოხმარება ერთ-ერთ მთავარ



საზრუნავს უნდა წარმოადგენდეს ოჯახის თითოეული წევრისათვის. ხოლო, რაც შეე-
ხება მასწავლებელს, მის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას უნდა წარმოადგენდეს მოსწავ-
ლეში წიგნიერების კულტურის აღზრდა. მაგრამ, ბევრ სკოლაში მოსწავლეთა წიგნი-
ერების კულტურისათვის ბრძოლა, სამწუხაროდ, მხოლოდ ჰუმანიტარული ციკლის სა-
გნების მასწავლებელთა ვალად არის მიჩნეული, მაშინ როცა ამ ამოცანის გადაწყ-
ვეტას უნდა ემსახურებოდეს ყველა საგნის მასწავლებელი. პირველ რიგში უნდა გა-
ნისაზღვროს მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებების შესატყვისი ენარი. კითხვა, სის-
ტემატური და თანმიმდევრული. მოსწავლემ უნდა დაიწყოს დაწყებით კლასებში და
ეს აუცილებლად უნდა იყოს ზღაპარი.

ზღაპარს სამართლიანად მიიჩნევენ ბავშვის აზროვნების, კეთილშობილური გრძნო-
ბებისა და მოსწრაფებების ცხოველყოფიელ წყაროდ. ვ. ა. სუხომლინსკი წერს: „ბავშ-
ვის გონებისა და გრძნობების მომცველი ცოცხალი, მაღალი ზღაპრის გარეშე შეუძლე-
ბელია წარმოვიდგინოთ ბავშვის აზროვნება და მეტყველება, როგორც ადამიანის აზ-
როვნებისა და მეტყველების გარკვეული საფეხური“.

ზღაპრის კითხვისადმი პედაგოგიური ხელმძღვანელობა გულისხმობს ზღაპრის ეან-
რისა და სახეების კლასიფიკაციის გათვალისწინებას და მის შეფარდებას მოსწავლის
ასაკისა და ინტელექტუალური განვითარების დონესთან. უმცროსი სასკოლო ასაკის
ბავშვების წიგნიერების აღზრდა მიზანშეწონილია დაიწყოს ცხოველთა ზღაპრების
კითხვით. შემდეგ, მოსწავლეთა ასაკობრივი და გონებრივი განვითარების შესაბამისად,
მათ უნდა მივაწოდოთ მისნური ანუ ჭადონსური, შემდეგ საყოფაცხოვრებო-რეალის-
ტური ზღაპრები, საგმირო ეპოსი და ბოლოს ლეგენდები. ასეთი თანმიმდევრობის დაც-
ვა, აუცილებელია, რადგან ზღაპრის კითხვამ მოსწავლეს უნდა განუვითაროს როგორც
მხატვრული წარმოსახვის უნარი, ისე პიროვნული დამოკიდებულება, ადამიანის დანი-
შნულების, სიკეთის წინაშე ადამიანის პასუხისმგებლობის შესახებ.

საშუალო სასკოლო ასაკის მოსწავლეთა სულიერი სიმდიდრის ფორმირების ძირი-
თად წყაროს კლასიკური მხატვრული ლიტერატურა უნდა წარმოადგენდეს. ლიტერა-
ტურა, — წერდა ბ. ბელინსკი, — ხალხის შეგნებაა, მისი სულიერი ცხოვრების ყველი
და ნაყოფია. ილია ჭავჭავაძემ კი ლიტერატურას ხალხის ჭკუა, ხალხის გონება, ფიქ-
რი, ჩვეულება და განათლების ხარისხი უწოდა. მოზარდსაც სწორედ ამ თვალსაზრი-
სით უნდა მივაწოდოთ კლასიკური ლიტერატურა და პირველი, ალბათ, რაც მას ყვე-
ლზე მეტად დააინტერესებს, გაიტაცებს — ეს იქნება სათავგადასავლო ენარის ლი-
ტერატურა. სათავგადასავლო ნაწარმოებები მდიდარია ყმაწვილის ცნობისმოყვარეობა-
სა და ფანტაზიის განვითარების შესაძლებლობებით. თითოეულ ჩვენგანს მთელი სიცო-
ცხლის მანძილზე თან ახლავს ბავშვობაში დანილ დეფოს, სერვანტესის, ეიულ გერ-
ნის, ალექსანდრე დიუმას, ჯეკ ლონდონის, ვალტერ სკოტისა და სხვათა სათავგადასავ-
ლო ნაწარმოებებიდან მღებული შთაბეჭდილებანი. ისინი ავსებენ ჩვენს სულს კაცთ-
მოყვარეობის, სიმაჟაცისა და კეთილშობილების ნათელი შუქით. ამ თვალსაზრისით
გამომცემლობა „ნაკადულმა“ უდიდესი სამსახური გაუწია სკოლას და ოჯახს სათავგა-
დასავლო ბიბლიოთეკის* მრავალტომეული სერიის გამოცემით. იგი მოიცავს მსოფლიო
და ქართული მწერლობის საუკეთესო ნიმუშებს და დიდი პოპულარობით სარგებლობს
ნორჩ მკითხველთა შორის.

საშუალო სასკოლო ასაკის მოსწავლე, გარდა ამისა, ინტერესით კითხულობს პი-
ონერული და კომკავშირული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე გამოქვეყნებულ ნაწარ-
მოებებს, მის ყურადღებას იპყრობს თანამედროვე მწერალთა ახალი გახმაურებული
ნაწარმოებები, ცხადია კითხვისადმი პედაგოგიური ხელმძღვანელობა ამ მომენტებსაც
უნდა მორიგდეს.



უფროს სასკოლო ასაკში მოსწავლის სულიერი კულტურის ერთერთ მნიშვნელოვან ელს წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევები წარმოადგენს. იმის მიხედვით, თუ რამდენადაა ისინი განვითარებული, შეგვიძლია ვიმსჯელოთ მოსწავლის წიგნიერების დონის, ზოგადი განათლების მასშტაბებსა და მისგან გამომდინარე შესაძლო ცხოვრებას და ეთიკურ შეხედულებათა ფორმირებაზე. ერთი სურვილი — გამოვუმუშავოთ მოსწავლეს კომუნიკტური ზნეობის მაღალი იდეალები, გავჩალოთ ის წიგნიერება და განათლებული, მაგრამ თუ ამ მიზან-ამოცანების გადაწყვეტის შესატყვისი მეთოდური რეკომენდაციები არ გვქმნება, ჩვენი მუშაობა უშედეგო იქნება. და, როგორც ყველა საქმეში. ისე წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა კითხვის საგანს ენიჭება. რა წაეკითხოთ, რისთვის წაეკითხოთ, რამდენი წაეკითხოთ — ყველა ეს კითხვა გულდასმით გააზრებას მოითხოვს აღმზრდელის მხრივ. პედაგოგიური დაკვირვება გვარწმუნებს, რომ უფროსი საშუალო სასკოლო ასაკის მოსწავლეთა გატაცების საგანს წარმოადგენს ლიტერატურა, რომელიც უწინარეს ყოვლისა პიროვნების ზნეობრივი გმირობა, მისი მეცნიერული და მოქალაქეობრივი მეობაა ასახული. ვისაც გულდასმით შეუესწავლია პროფესორ ი. მარიენკოს რედაქციით დამუშავებული „მოსწავლეთა აღზრდის სანიმუშო შინაარსი“, მისთვის გასაგებია თითოეული ასაკობრივი ჯგუფისა და მეტადრე უფროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებანი — გამოხატული თავისუფლების დამკვიდრებისადმი მისწრაფებაში. „რასია ცხოვრების აზრი?“, „რასი გამოიხატება ადამიანის ქეშმარიტი ბედნიერება?“, „როგორია ჩემი ნიჭი და შესაძლებლობანი?“, „რა არის ჩემი მოწოდება?“, — აი კითხვები, რომლებიც ღრმად აღელვებენ ქაბუკებსა და ქალიშვილებს. აღზრდის პროცესში აუცილებელია დავეხმაროთ უფროს მოსწავლეებს ამ კითხვებზე პასუხის მოძებნაში, რათა ყოველმხრივ მოვაზნადოთ ისინი შეგნებული შრომისა და აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობისთვის. ჩვენი აზრით, უფროსკლასელთა სულიერ სამყაროს მართვისა და სულიერი კულტურის ფორმირების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს რევოლუციის ბელადების, გამოჩენილ რევოლუციონერთა ბიოგრაფიები, მოგონებები მათ შესახებ და მეცნიერულ-პუბლიცისტური სერია „გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება“.

ამ წერილში ჩვენ არაფერი გვიოქვამს კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის შესახებ, რომლის ნუსხა თითოეული კლასის მიხედვით ქართული ლიტერატურის სასწავლო პროგრამას თან ერთვის, და რომლის წაკითხვას პროგრამული მასალის გაღრმავებული შესწავლის მიზანი გააჩნია. საგნის მასწავლებელმა აქაც გამპრაიხბოთა და მიზანსწრაფვით უნდა იხელმძღვანელოს. მთავარია არა შინაარსი, არამედ დამოკიდებულების გამომუშავება, პიროვნული ხასიათის ფორმირება. ამ თვალსაზრისით, აღბათ, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის რეფორმის პროცესში საჭირო იქნება ახლებურად გადაწყდეს პროგრამით გათვალისწინებული კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის შერჩევა.

მოსწავლე ახალგაზრდობის სულიერი სიმდიდრის ფორმირების შემდგომ დიდმნიშვნელოვან ეტაპს მწერლის ინდივიდუალურ მხატვრულ სამყაროზე დაკვირვების უნარ-ჩვევების გამომუშავება წარმოადგენს. სკოლამ ქაბუკი მიზანდასახულად უნდა მოამზადოს ლიტერატურული კითხვის ამ ახალი ეტაპისათვის, რომელსაც ჩვენ პირობითად „მწერლის წაკითხვას“ ვუწოდებთ და ვგულისხმობთ მწერლის შემოქმედების წაკითხვას მისი მრავალტომეული გამოცემის მიხედვით. ასეთი წაკითხვა მკითხველს საფუძვლიანად აზიარებს მწერლის სამყაროს, ზოლო როცა ჩვენ შეგვიძლია დავაკვირდეთ, ამოვიცნოთ და გამოვარჩიოთ კლასიკოსი მწერალი თემათა და ორიგინალური მხატვრული ოსტატობის მიხედვით, მაშინ ჩვენთვის მთლიანად გასაგებო ხდება ამ მწერლის

იღუპრი სამყაროც, რომელიც უშრეტ წყაროს წარმოადგენს თითოეული ჩვენთაგანის სულიერი სამყაროს გამდიდრებისათვის.

სულიერად მდიდარი ადამიანი საზოგადოების მშვენება და ძალაა. ის მუდამ კაცობრიობის ბედნიერებაზე ფიქრობს, იბრძვის სიყვითის დაშვიდრებისათვის. მაგრამ, როცა ადამიანი შოკლებულია კეშმარიტ სულიერ სიმდიდრეს, ის ჯერ ეგოისტად და შუბრან კაცად იქცევა, შემდეგ დამნაშავედ: სულიერი სილატაკე ყოველგვარ დანიშნულებათა წყაროა. სულიერი სილატაკე უბიძგებს ადამიანს ნარკომანიისა და სხვა სოციალური დანაშაულობისაკენ. იმედისა და ხალისიანი განწყობილების შეგარძნებისათვის ხელოვნური საშუალებების გამოყენება შინაგანად ღარიბი ადამიანის საქმეა. ამიტომ იყო, რომ კომკავშირის XIX ყრილობაზე სსრ კავშირის შეცხოვრებათა აკადემიის პრეზიდენტი ა. ალექსანდროვი საგანგებოდ ამხვილებდა ჩვენი ახალგაზრდობის ყურადღებას შინაგანი სულიერი სიმდიდრის შეძენის აუცილებლობაზე და, კერძოდ, ამბობდა: ჩვენს დროში ღრმა აზრით არის გამსჭვალული ლოზუნგი „ყველაფერი ადამიანებისათვის, ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობისათვის“. ზოგჯერ ფიქრობენ, რომ ამ ლოზუნგით განსაზღვრულია უმთავრესად მატერიალური მხარე. მაგრამ ამ ლოზუნგის შინაარსი ხომ გაცილებით უფრო ფართოა და თქვენ მეტად გაადარიბებთ ცხოვრებას, თუ ამ ლოზუნგს მხოლოდ მატერიალური თვალსაზრისით გაიხარებთ.... განავითარეთ თქვენი სულიერი შესაძლებლობები, ნუ გაიძარცვავთ თავს, ნუ მოიკლებთ იმ უდიდეს სიმდიდრეს, რომელიც უფროს თაობას შეუქმნია. დაეუფლეთ ყველა სახეობის შემოქმედებას და ბედნიერ ცხოვრებას შეიქმნით.

ჩვენი თანატოლბატონები

თეიმურაზ მორგოვია

ახალგაზრდა მეცნიერი

გაზეთ „კომუნისტში“ ასეთი ინფორმაცია წავეყიბე: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით, ქიმიისა და ფიზიკის დარგში ნაშრომთა ციკლისათვის „არაორგანული და ორგანული ქაჭვების შემცველი პოლიმერების სინთეზი მნიშვნელოვანი“ და კომპლექსური თვისებების მქონე მასალების შესაქმნელად“ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ლოტარ ხანანაშვილს, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატებს, დოცენტებს ომარ მუქბანიანს, ვაჟა ცხოვრებაშვილს და ლიანა ნაკაიძეს მიენიჭათ პ. მელიქიშვილის სახელობის პრემია.

სომართლე გიოზრათ, მაშინ განსაკუთრებული ყურადღება არ მიმიქცევია ამ ინფორმაციისათვის, ბათუმში ყოფნისას მეგობარმა კოლეგამ მითხრა, ლიანა ნაკაიძე ბათუმელია...

და აი, თბილისში, ატენის ქუჩაზე ვარ, სადაც ლიანა ნაკაიძე ცხოვრობს. მასპინძე-



ლი თავდაპირველად შეცბა, ალბათ, ჩემს სტუმრობას არ ელოდა, მაგრამ შემდეგ საუბარი თანდათან აეწყო.

ყველას კარგად მოგახსენებთ, რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ოჯახს ახალგაზრდის ჩამოყალიბება-აღზრდაში. ეუსმენდი ლიანას და ვგრძნობდი, რა სიყვარულით, მაღლიერების გრძნობით ლაპარაკობდა მშობლებზე, წინაპრებზე.

ალბათ, ბევრ თქვენგანს უთუოდ გაგებული ექნება გულო კაიკაციშვილის სახელი. იგი ლიანას ბაბუა იყო. გულო კაიკაციშვილი უღარესად განათლებული, ერუდირებული პიროვნება გახლდათ, მას ახლო ურთიერთობა აკავშირებდა იმ დროის გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეებთან, მათ შორის ზაქარია ჭიჭინაძესთან. ხშირად აქვეყნებდა წერილებს, სტატიებს, ნარკვევებს „ივერიაში“. აკაკი წერეთლის დაკრძალვაზე მისი სიტყვა დღეს საყოველთაოდაა ცნობილი.

თავის დროზე აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდნენ ლიანას მამა და ბიძა. მამა ირაკლი ნაკაიძე 1946-49 წლებში იყო აჭარის ასსრ განათლების მინისტრი, ხოლო წლების განმავლობაში შ. რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პრორექტორი. ბიძა ხუსეინი 1930-33 წლებში მუშაობდა აჭარის ასსრ განათლების კომისრად, შემდეგ ინსტიტუტის დირექტორი იყო.

და აი, ასეთ ოჯახში ჩაეყარა საფუძველი მის მომავალ გატაცებას — მეცნიერებისადმი სიყვარულს.

№ 1 საშუალო სკოლაში სწავლობდა. ქიმიის მეცნიერების საფუძვლებს რომ დაეუფლეთ, — იგონებს ლიანა, — ამაში დიდი დამსახურება მიუძღვის პედაგოგ სემეით ვარშანიძეს. მან შემაყვარა ეს საგანი, პატივცემული სემეითი პრინციპული, მომთხოვნი, სამართლიანი და მოსწავლეთა საყვარელ პედაგოგად დარჩა ჩემს მეხსიერებაში. მის რჩევა-დარიგებებს მუდამ ვითვალისწინებდი. აქტიურად ემონაწილეობდი სკოლაში გამართულ კითხვა-პასუხის საღამოებში.

საშუალო სკოლის ოქროს მედლით დამთავრების შემდეგ 1958 წელს, უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. თავდაპირველად გაუჭირდა მშობლებთან, საყვარელ ბათუმთან დაშორება, მაგრამ თანდათან მიეჩვიო, სტუდენტური ცხოვრების ფერხულში ჩაება. წარჩინებით სწავლობდა, მეორე და მესამე კურსზე პ. მელიქიშვილის სახელობის სტიპენდიანტი იყო, მეოთხესა და მეხუთეზე — ლენინური.

სამეცნიერო მუშაობაშიც აქტიურად ჩაება. მონაწილეობდა საუნივერსიტეტო, რესპუბლიკურ და საკავშირო კონფერენციებში. მისი თემები ყოველთვის მოწონებით სარგებლობდა, დიპლომებსა და სიგელებს იმსახურებდა, სტუდენტობის წლებში სამი სხვადასხვა დიპლომი აქვს მიღებული.

— მეცნიერებისადმი სიყვარული უნივერსიტეტში ქიმიის მეცნიერებათა დოქტორმა, ჩვენი ქალაქის მკვიდრმა, პროფესორმა ალექსანდრე ნოღაიდელმა ჩამინერგა, — ამბობს ლიანა, — პატივცემული ალექსანდრე უღარესად კეთილი კაცი იყო. თუ კი რაიმეს მივალწვი, პირველ რიგში მას ვუმაღლი.

1964 წელს წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტი, სადიპლომო თემა შეუქმნა. დაიწყო ახალი პერიოდი მის ცხოვრებაში. 1965 წელს ასპირანტურაში ჩაირიცხა და წარმატებით დაამთავრა. ეს იყო ძიების წლები. გულმოდგინედ ჩაჰყრიტებდა წიგნებს, ეთათბირებოდა თავის საყვარელ მეცნიერ-ხელმძღვანელს. მიზნის მისაღწევად მრავალი სიძნელე გადალახა.

ბეჯითად, ნაყოფიერად მუშაობდა სადისერტაციო თემაზე ალექსანდრე ნოღაიდელის და საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერის კუზმა ანდრიანოვის ხელმძღვანელობით. 1969 წელს ლიანა ნაკაიძემ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და იმ



წლიდან მოყოლებული, ნაყოფიერად მუშაობს კათედრაზე. დღეისათვის 40-ზე მეტ მცენერულ შრომა აქვს გამოქვეყნებული.

ოაც შეეხება საზოგადოებრივ მოღვაწეობას, სკოლაში სწავლისა დროს კომპაგზორის კომიტეტის მდივანი იყო, 1970-74 წლებში ახალგაზრდა მცენეროთა საბჭოს თავმჯდომარე, უნივერსიტეტის კომპაგზორის კომიტეტის მდივნის მოადგილე, ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის კომპაგზორის რაიკომის ბიუროს წევრი, ათი წლის განმავლობაში — ქიმიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე.

1971 წელი ძალზე ღირსშესანიშნავი იყო მის ცხოვრებაში. მათემატიკისმა გურამ ლათაძემ და ლიანა ნაყაიძემ ტკბილი, მოსიყვარულე ოჯახი შექმნეს. ოჯახის პირველი სიზარტული — საყვარელი ბაბუას სენზია ირაკლი იყო, მალე მეორე ვაჟი — ნიკოლოზი დაიბადა. ირაკლი ახლა თორმეტი წლისაა, საქართველოს ისტორია იზიდავს და მისი მკვლევარი უნდა გამოვიდეთ, — ოცნებობს, ნიკოლოზი და ჯერ მესამე კლასშია და მის გატაცებაზე საუბარი ცხადია, ადრეა.

ვეწვევდით ახალგაზრდა მცენერს. კმაყოფილი ვარ, რომ საშუალება მეძლევა ბათუმელებს გაეაცნო მათი ღირსეული თანაქალაქელი ლიანა ნაყაიძე. რამდენად შეეძლო ეს, მკითხველმა განსაჯოს, პირადად მე, კმაყოფილი ვარ, რადგან ჩემს ნაცნობთა წრეს კიდევ ერთი ღირსეული პიროვნება შეემატა...

სამშობლოს დამახილზე

ანთიმოზ და მარიამ ელბაქიძეებმა სამშობლოს 9 შვილი — შვიდი ვაჟი და ორი ქალი აღუზარდეს. მათი სახელოვანი ბიძა — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის თავდადებული მეზობელი არაკლი ელბაქიძე ძმისშვილებს მუდამ შეახსენებდა რევოლუციის საქმისადმი ერთგულებას, და ისინიც ერთგულნი დარჩნენ. დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში შეწყდა სამი ძმა ელბაქიძის გულისცემა. მათ არც თავი შეუტრცხენიათ და არც სამშობლო.

1974 წლის სექტემბრის ბოლო რიცხვებში ბათუმში მცხოვრებ გადამდგარ მაიორ ავაკი ელბაქიძის ოჯახმა კალუგის ოლქის ბუხლოვცის რაიონის სოფელ ჩუბაროვიდან დაეძემა მიიღო, რომელიც იუწყებოდა:

„1974 წლის 1 ოქტომბერს ჩვენი სოფლის ძმათა სასაფლაოზე, სადაც თქვენი ძმა ნენედიქტე ანთიმოზის ძე ელბაქიძე განისვენებს, გაიხსნება ძეგლი. გთხოვთ დაეწყოთ საზეიმო ცერემონია. წითელი კვალმაძიებლები“.

კალუგისა და ხმელნიკის ოლქებში გაემგზავრნენ შინმოსუცლელთა დამძანი და ნათესავები: ბათუმიდან — ავაკი, თბილისიდან — პენსიონერი ივანე, სოჭიდან — გადამდგარი პოდპოლკოვნიკი მიხეილ, ქუთაისიდან — საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი ლიუდმილა და მისი მეუღლე — მხატვარი გიორგი შარაბიძე. მოსკოვში მათ შეუერთდა შინმოსუცლელთა ბიძაშვილი სკულპტორი დიმიტრი ელბაქიძე.

სოფელ ჩუბაროვის სამომ საფლავს საკმაოდ დიდი ტერიტორია უჭირავს, შუაში აგებულია ობელისკი, რომლის თავზეც ხუთქიმიანი ვარსკვლავია. ქვემოთ კი წარწერაა:

„აქ განისვენებენ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვისათვის წარმოებული თავდაცვითი ბრძოლების მონაწილენი“. ძეგლის წინ სამი შემორიბილი დაფაა, რომლებზეც ამოკვეთილია 271 დაღუპული მეომრის გვარი, სახელი, მამის სახელი. მეორე შუა დაფაზე მეცამეტე ნომრით წარმოდგენილია ბენედიქტე ანთიმოზის ძე ელბაქიძე.

შინმოსუცლელი ვაჟაკის მახლობლებმა ქართული მიწა მოაპნიეს სამომ საფლავს.

მათ ფირზე აღბეჭდეს მიტინგი, ეწეივნენ იმ ადგილებს, სადაც იბრძოდა და გმირულად დაიღუპა ბენედიქტი. ჩუბაროვის საშუალო სკოლისა და ნიენენსკის სკოლა-ინტერნატის მუზეუმებს გადასცეს ომში დაღუპული ძმების — ბენედიქტი, პლატონ და არჩილ ელბაქიძეების ფოტოსურათები, ხოლო ნიენენსკის საბრძოლო დიდების მუზეუმს — მხატვარ გიორგი შარაბიძის მიერ სახელდახელოდ შესრულებული ფერწერული ტილო, რომელზეც ასახულია ჩუბაროვის გმირთა ძეგლი.

მოქანდაკე დიმიტრი ელბაქიძემ ამ მუზეუმს საზეიმო ვითარებაში გადასცა მეზუ-ჟე საპაერო სადესანტო კორპუსის მეთაურის ს. გურაევის, მხედართმთავრების პეტრე ბაგრატიონის, გიორგი ჟუკოვისა და კონსტანტინე ლესელიძის ბიუსტები. კრასილოვსკის საბრძოლო დიდების მუზეუმში სტუმრებმა სიამაყით შე-იჩვენეს, რომ რთული დავალებს სანიმუშოდ შესრულებისათვის ბ. ელბაქიძე სიყვ-დილის შემდეგ სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით დაუჯილდოვებიათ. ამ მუზეუმსაც სამახსოვრო საჩუქრად გადაეცა შინამოსვლელი ძმების ფოტოსურათები.

ანთიმოზ ელბაქიძის დიდი ოჯახს ერთი წეერი — გადამდგარი მაიორი აკაკი, ბა-თუმში ცხოვრობს და ბუერს აკეთებს მომავალი თაობის, ჩვენი სახელოვანი ახალგაზრ-დობის პატრიოტული სულისკეთებით აღსაზრდელად.

იასონ ცერცვაძე

სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოების წევრი,
გადამდგარი მაიორი



ალექსანდრე ანანიძე

სამხმენი

სამხმირონი

განა ეგ არის კაცობა,
ლხინი რომ გაყვარს

„ზღაპრული“,

კაცმა კაცს რითი აჯობა?

— ქვეყანა უყვარს ზღვა გულით.
შენ კი რა ღმერთი გაგიწერა,
ღვინოს აჩუქე ნამუსი,
წყურვილი აღარ დაგიცხრა,
დაგიმეგობრდა ბახუსი.

— მასვით, მაჭამეთ, მალხინეთ! —
ხმაჩახლეჩილი ღრიალებს,
არ არჩევ ვაზას, სახილეს,
ჭიქებს, ყანწებს და ფიალებს.
საქმეებს შენს საგმიროსა
სხვები ყვებიან არაკად,
საფიცრად ღვინო გაგიზდა
და შეეწირე ზვარაკად.

გუგაზ მებრაღიძე

რუსული საბჭოთა დრამატურგია ბათუმის თეატრის სცენაზე

წიგნი I

ქართულ თეატრში რუსული საბჭოთა დრამატურგიისადმი ინტერესი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე გამოვლინდა, მაგრამ იმჟამად არსებული მეტად რთული სოციალ-პოლიტიკური ვითარება ხელს ვერ უწყობდა თეატრალური ხელოვნების განვითარებას. ამ მხრივ ბათუმში მშენი განსაკუთრებულად არახელსაყრელი პირობები იყო შექმნილი.

უცხოელი დამპყრობლები ცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ სტრატეგიულად მოხერხებული ნავსადგური და ექციათ იგი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შემდგომი ბრძოლის პლაცდარმად. ამიტომ აქ ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ოსმალეთის, ინგლისის, დენიკინის ჯარები. მხოლოდ 1921 წ. 18 მარტიდან, როცა ხელისუფლება საბჭოთა საქართველოს ხელში გადავიდა, ბათუმს შესაძლებლობა მიეცა მოეშუშებინა უცხოელთა თარეშით მიყენებული ჭრილობები და იგი სოციალისტური განვითარების ფართო გზაზე გამოეღო, მაგრამ თეატრალური დასის დაუყოვნებლივი აღდგენა, რასაკერვლაც, დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული.

პირველ ხანებში თეატრის შენობაში ჯარის ნაწილი იდგა. უმუშევრად დარჩენილი დასი დაიშალა, მსახიობებიც სხვადასხვა თეატრებში გაიფანტნენ.

აღგებობრივი გაზეთი „უწყებები“ (№ 4, 1921 წ. 23 მარტი), იტყობინებოდა, რომ „სათეატრო შენობების ჯარის ნაწილისაგან განთავისუფლებისთანავე ქ. ბათუმში დაუყოვნებლივ შეუდგებიან წარმოდგენების განახლებას“, და რომ მუშური ხელოვნების განყოფილება ახდინს დრამისა და ოპერის მსახიობთა სრულ რეგისტრაციას და საზოგადოდ იმ პირებისაც, რომელთაც რაიმე დამოკიდებულება ჰქონდათ ხელოვნებასთან.

მოგვიანებით იგივე გაზეთი (№ 9, 1921 წ. 30 მარტი) იტყობინებოდა „სათეატრო ცხოვრების განახლება ქ. ბათუმში მიდის სწრაფი ნაბიჯით... მთელი სათეატრო საქმის მოგვარება დაკისრებული აქვს მოსკოვის მხატვის არტისტს მიხაილოვსკის. მუშაობა დიდ შედეგებს იძლევა. სათეატრო შენობები უკვე განთავისუფლებულია და დაიწყო წარმოდგენები“.

რევკომის დადგენილებით, თეატრალური განყოფილება, რომელიც იმყოფებოდა საოლქო სამხედრო კომისარიატის გამგებლობაში, გადაეცა სახალხო განათლების ხელოვნების განყოფილებას.

1921 წ. 11 აპრილს ხელოვნების განყოფილების გამგე აშხ. ნაკაშიძე ესაუბრა საქართველოს რევკომის საგანგებო რწმუნებულს ს. ქავთარაძეს, რომელმაც აღნიშნა:

ლგბელია თეატრალურობა... თეატრალურობას აუცილებლად უნდა ჰქონდეს აზრი, ცხოველი და თანამედროვე, ეპოქის მაჩვენებლის ამსახველი... „თითოეული დადგმა, ხორციელებული იქნება ჩვენს მიერ ახალი მიდგომით, ახალი ინტერპრეტაციით და ახალ ფორმებში...“ რაც თეატრის მთლიან რეფორმაში უნდა გამოხატულიყო. (იხ. ბიბლიოგრაფია ბათუმის თეატრზე. საქართველოს თეატრის, მუსიკისა და კინოს სახ. მე-ხეშემოდო. ფონდი 11, საქმე 48, № 17391, გვ. 119, 120).

ამ სეზონამდე ბათუმის თეატრი ვერ ასახავდა თანამედროვეობის რევოლუციურ განწყობილებას, არ ჩანდა თანამედროვე გმირის აქტიური ცხოვრება. ამ პრობლემებს თეატრმა ნაწილობრივ თავი დააღწია ს. ტრეტიაკოვის პიესის „იღრიალე, ჩინეთის“ დადგმით. ამ პიესით ავტორმა, ერთ-ერთმა პირველთაგანმა, შემოიტანა ჩინეთის თემა საბჭოთა ლიტერატურაში. ეს რევოლუციურ-საავტორო ხასიათის პიესა აქტუალური იყო თავისი რევოლუციური განწყობით; მასში ისტორიულ-სოციალური დრამის სახით ასახულია ჩინელი ხალხის ცხოვრების ერთი ეპიზოდი — ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყება ინგლისელი იმპერიალისტების წინააღმდეგ.

პიესის დაბულა ადგმულია ნამდვილ ამბებზე. 1923 წელს, ერთი ამერიკელის შემთხვევით დაღუპვისათვის, ინგლისის გემის კაპიტნის მოთხოვნით, დასაჯენ ორი უდანაშაულო მენავე.

ს. ტრეტიაკოვი გრძელი მონოლოგების ნაცვლად გვთავაზობს რამოდენიმე სიტყვას, მაგრამ ეს მოკლედ თქმული დინამიური ფრაზა მდიდარია შინაგანი ტევადობით. პიესაში მთავარი და გამოკვეთილი როლები არ არის. ყველა მოქმედი პირი რელიეფური ფიგურაა. სწორედ ამ საერთო განწყობით აღწევს მწერალი გმირების სულისკვეთების გადმოცემას.

პიესა პირველად 1926 წ. იანვარში დადგა რეჟისორმა ე. ფეოდოროვმა მეიზნოლდის თეატრში, ხოლო ბათუმში პრემიერა იმავე წლის 17 მარტს შედგა.

პიესის სიუჟეტურ განვითარებაში იკვეთება ხალხის რევოლუციური აღტყინების ძალა, რაც მომავალი გამარჯვების უტყუარი ნიშანია. ამიტომ აქლერდა სპექტაკლი დროის თანხმობით.

თეატრისათვის არ იყო იოლი ამ სპექტაკლის განხორციელება, რადგან პიესა მოითხოვდა გაცილებით მეტ შემსრულებელს, ვიდრე დასს გააჩნდა. სცენის სიმიკრისა და ტექნიკურად გაუმართაობის მიუხედავად, დამდგმელმა კოლექტივმა შესძლო სპექტაკლის მაღალმხატვრულად განხორციელება. როგორც წყაროები გვიდასტურებს, პატარა სცენაზე მოთავსებული იყო ოთხსართულიანი გემის მაკეტი, მის ყველა სართულზე მიმდინარეობდა მოქმედება. ეფექტურად ყოფილა გაკეთებული სივრცე ზღვასა და ნაპირს შორის, რომელიც ზვირთების სრულ ილუზიას ქმნიდა.

სპექტაკლის შესახებ გაზეთი „ფუხარა“ (№ 62, 1927 წ. 20 მარტი) წერდა: „...ბათუმის სცენაზე დადგმული „იღრიალე ჩინეთი!“ ჩვენ მიერ შეფასებულ უნდა იქნეს როგორც ქართული თეატრის დიდი რეჟისორულ-მხატვრული მიღწევა... მთელი მოქმედება წარმოადგენს მოძრაობის ერთ შეუჩეხებელ ნაკადს. თანდათანობით იზრდება რკალები, თანაზომიერად მწიფდება კოლიზია და სპექტაკლის მიწურულში ნერვების დაჭიმვა აოგვას აღწევს... არის ადგილები, სადაც მაყურებელს ჟრუანტელი უვლის“.

პიესა განსაკუთრებულად აღნიშნავდა მასობრივ სცენებს, სპექტაკლის კომპოზიციურ წყობას, კონტრასტულ-ეფექტურ ჩარჩოს, სცენების რეჟისორულ დამუშავებას, რითაც სპექტაკლი მკვეთრად გამოირჩეოდა წინა სეზონების დადგმებისაგან.

რეჟისორული ხელწერის ერთ-ერთ ეპიზოდს აღწევს შ. დადიანი თავის მოხსენებაში „პროვინციაში მხატვრული ცხოვრების შესახებ“: „იღრიალე ჩინეთში“ განსაკუთრებული შთაბეჭდილება დანტოვა იმ ადგილმა, როცა სტუდენტი თარჯიმანი მოაგონებს

კაპიტანს, რომ თუ ის ხელს არ აიღებს ჩინელების შევიწროებაზე, აცნობებს მტერი ქვეყნის მუშებსა და მათ პრემიერ მაკდონალდს... კაპიტანის თავხედური ულტიმატუმი ზიზისა და აღელვებას იწვევს მაყურებელში (გუგუნი დარბაზში, დრტვინვა). ბიბლიო-გრაფია ბათუმის თეატრზე. საქართველოს თეატრის, მუსიკისა და კინოს სახ. მუზეუმი, ფონდი 11, საქმე 48; № 17391, გვ. 113).

თვით ეს ეპიზოდი მეტყველებს სპექტაკლის იმ დიდ ემოციურ ზეგავლენაზე, რომელსაც იგი ახდენდა მაყურებელზე თავისი მაღალმხატვრული შესრულებით.

სამსახიობო შესრულების შესახებ იგივე გაზეთი (№ 76, 1927 წ.) წერდა: „მგმს-რულებელთა შორის კ. მაქარაძემ ყველაზე უკეთ დასძლია თავისი როლი. ის გვაძლევს თავხედ და უსამართლო ინგლისელი კაპიტანის ტიპს.

კარგად ასრულებს ბოის როლს ა. ტურაშვილის ქალი. კარგია გ. ლაღიძე კორტეს-ბონდენტის როლში. ა. მაღლაკელიძე ჩინებულად იძლევა ჩინელი სტუდენტის ტიპს, რომელიც ევროპაში აღზრდილა და თავის ქვეყანაში დაბრუნებისას მთელი თავისი ენერგიით ებრძვის ინგლისის იმპერიალისტების ძალადობას“.

რეჟისორული გადაწყვეტით და სამსახიობო ანსამბლით სპექტაკლმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ბათუმის თეატრის იდეურ-მხატვრული პოზიციის ჩამოყალიბებაში და თანამედროვე რეპერტუარის ასეთი შერჩევით დაეხმარა კოლექტივს მაყურებლის მიზიდვაში.


მომდევნო სეზონში თეატრმა რეპერტუარი გაამდიდრა საბჭოთა კლასიკური დრამატურგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პიესით — ბ. ლავერნიოვის „რღვევით“. ბათუმის თეატრი გახდა რევოლუციური თემატიკის, რუსული საბჭოთა დრამატურგიის ნიმუშების პირველი დამდგმელი საქართველოში.

სპექტაკლის პრემიერა 1928 წლის 15 იანვარს შედგა „იერიშის“ სახელწოდებით, ეს იყო თეატრის კიდევ ერთი გამარჯვება რევოლუციური თემატიკისა და რუსული საბჭოთა დრამატურგიის ათვისების საქმეში, რითაც იგი თანამედროვეობის აქტუალურ საკითხს ეხმაურებოდა. ამიტომ პრესაც აღნიშნავდა: „...რამდენად ძლიერი და მძაფრია პიესა, იმდენად მსახიობებმა შესძლეს ყველა მომენტის სავსებით დაპყრობა და პიესის საუკუნო ხელში ჩაგდება... პიესის გამარჯვება განაპირობა მთლიანმა კოლექტიურმა ძალამ და მათ მიერ შექმნილმა საუკეთესო ანსამბლმა. სარეჟისორო ნაწილიც არ წარმოადგენდა გამონაკლისს საერთო კოლექტიური ძალიდან“ (გაზ. „ფუნარა“, № 113, 1928 წ. 17 იანვარი).

ამასთანავე პრესა აღნიშნავდა, რომ ფინალურ სცენაში დროშის აფრიალება ვერცმნიდა სასურველ ეფექტს და სპექტაკლს თავიდანვე შექმნილი დაძაბულობა და ემოციურობა აკლდებოდა.

სპექტაკლში მთავარ როლებს საინტერესოდ ასრულებდნენ კ. მაქარაძე, (არტემ გოდუნი), ე. ანჯაფარიძე (ტატიანა), შ. ბეჟუაშვილი (კაპიტან ბერსენევი), ნ. გომიშვილი (ფონ შტუბე).

სპექტაკლის შესახებ ე. ანჯაფარიძე იგონებს: „აკაკი ფაღავამ მიმიწვია ბათუმში... სპექტაკლი ბრწყინვალე იყო. ძალიან ბევრი იყო ქება რუსეთიდან ჩამოსული ამხანაგებიდანაც...“ (ნ. შვანგრაძე, „აკაკი ფაღავა“. გვ. 21. თბილისი, 1969 წ.)



ზურაზ სურგანიძე

ევროპული რომანის სათავეებთან

მხატვრულ-კუბლიცისტური ჟანრების განვითარების
თავისებურებანი განმანათლებელთა ეპოქის
ინტელისში

მსოფლიო ლიტერატურაში, კერძოდ დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში, თვალსაჩინო როლი შეასრულა XVIII საუკუნის ინგლისურმა ლიტერატურამ, რომელიც განმანათლებელთა ეპოქის იდეებისა და წინა საუკუნის მძლავრი სოციალურ-პოლიტიკური ძვრების გავლენით ვითარდებოდა. ამ ეპოქის წარმომადგენლები საზოგადოების გარდაქმნის ძირითად საშუალებად განათლებას თვლიდნენ. განმანათლებელთა პროგრამა ენგელსმა შემდეგნაირად გამოხატა: ისინი არავითარ ავტორიტეტებს არ ცნობდნენ. რელიგია, შეხედულებანი ბუნებაზე, საზოგადოებასა და სახელმწიფოზე — ყველაფერი კრიტიკის ქარ-ცეცხლში ტარდებოდა, ყველაფერი გონების სამსჯავროზე გამოდიოდა და გაადგურებას ექვემდებარებოდა, თუ გონივრულად არ ჩაოვდებოდა. გონება იყო ერთადერთი საზომი, რის მიხედვითაც ფასდებოდა ყველაფერი. ფ. ენგელსის სიტყვებითვე, გონების ეს მეფობა მხოლოდ და მხოლოდ ბურჟუაზიის იდეალიზებულ მეფობას წარმოადგენდა.

პოპი და ადისონი, დეფო სვიფტი, რიჩარდსონი და ფილდინგი, გოლდსმითი და სტერნი სხვადასხვა საშუალებით წარმოგვიდგენდნენ ამ პროგრამას. ყველაფერი ეს ხელს უწყობდა XVIII საუკუნის ინგლისური ლიტერატურის აყვავებას, ახალი ჟანრების წარმოქმნასა და არსებულის შემდგომ განვითარებას. პუბლიცისტური ლიტერატურის ისეთმა ფორმებმა, როგორიცაა დღიურები და მემუარები, თვალსაჩინო როლი შეასრულა განმანათლებელთა ეპოქის ევროპული რომანის ჩამოყალიბებაში. დღიური! ჟანრის განვითარება, კერძოდ, დაკავშირებული იყო განმანათლებელთა ეპოქისათვის და მახასიათებელ ინტერესთან პიროვნების, მისი გონებისა და სულიერი სამყაროსადმი. ამ ჟანრის მწერლები დიდ წარმატებას აღწევდნენ პირადი გამოცდილების საფუძველზე გარემომცველი სინამდვილის ასახვაში. თუმცა დღიური ხშირად დამოუკიდებელ ლიტერატურულ ნაწარმოებს არ წარმოადგენდა, მაგრამ ის ნაყოფიერი ისტორიულ-ლიტერატურული წყარო იყო, რომელსაც ხშირად მიმართავდნენ მწერლები.

დღიურებისა და მემუარების გარდა აქტიურად ვითარდებოდა სხვა მხატვრულ-პუბლიცისტური ჟანრებიც: წერილები, მოგონებანი, ჩანაწერები, ბიოგრაფიები, ავტობიოგრაფიები, მოგზაურობის ჩანაწერები, ნეკროლოგები. მათ შორის მკაფიო ზღვარი არ არსებობდა, ავიდოთ, მაგალითად, ჯ. სვიფტის „დღიური სტილასათვის“, რომელიც შედგება სტილასა და მისის დინგლისადმი წერილების სერიისაგან, რაც ყოველდღე და ხანდახან დილა-საღამოსაც იწერებოდა. ჯონ ბაირომმა (1692-1763) დაგვიტოვა საინტე-

რესო მეგვიდრობა დღიურებისა და ჩანაწერების სახით, რომლებშიც წარმოდგენილია მისი დროის ლონდონისა და პროვინციის ცხოვრება და შედგენილია აკურატულად ეპოქისათვის დამახასიათებელი პიროვნებისა და გარემოს ფიზიკური აღქმით. მისი ნეკროლოგი ქალიშვილის სიკვდილზე, შედგენილი წერილების სახით, გონებისათვის გრძნობის დამორჩილების შესანიშნავი მაგალითია; ბიოგრაფიის ყანარს მიმართა სემუელ ჯონსონმა „ველურის ცხოვრებაში“ (1744). ამ ნაწარმოებში გამოხატულია სიმპათიისა და შეწყალების გრძნობა ველურის და მისი სამყაროსადმი. ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი იყო აგრეთვე ისტორიული ჩანაწერები. მათ შორის აღსანიშნავია ჯილბერტ ბერნეტის „ჩემი დროის ისტორია“, რომელიც ვიგების ისტორიის ინტერპრეტაციას წარმოადგენს. ეს იყო პამფლეტის, როგორც პოლიტიკური ბრძოლის საშუალების, აყვავების ხანა, რასაც სრულყოფილად ფლობდა ჯონათან სვიფტი. თავისი მახვილი კალმით მას არაერთგზის მოუტანია გამარჯვება თავისი პოლიტიკური მოკავშირეებისათვის. გავიხსენოთ თუნდაც მისი „მემამულის წერილები“, რომლებმაც დააჩქარეს ფულის რეფორმა ირლანდიაში. ამ პერიოდის მწერლები ისტორიულ ყანარს მიმართავდნენ არა მხოლოდ წარსული დროის გამოჩენილ პიროვნებათა ცხოვრების აღსაწერად, არამედ ჩვეულებრივ ადამიანთა ჩვეულებრივი ცხოვრების საჩვენებლად (დეფოსა და პრეტერ უნგის „მოგზაურობა“), მხატვრულ-დოკუმენტური ლიტერატურის ყანრების მრავალფეროვნებამ, მათმა ურთიერთშეღწევამ და პარამონიულმა თანაარსებობამ საფუძველი მოუზღადა რომანის წარმოშობას ევროპულ ლიტერატურაში. სამართლიანი იქნება იმის აღნიშვნა, რომ დღიურმა, რომელიც ნახევარი საუკუნით წინ უსწრებს რომანს, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ უკანასკნელის ჩამოყალიბებაში. „გოთური“ რომანების შექმნელთა მეგვიდრობაში კი, რომლებიც მთლიანად მონათესავენი არიან ავტობიოგრაფიას, თხრობა ხშირად დღიურის სახით მიმდინარეობს (მ. გ. ლიუისის „ვესტ-ინდოეთის მფლობელის დღიური“). ხდება ყანართა რომანიზაცია. რაში გამოიხატება ეს? მ. ბასტიანის სიტყვით. ეს ყანრები უფრო თავისუფალი და პლასტიკური წდება, მათი ენა ხალასდება ლიტერატურული ენის „რომანული ფენების“ ხარჯზე. მათში იჭრება დიალოგები, სიცილი, ირონია, იუმორი, პაროდის ელემენტები, და ბოლოს, რაც ყველაზე მთავარია, — რომანს ამ ყანრებში შეაქვს პრობლემატიკა, სპეციფიკური აზრობრივი დეტალები და ცოცხალი კონტაქტი ახლად ჩამოყალიბებულ თანამედროვეობასთან.

ამ პროცესის შედეგი ადვილად ვლინდება დანიელ დეფოს „რობინზონ კრუზოში“. უბრალო სათავგადასავლო ისტორიას მწერალი მესამე წოდების ადამიანის გენიის ჰიმნად აქცევს. „თავგადასავალს“ აქ ორგვარი აზრი აქვს: ყველა მოვლენა შემთხვევის წყალობით ხდება, მათ აზრში კი ძვეს ბრძოლა გადარჩენისათვის. დეფოს გმირებისათვის ცხოვრება ბრძოლაა. რომანის დასაწყისი მეგუარული ფორმითაა დაწყებული. უკაცრიელ კუნძულზე კრუზოს მოხვედრის შემდეგ იწყება რომანის უმეტესი ნაწილი, „დღიურად წოდებული“, კრუზოს შემთხვევით არ აღუჩევია ეს ფორმა, გავიხსენოთ, რომ იგი დაიბადა მე-17 საუკუნის პურიტანულ გარემოში, სადაც ავტობიოგრაფიებისა და დღიურების წერის ტრადიცია არსებობდა. უკაცრიელ კუნძულზე მოხვედრის შემდეგ კრუზო კათამს იღებს ხელში, რათა სულიერად გაიმყნევოს თავი, და დღიურის წერას იწყებს. „რობინზონ კრუზოს“ თანამედროვე მკვლევარი ევერეტ ჰიმერმანი თავის ნაწარმოებში „დეფო და რომანი“ აღნიშნავს, რომ „დღიური იწყება სრულიად ჩვეულებრივად, როგორც დღიდან დღეზე მომხდარი ამბები, მაგრამ კრუზო მოვლენათა ინტერპრეტაციას უფრო გვიანდელი თვალთახედვით იწყებს. დღიურის ფორმისაგან გადახვევა ხშირად იუმიჩნეველია, მაგრამ, როდესაც ეს უკვე აშკარა ხდება, ფორმულის „მაგრამ დაუბრუნდები ჩემს დღიურს“ ვარიაციები იმისათვის გამოიყენება, რომ თხრობა ისევ ძველ ტრუქტურას დაუბრუნოს“.

დეფო შემთხვევით არ მიმართავს დღიურისა და მემუარის ფორმას, ამით ავტორი აღწევს ყურადღების გამახვილებას გმირის საქციელზე, შინაგან სამყაროსა და ფიქრებზე. დეფოს შემოქმედება მკაფიოდ გამოხატავს თავისი ეპოქის, ისტორიის ავანსცენაზე მესამე წოდების გამოსვლას.


დღიურის ქანრზე საუბრის გასაგრძელებლად შევეცდებით ვაჩვენოთ მისი ზოგიერთი ყველაზე დამახასიათებელი თავისებურება. დღიურის ფორმა, საერთოდ, გულისხმობს გადმოცემულ ინტერესს ადამიანის სულიერი სამყაროსადმი, სუბიექტის გარკვეულ გულ-ანდილობას, თვითდაკვირვებას, ორიენტაციას ავტორის პირად ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე, ავტობიოგრაფიულობის ამა თუ იმ ხარისხს. სიცრუობრივ-დროითი ურთიერთობა აქ ეგოცენტრიზმის პრინციპზეა აგებული, ე. ი. ავტორი ყოველთვის აღწერილი შოვლენების ცენტრში იმყოფება. აუცილებელ პირობას წარმოადგენს პირველ პირობა ფართო, დღიური საკიბობოროტო ქანრია, ენიდან მისი ინტერესები მისივე დროის საზღვრებში აღწერილი მოქმედებისადმი მიმართული.

დღიურის გარეგნული, მაგრამ აუცილებელი არსებითი ნიშანია თარიღების აღნიშვნა. ზოგჯერ რეალური პირის დღიურის ფორმის „ჩანაწერები“ წინასწარ გამიზნულია გამოსაქვეყნებლად. ამიტომ ისინი ლიტერატურულად დამუშავებულია, მათში ავტობიოგრაფიული ელემენტები უფრო სუსტადაა მოცემული, ვიდრე ჩვეულებრივ დღიურში, ხოლო დაკვირვებების, ფიქრების და მოვლენების პანორამა უფრო ფართოდაა წარმოდგენილი. მაშინ ქრონოლოგიურობა ირღვევა, და დღიურის სახის ჩანაწერებს აქვია ზუსტი თარიღები და თანმიმდევრობა დროში. თხრობა წარსულ ამბებზე მხოლოდ გარეგნულადაა ყოველდღიური ჩანაწერების ფორმებით მოცემული, და დღიური ჩვეულებრივ მოთხრობას უფრო წამოჰავს. დღიურის ქანრი განუწყვეტლევ ხალასდება, ახალ-ახალ ნიშან-თვისებებს იძენს, მაგრამ აქ წარმოდგენილი მისი ძირითადი დამახასიათებელი პრინციპები ამ ქანრის ნებისმიერ ნაწარმოებშია წარმოდგენილი და დაკვირვებული ანალიზისას შესაძლებელი ზდება ამა თუ იმ ნაწარმოების ქანრის გარკვევა.

განმანათლებელთა ეპოქაში დღიური ფართოდ იყო გავრცელებული ინგლისურ ლიტერატურაში, მაგრამ მისი სათავეები მაინც XVII საუკუნეში უნდა ვეძებოთ. როგორც ლიტერატურული ქანრი, დღიური პირველად გამოჩნდა ინგლისში რესტავრაციის ეპოქაში (1660-1688). სემუელ პიფსის ცნობილი „დღიური“ დაწერილია 1660-1669 წლებში. სწორედ მის სახელს უკავშირებენ ლიტერატურათმცოდნეობაში დღიურის, როგორც ქანრის, აღმოცენებას ევროპულ ლიტერატურაში. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ პიფსის „დღიური“, მხოლოდ 1825 წელს გამოქვეყნდა. რესტავრაციის პერიოდში ლიტერატურა იწერებოდა მაღალი საზოგადოების შეზღუდული წრისათვის, სწორედ ამ სამყაროს გვეცნობს თავის დღიურებში სემუელ პიფსი — სადამიარლოს მსხვილი მოხელე. იგი წერს თავის თანამედროვეებსა და თავის თავზე, იმ მაღალი საზოგადოების გემოვნებასა და ზნე-ჩვეულებებზე, რომელთა წარმომადგენელი თვითონ იყო. თანამედროვე მკითხველის გაკვირვებას იწვევს ის გარემოება, რომ მაღალი წრის ადამიანი ასეთი პირდაპირობით აღწერს თავის ზოგიერთ უღირს საქციელს.

პიფსის გვერდით შეიძლება დავასახელოთ ჯონ ეველინი. მისი დღიური თუმცა მეტად მოსაწყენი საკითხავია, მაგრამ, სამაგიეროდ, ინფორმაციის ზუსტ წყაროს წარმოადგენს. საერთოდ, ეველინი თავისი დროის ფრიად გამოჩენილი პიროვნება იყო. მისი დღიური პიფსის დღიურისაგან იმით განსხვავდება, რომ უფრო ფრთხილადაა გადმოცემული ავტორის აზრები და ნაკლებად გულახდილია.

განმანათლებელთა ეპოქის მწერლებს შორის, რომლებიც თავიანთ შემოქმედებაში დღიურის ქანრს მიმართავდნენ ხოლმე, გამოირჩევა ჯონათან სვიფტი. მან შექმნა ეპისტოლარული ნაწარმოები „დღიური სტელასათვის“. ეს დღიური შედგება წერილებისა-



საგან, რომლებსაც ჯ. სვიფტი სწერდა თავის უახლოეს მეგობარ ქალს ესთერ ჯოსონს. იმავე სტელას. „დლიურს“ წაკითხვა არაა ადვილი, საჭირო ხდება უამრავ საყოფაცხოვრებო დეტალებზე, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო წერილმანებზე ყურადღების მიქცევა აქ ვეცნობით, როგორც გამოჩენილ პიროვნებებს, ასევე სრულიად ჩვეულებრივ ადამიანებს. ავტორი უმეტესად ფრთხილობს და ბოლომდე არ ამბობს სათქმელს, განსაკუთრებით იმ ხალხის მიმართ, ვისთანაც სხვადასხვა დამოკიდებულება აკავშირებს. სვიფტის აშკარა თუ ფარულ საქციელზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს გავცნოთ, როგორც მის არაჩვეულებრივ ზეასვლას, (რასაც არა მარტო მისმა შესანიშნავმა ტალახტმა შეუწყო ხელი, არამედ საზოგადოებრივმა სიტუაციამაც), ასევე მის კრახსაც. ასეთ სიუჟეტურ მთლიანობას სვიფტის ევრცერთ სხვა წერილებში ვერ შეხვდებით. არის მეორე გარემოება, რითაც ეს წერილები ასე გამოირჩევა: ისინი დაწერილია დღიურის სახით, ამასთან განსაკუთრებული მანერით, რასაც შემდეგ თავის შემოქმედებაში სვიფტი არასოდეს დაბრუნებია. იგი წერს დილით და საღამოთი და ერთი წერილის გაგზავნისთანავე იწყებს მეორეს, რათა ადრესატთან კავშირი არ გაწყდეს. სვიფტი აუცილებლად აცნობებს სტელას, სად ისაღილა და რა ქამა, სად წავიდა სტუმრად, ვინ ნახა, როგორ გრძნობდა თავს, სად და რამდენი ისეირნა და ა. შ. იგი ასე დაწერილებით იმიტომ წერს, რომ მის ადრესატს სრული წარმოდგენა ჰქონდეს ლონდონში სვიფტის ცხოვრების ყოველ დღეზე, რომ თვალნათლივ წარმოიდგინოს სვიფტის ნაცნობთა ქცევა, ტანსაცმელი, საუბარი. როგორც ვხედავთ, „დლიურს სტელასათვის“ შეუძლია არა მარტო მეტოქეობა გაუწიოს დეფოს აღწერის უტყუარობაში, არამედ ზოგ შემთხვევაში მათზე მაღლა დგას ზოგიერთი ხერხით, რასაც მაშინდელი ინგლისური რომანი არ ფლობდა. წერილებში სვიფტი ესწრაფვის გადმოსცეს ამა თუ იმ სიტყვის გაუმოთქმის ინტონაცია, კი, რასაც გრაფიკული ექსპერიმენტით აღწევს. მაგალითად, თუ უნდა მთქნარება გამოხატოს, იგი წერს „შუააღამა“, ხოლო წყენის ან გუნება-განწყობილების ცვლილებას აჩვენებს ხაზით, რომელიც სხვადასხვა სიგრძისაა და თან უხსნის, რომ ასე შორს იმიტომ დასცილდა სტელას, რომ ნაწყენია მასზე. დლიურს სვიფტი გაურკვეველი ხელით წერს. და თავს იმართლებს, როდესაც გარკვევით გწერ, ასე მგონია თითქოს მარტო არა ვარ და ვისაც არ ეზარება; ყველას შეუძლია ნაწერში ჩაქედვით. ნაქაბი კი ცნობისმოყვარეობისავენ უფრო დაგვიცავს. ცალკეულ სიტყვებსა და ფრაზებს იგი დიდი ასოებით წერს აზრობრივი ან ემოციური მნიშვნელობის მიხედვით, ხანდახან კი კომიკური ეფექტის შესაქნელად.

სტელასადმი მიწერილი წერილები არა მარტო ემოციური მრავალფეროვნებით გამოირჩევა, არამედ წიაღსვლებისა და ემოციურ გადართვათა მოულოდნელობითაც. უფრო მეტიც, ხანდახან პროზა რითმასა და რიტმსაც იძენს და პოეზიაში გადადის. სვიფტი ხშირად არწმუნებს სტელას, თითქოს ძველი გამონათქვამი მოჰყავს, თუმცა იგი მაშინვეა შეთხზული, წუთის შემდეგ კი თვითონვე გამოხატავს უკმაყოფილებას ცუდი რითმის გამო. და ბოლოს, სვიფტი ბავშვების ენასაც იყენებს, ცვლის სიტყვებს, რომლებიც მოცემულ კონტექსტში ახალ, მოულოდნელ მნიშვნელობას იძენენ. მისი წერილები სხვადასხვა კალამბურებითა და ხუმრობით, ტონალობის განუწყვეტელი მონაცვლეობით. ჩვენს წინაა გარკვეული ესთეტიკური სისტემა, და თუმცა „დლიური“ წარმოადგენს ავტორის გუნება-განწყობილების და აზრების ახირებულ ცვალებადობას, ყოველდღიურ მოვლენათა ილუსტრაციას მთელი თავისი მრავალფეროვნებითა და უტყუარობით, მასში მაინც პარალელურადაა გამოყენებული სხვადასხვა ხერხი იმ შთაბეჭდილების შესაქმნელად, თითქოს ჩანაწერები ყოველგვარი წინასწარი განზრახვის გარეშე იქმნებოდა. პარადოქსი იმაში მდგომარეობს, რომ ორი ურთიერთგამომრიცხველი თვისება-უშუალობა და წინასწარგანზრახულობა — ორგანულადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ესაა სწორედ „დლიურის“ მთავარი თავისებურება და მომხიბვლელობა. სვიფტის წერილებში

მკითხველი ვერაფერს იპოვის ინტელიტურად დაწერილს; ყველაფერი წინასწარ, მეფე-ფიქრებულია და, ამას გარდა, წინ უსწრებს ბევრ ისეთ რამესაც, რაც მხოლოდ რამდენიმე ათწლეულის შემდეგ მოიპოვა და დამუშავა ინგლისურმა რომანმა, კერძოდ, სტერნმა.

რაიკონალიზმისა და მოწესრიგებულობისადმი სვიფტისეული შეურიგებლობა XVIII საუკუნეში ფართოდ გამოიყენა ისტორიულმა რომანმა და, უპირველეს ყოვლისა, თეკერიმ. თავისი ესთეტიკური პროგრამა სვიფტმა ყოველგვარი ესთეტიკური მანიფესტების გარეშე განახორციელა. „დლიურში“ ცხოვრება ნაწევნები იყო არა არისტოკრატული სასახლეების ბრწყინვალე ფასადიდან, არამედ როგორც ჩვეულებრივი ყოველდღიურობა. სვიფტი იყო რთული ხასიათების გამოძიქწვის უფრო დიდებული ოსტატი, ვიდრე ფილდინგი, რომელიც გამარტივებულად უპირისპირებდა ერთი გმირის მანკიერებას მეორის ქველობას. სვიფტი კი ყოველ მომდევნო წერილში ყოვლისშემძლე მინისტრების — ოქსფორდისა და ბოლინბროკის სახეებს სულ უფრო ყოვლისმომცველს ხდიდა. თავდაპირველად მოკლე დახასიათებაში ბოლინბროკი წარმოგვიდგება მახვილი ვონებისა და ძლიერი ნებისყოფის ადამიანად. შემდეგ სვიფტი ავსებს მის დახასიათებას, ხატავს ბოლინბროკს სხვა ატმოსფეროში, როდესაც იგი მსუბუქი ყოფაქცევის ქალებზე ნადირობს ლონდონის ქუჩებში, ხოლო პოლიტიკურ თანამოაზრეებთან ბოლინბროკის განხეთქილების გამო სინანულის გამოსახატავად სვიფტი წარმოთქვამს მხოლოდ ერთ ფრაზას: „თუ ბოლინბროკი მოწინააღმდეგე გახდება, დავიდარაბას ვერ გადაურჩები“. ეს თვით სვიფტს ახასიათებს, როგორც ფხიზელ პოლიტიკოსს, რომელმაც იცის, რომ დღევანდელი მეგობარი ხვალ შეიძლება მტრად იქცეს, „დლიური სტელასათვის“ წინ უსწრებს და ამზადებს „გულისყურის მოგზაურობას“, ხელს გვიწყობს შევიცნოთ ჯონათან სვიფტის რთული სულიერი სამყარო.

ხელახლა დავუბრუნდეთ დანიელ დეფოს, ვინაიდან საუბარი გვექნება დლიურის ჟანრის მეტად გავრცელებული ფორმის — გამოგონილ დლიურის შესახებ. „რობინზონ კრუზოს“ შემდეგ ათწლეულის მანძილზე დეფო ქმნის გამოგონილ მემუარებს, აღსარებებს, დლიურებს, რომლებსაც თითქმის ფათერაკთა მოყვარულნი და დამნაშავენი წერენ: კაპიტანი სინგელტონი, მოლ ფლენდერსი, პოლკოვნიკი ჯეკი და სხვ. დეფო ლიტერატურული მისტიფიკაციის შეუდარებელი ოსტატი იყო, რითაც შეცდომაში შეჰყავდა ცნობილი მწერლები და მკვლევარები. „ჰიროიანი ქალაქის დლიურის“ შექმნისას დეფომ დიდი ყურადღებით შეისწავლა 1664-1665 წლებში ლონდონში მოდებულ შავ ჰორთან დაკავშირებული დოკუმენტები და მასალები, ამიტომაც „დლიურში“ გადმოცემული ფაქტები საგსებით უტყუარი ჩანს. მაგრამ მომზადებული მკითხველი ადვილად დარწმუნდება, რომ ეს „დლიური“ გამოგონილია. ჯერ ერთი, ლონდონში გავრცელებული შავი ჰორთანის დროს ავტორი ოთხი-ხუთი წლისა თუ იქნებოდა, ამიტომ, ბუნებრივია, იგი დლიურს ვერ დაწერდა. მეორეც გამოგონილია „დლიურის“ მიხრობელი — ავტორი. ჩვენ არ ვიცით მისი სახელი, ვიცით მხოლოდ პროფესია — მეუღეაირე (სიტყვად მოიტანა და თავისი გმირისათვის ჩვეულებრივი პროფესიის არჩევა აიხსნება ავტორის ყურადღებით მესამე წოდების წარმომადგენლებისადმი). შემდეგ წიგნში არაა დაცული დლიურისათვის დამახასიათებელი კომპოზიციის პრინციპი: დლიდან დღეზე წერა. და ეს დლიური ავტორის ფანტაზიის ნაყოფია.

დეფო არასოდეს არ ყოფილა ადამიანის სულის ღრმა ფსიქოლოგი, მაგრამ თავის წიგნებში მშვენიერად გამოჰყავდა თუმცა მარტივი, მაგრამ რეალური და მკაფიო ხასიათები. მახვილი თვალით ამჩნევდა და შემდეგ თავისი ნაწარმოებების ფურცლებზე გადმოჰქონდა დამახასიათებელი სიტყვა თუ ვესტი; იგი ინსტინქტურად გრძნობდა ამა თუ იმ უმნიშვნელო დეტალის აუცილებლობას აღწერილი მოვლენებისათვის უტყუარობის მი-

საქმად. „პირიანი ქალაქის დღიურში“ ეს დეტალები ისე ოსტატურადაა გადმოცემული, რომ გვეგონებათ, მხოლოდ მოვლენათა უშუალო მოწმეს შეუძლია ასე თხრობაო. ამიტომ მეუწიარეც სინამდვილეში არსებულ პირად გვეჩვენება. დეფოს მეტად ცოცხალი წარმოსახვა ჰქონდა და ამავე დროს მოვლენათა აღწერაში იგი რეალისტად რჩება. იგი სუსტია ცალკეული ეპიზოდების გამოხატვაში, საგრძნობლად ჩამორჩება სვიფტს ხასიათებისა და ადამიანთა ბედ-იბდლის გაშუქებაში.

ჩვენ შემთხვევით არ შევჩერებულვართ ამ ორ შემოქმედზე. ისინი ეპოქის ყველაზე გამოჩენილი მწერლები იყვნენ და დღიურისადმი მათმა ყურადღებამ დიდი როლი შეასრულა ამ ქანრის განვითარებაში.

„მეცნიერება“ გამოსცა

კარგი წიგნის მნიშვნელობა ჩვენს დროში — მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ჩანაწი — დიდია. იგი ჩვენი წინსვლის საყრდენია. მცირე მნიშვნელობის საქმე რო-
ლია წიგნის კულტურა, მისი მაღალი სამეცნიერო და პოლიგრაფიული დონე. ამ თვალ-
საზრისით უდაოდ საინტერესოა კრებული „მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტე-
ბის ჩამწერი ორგანოების შესახებ“, რომელიც ახლახან „მეცნიერება“ გამოსცა ქარ-
თულ და რუსულ ენებზე.

კრებული შეადგინა და წინასიტყვაობა დაურთო საქართველოს სსრ დამსახურე-
ბულმა იურისტმა, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა მამია კომახიძემ, რედაქტო-
რია ია დილვესკაია.

სარეცენზიო წიგნში შესულია მამიის ორგანოების შესახებ არსებული ყველა სა-
კანონმდებლო და ნორმატიული აქტი 1981 წლის 1 ივლისამდე მომხდარი დამატებე-
ბითა და ცვლილებებით.

მთელი ეს მასალა კრებულში 9 თავადაა განაწილებული — ჯერ ქართულ, ხოლო
შემდეგ რუსულ ენაზე.

პირველი თავი ეძღვნება ზოგად საკითხებს, სადაც თავმოყრილია ამონაკრები
საქართველოს სსრ 1978 წლის კონსტიტუციიდან და საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს სხვადასხვა დადგენილებიდან. მეორე თავი მოქალაქეობრივი მდგომარეობის
ჩამწერი ორგანოების შესახებ არსებულ საკანონმდებლო და ნორმატიულ აქტებს გვა-
მცნობს. ხოლო მესამე თავი მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის
წესზე მიღებულ დადგენილებებს ეძღვნება.

მომდევნო თავებში შესულია მოქალაქეთა ასაკის დადგენის, გვარის, სახელის,
მამის სახელის გამოცვლის, მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების შეცვლის, აღ-
დგენის და გაუქმების წესის, მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების სარეგისტრა-
ციო დავთრებისა და მეტრიკული დავთრების შენახვის წესი და პირობები, მოქა-
ლაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების საქმიანობის ხელმძღვანე-
ლობის ორგანიზაცია.

კრებულში ცალკე თავადაა გამოყოფილი დანართი, რომელშიც წარმოდგენილია
დაბადებისა და ქორწინების აქტების რეგისტრაციების საზეიმო ვითარებაში ჩატარე-
ბის წესები, ქორწინების რიტუალი, საკუთარ სახელთა სარეკომენდაციო სია და
ინსტრუქცია მამიის სარაიონო (საქალაქო) განყოფილების (ბიუროს) საქმიანობის შე-
სახებ.

წიგნს ღირსებას მატებს მოკლე, მაგრამ შინაარსიანი წინასიტყვაობა, რომელშიც ჩვე-

სი ქვეყნის საერთო განვითარების ფონზე ნათლადაა ნაჩვენები მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების მუშაობის ავ-კარგი.

ავტორი მიუთითებს მმჩის ორგანოების 60 წლისთავზე და იქვე მართებულად შენიშნავს, რომ ეს არც ასე დიდი დროა, მაგრამ გაწეული მუშაობა მართლაც თვალსაჩინოა, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესება და ნიადაგ ზრუნვა მუშაობის სტილის სრულყოფისათვის მმჩის ორგანოების მუშაკთა მუდმივი ამოცანა არ იყოს. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ამ ორგანოების კულტურის ამაღლების საქმე, მეტწილად აქტების რეგისტრაციის წიგნიერი დონე. როგორც სწორადაა შენიშნული წინასიტყვაობაში, სამწუხაროდ, საქართველოს სსრ მმჩის ორგანოების ბევრი მუშაკის ნამუშევარი თანამედროვეობის მაღალი მოთხოვნილების დონეს არ შეესაბამება.

მ. კომახიძე ნაყოფიერი მკვლევარია — სამ ათეულზე მეტი ნარკვევის ავტორი, რომელთაგან რამდენიმე ცალკე წიგნადაც არის გამოცემული. მათგან აღსანიშნავია „საბჭოთა ადვოკატურის 50 წელი“, რომელიც 1974 წელს დაიბეჭდა (რედაქტორი ე. მაისურაძე).

ავტორმა მოგვიანებით კარგი წიგნი (ქართულ-რუსულ ენაზე) უძღვნა მუდმივმოქმედ რესპუბლიკურ კურსებს („ისტორიის ორგანოების მუშაკთა დახელოვნების კურსი“, თბილისი, 1982). ახლახან ამ წიგნებს სარეცენზიო კრებულებაც დაემატა. მის დი-რსებას ისიც განსაზღვრავს, რომ გასაბჭოების შემდეგ რესპუბლიკაში პირველი შემთხვევაა, როდესაც რესპუბლიკის მმჩის ორგანოებისათვის გამოცემული უამრავი დადგენილება, დებულება, ინსტრუქცია და მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის სხვა წესები, რომლებიც ძირითადად გამოცემულია რესპუბლიკაში ქორწინებისა და ოჯახის შესახებ ახალი კანონმდებლობის ძალების შემდეგ, მომზადარი ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით, წარმოდგენილია ერთ კრებულში.

ავტორის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ზემოთ აღნიშნული სამივე წიგნი — „საბჭოთა ადვოკატურის 50 წელი“, „ისტორიის ორგანოების მუშაკთა დახელოვნების კურსი“ და კრებული — „მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების შესახებ“ — მამია კომახიძემ მოამზადა და გამოსცა თავისი ინიციატივით უშრონარად, საზოგადოებრივ საწყისებზე.

სარეცენზიო წიგნს გულწრფელი გაეცნობა ფართო საზოგადოება, განსაკუთრებით რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომები, იგი რესპუბლიკის მმჩის ორგანოების მუშაკებს დიდ დახმარებას გაუწევს თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში.

იური სიხარულიძე,
პროფესორი



გასულ ორ თვეში

პარტიულ-სამეურნეო აქტივის პრმა

პარტიის აპარის საოლქო კომიტეტის სხდომათა, დარბაზში გაიმართა აპარის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება. აქტივის კრება გახსნა პარტიის აპარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანმა გ. ჩიგოგიძემ.

კრებამ განიხილა იდეოლოგიურ, მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა როლის შემდგომი ამოცანების, ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობის საკითხებისადმი მიძღვნილი ავტონომიური რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1984 წლის კრების გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობა „საკლუბო დაწესებულებათა, სპორტულ ნაგებობათა გამოყენების, გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე“ სკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შუქზე.

მოსხენება გააკეთა პარტიის აპარის საოლქო კომიტეტის მდივანმა ნ. გუგუშვიამ.

კრებაზე სიტყვით გამოვიდა სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს კოლეგიის წევრი, კადრების სამმართველოს უფროსი მ. ჩაუსოვი.

აქტივის კრებამ მიიღო დადგენილება და დაამტკიცა სკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის შემდგომი სრულყოფისა და მასობრივი ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების დამატებით ღონისძიებათა გეგმა.

სამეცნიერო მსახვედრები

აპარის სახელმწიფო მუზეუმის რეკონსტრუქციული პერიოდის ისტორიის დასაწყისში სამეცნიერო ექსპედიცია მოაწყო სელაჩაურის რაიონის ჩაი-

სუმის, გონიოსა და თხილნარის სახელმწიფო საბჭოების მოსახლეობის უოფისა და კულტურის საკითხების შესასწავლად. ექსპედიციის წევრებმა მიაკვლიეს ახალსამუშევრო ნივთიერ და წერილობით მასალებს, შეისწავლეს მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები, მეოლიკური და მეცნიერული დახმარება გაუწიეს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, მოსახლეობაში წაიკითხეს ლექცია-საუბრები, აჩვენეს ნიმუშები გამოფენები, მოეწყო შეხვედრები ხალხურ მოქმედებთან, მუზეუმის მოყვარულ ცალკეულ ადამიანებთან და სხვ.

კონსტრუქციით მოსაგონი

ბავშვთა ანსამბლი „მერცხალი“, რომელსაც ქორეოგრაფი თ. კილაძე ხელმძღვანელობს, მაღალი საშემსრულებლო დონით გამოირჩევა. ამიტომაც უმრავლდება სავასტროლო მარშრუტები. რამდენჯერმე დიმიტარა სხვადასხვა კონკურს-დათვალიერების ლაურეატის წოდება.

ამას წინათ ანსამბლს კვლავ მოუწია მოსკოვს გამგზავრება, სადაც იგი მიიწვია საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის აღმინისტრაციამ. ასეთივე პარტი დასდეს სახალხის იმ ენთუზიაისტებს, რომლებსაც „მაგასელა“ აერთიანებს. ერთი წელიც არ გასულა ამ ვოკალური ჯგუფის დაარსებიდან, მაგრამ ლოტბარების თ. დოლიძისა და ა. ჯავლიძის ბეჭითი მეცადინეობით უკვე მომზადდა მთელი რიგი ხალხური სიმღერები. მისი გამოსვლა მოეწონათ დელაქალაქის მაყურებლებს.

„მერცხალსა“ და „მაგასელას“ ჯილდოების კოლექციებს შეემატა საპატიო დიპლომები, მედლები, ფასიანი საჩუქრები.

მატერულ თვითმოქმედებას დიდ ყურადღებას უთმობენ ბათუმში ჩვეულების სისტემაში. აქ შეიქმნა ქალთა ვოკალური ჯგუფი „იანანა“, რომელსაც აქარის ასსრ დამსახურებული არტისტი გ. გრეკოვი დირიჟორობს. იგი ხშირად განაღდის მსმენელთა წინაშე.

ჯგუფი დახვეწილად ასრულებს როგორც ქართველი, ისე საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებებს და სასიხარულოა, რომ ამას წინათ იგი მოსკოვში გაემგზავრა და რამდენიმე კონცერტი გამართა გასაჩანაღბელი კომპლექსის „სალუტის“ ტურისტებისათვის.

თუ როგორი შთაბეჭდილება დაუტოვა მსმენელებს ვოკალურმა ჯგუფმა, ამას მოწმობს საპატიო სიგელი და საოქტომბროდ გამეორებით მიწვევა მოსკოვში.

ბაბლგაზრდა ღედების კლუბი

„ცოდნის“ აქარის რესპუბლიკური ორგანიზაციის გამგეობასთან შეიქმნა ახალგაზრდა ღედების კლუბი.

გაიმართა ახალგაზრდა ღედების კლუბის დამფუძნებელი სხდომა.

კლუბის საბჭოში აირჩიეს კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, აქარის ასსრ განათლების, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და ავტონომიური რესპუბლიკის რაიონების მთავარი პედაგოგები, გამოცდილი სპეციალისტები, გინეკოლოგები და მრავალშვილიანი ღედები—სულ 23 კაცი.

სხდომამ კლუბის თავმჯდომარედ დაამტკიცა რესპუბლიკის მთავარი პედაგოგი დ. ზოიძე.

არქიტექტურის მუზეუმში

ნაყოფიერ სამეცნიერო და პროზაგანდისტულ მუშაობას ეწევა საქართველოს არქიტექტორთა კავშირის აქარის ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი მუზეუმი. მკითხველი დიდი ინტერესით გაუცნო მუზეუმის შრომების პირველ

წიგნს. გამოსაცემად მზადაა მეორე წიგნიც.

მუზეუმი პროზაგანდას უწევს ჩვენი კულტურის ძეგლებს. ხშირად აწყობს სამეცნიერო კონფერენციებს. მათდამი დიდ ინტერესს იჩენენ მოსწავლეები, პედაგოგები და სხვ.

ახლანა მუზეუმში გაიმართა შეხვედრა აქარის ასსრ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ისტორიის მასწავლებელთა კურსების მსმენელებთან.

შეხვედრა გახსნა არქიტექტურის მუზეუმის დირექტორმა გ. ბაღუშვილმა.

მოხსენებები წაიკითხეს ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტმა, არქიტექტურის მუზეუმის განყოფილების გამგემ დ. კომახიძემ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომელმა პროფესორმა ი. სიხარულაძემ.

კონფერენციის შემდეგ მსმენელებმა ნახეს ისტორიულ-დოკუმენტური ფილმი „ქაში ამეტყველებულ საუკუნეები“.

საინტერესო შეხვედრები

აქარის ჟურნალისტთა კლუბში მოეწყო შეხვედრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ერთაშორისო ურთიერთობის კვლევის სამეცნიერო-ცენტრის სოცეტოლოგიის კრიტიკისა და კონტრპროპაგანდის განყოფილების მეცნიერ მუშაკთან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტ გრეტა ჩანტლაძესთან, რომელმაც წაიკითხა ლექცია თემაზე „ბასკურ-კავკასიური ურთიერთობანი თანამედროვე ეტაპზე და მათი განვითარების პერსპექტივები“. ლექტორმა დასასრულად გააცნო ბასკურ-კავკასიური ურთიერთობის საინტერესო მომენტები, ქართველ ბასკოლოგთა და ბასკ მეცნიერთა კვლევა-ძიებისა და თანამშრომლობის შედეგები, ბასკების წარსული და დღე-

ვანდელიობა, მათი უოფა-ცხოვრება და
აღათ-წესები.

დასასრულ ლექტორმა უპასუხა უფრ-
ნალისტთა შეკითხვებზე.

* * *

ბათუმში საწვრთნელ შეკრებაზე იუ-
ვნენ ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურ-
თელები, რომლებსაც შეხვედრა მოუწყ-
ვეს ლეკთაგანის მწერალთა კავშირის
აქარის განყოფილების კლუბში.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ სა-
ქართველოს მწერალთა კავშირის აქარის
განყოფილების პასუხისმგებელი მდივან-
ი ფ. ხალვაში, პოეტი გ. ქათამაძე და
სხვები.

გუნდის გეგმებსა და ამოცანებზე ილა-
პარაკა უფროსმა მწვრთნელმა გ. ნო-
ლიამ.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ
გუნდის კაპიტანი ა. კვერნაძე, ფეხბურ-
თელები ო. კორღალიძე, მ. მეგრელაძე,
ს. შვეცივი, რ. ნაგბა, გ. ჯოხაძე, გ. ჭი-
ლაია, ა. ქანთარია, ვ. შენგელია. გაიმარ-
თა გულახდილი საუბარი გუნდის თამა-
შის თაობაზე, გაანალიზეს კოლექტივში
არსებული მდგომარეობა, შეეხნენ სა-
მოხვედლო პრობლემებს.

დასასრულს გუნდის ხელმძღვანელებ-
მა და ფეხბურთელებმა უპასუხეს დამსწ-
რეთა სრავალ შეკითხვას, მწერლებმა
ტორპედოელებს უსახსოვრეს თავიანთი
წიგნები.

„საბჭოთა აპარამ“ გამოსცა

გამომცემლობა „საბჭოთა აპარამ“ აი-
ათბიანი ტირაჟით გამოსცა დიდი რუსი
მწერლის ანტონ ჩეხოვის მოთხრობები.

კრებულში შეტანილია მოთხრობები
„მოხელის სიკვდილი“, „მსუქანი და გა-

მხდარი“, „რეპეტიტორი“, „ქაშელონი“,
„ნილაბი“, „ლაბუცა“, „ბორცვალი“,
„რაზველი“, „უნტერი პრიშბიევი“, „მა-
ხილის ნიშანი“, „სანაძლეო“, „ორატო-
რი“, „კაცი ფუტლიარში“, „ხულიკო“,
„მწვაზე კონცხი“ და „ტრამალი“. ისინი
თარგმნეს დ. შენგელიამ, პ. წერეთელ-
მა, პ. ბახტურიძემ, შ. თაბუკაშვილმა,
თ. სულიაშვილმა, გ. პოლუმორდვინოვ-
მა, ა. ბრეგაძემ და რ. სურმანიძემ.

* * *

მკითხველმა მიიღო ცნობილი ქართვ-
ლი პოეტი ქალის ნანა გვარამიშვილის
პოემებისა და ლექსების კრებული „მხო-
ფლიო ექო“.

პოეტი ადიდებს ჩვენი სამშობლო
გნირებს, მათს უკვდვ საქმეებს, თითო
ეული ნაწარმოები აღსავსეა იმპერალ-
ზმისა და აგრესიის, ახალი ომის გ. „
ლებელთა წინააღმდეგ მრავალერ-
საბჭოთა ქვეყნის შეუწელებელი პ-
ლის პათოსით.

მკითხველი კრებულში გაეცნობა აგრ-
თვე ნ. გვარამიშვილის აღრინდელ ლი-
რიკულ ლექსებს.

* * *

„საბჭოთა აპარამ“ მკითხველს მიწო-
და ნოდარ მოღებაძის რომანი „ქურდები
ცაში სვლებიან“. ნაწარმოები დიდი ხამა
მულო ომის თემას ეხება. ანოტაცი
გვაუწყებს, რომ „ომმა არა მარტო ჩვე-
ნი ხალხის საუკეთესო პატრიოტული
სულისკვეთება და შეგნებულობა გამოა-
ვლინა, არამედ მკაცრად აშხილა ეგონს-
ტო და რწმენადაკარგულთა ბუნება.
მწერალი ამ კუთხიდან გვახედებს ომის.
დროინდელი აღმამანების სულში
ერთი ქართული ოჯახის მაგალით
მხატვრულად აღგვიწერს ომის ხაშინ-
ლებას“.



გარეკანის 1-ლ გვერდზე — საბჭოთა კავშირის გმირის ისრაფი
ჯინჭარაძის ძეგლი მახინჯაურში.

ნომერი გააფორმა ავთანდილ ლომაძემ.

ტექნიკური ხელმძღვანელი შ. დარჩია.

6 137/139



3360 40 333.

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„ЧОРОХИ“

ОРГАН СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
ИНДЕКС 78118